В условиях развитой технологии и новой экономической реальности возрастающее внимание уделяется навыкам использования знаний в практике и умению самостоятельно учиться. В повестке дня встал вопрос об использовании подходящих методов обучения, что привело более широкому применению индуктивных подходов в учебной практике. Теоретической основой индуктивных подходов являются основные принципы конструктивизма, прогрессивного образования, гуманистической теории и теории когнитивного развития. Исторические предпосылки индуктивных подходов берут начало с времен появления “научного метода.“

რუსული ზმნის ასპექტის სწავლება ქართულ აუდიტორიაში

*ასისტენტ-პროფესორი თელა კალანდარიშვილი
ასოცირებული პროფესორი ზაირა გურამიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77*

საკვანძო სიტყვები: სრული და უსრული ასპექტი, ინტერფერენცია, პრეფიქსი, სუფიქსი.

როგორც ქართულ ენაში, ასევე რუსულშიც ზმნას აქვს შემდეგი კატეგორიები: პირი, რიცხვი, დრო, ასპექტი და გვარი. თუმცა ქართული ზმნა გაცილებით რთული გრამატიკული კატეგორიაა, ვიდრე რუსული.

როგორც ცნობილია ქართულშიც და რუსულშიც ზმნას აქვს ასპექტის კატეგორია, მაგრამ რუსული ზმნის ასპექტის კატეგორია გაცილებით რთულია ვიდრე ქართულის, რაც გამოწვეულია მისი წარმოების მრავალსახეობით. სრული და უსრული ასპექტის ფორმის წარმოება შეიძლება სხვა და სხვა საშუალებით:

1. პრეფიქსებით (предлоги)

несовершенный вид უსრულიასპექტი что делать?	совершенный вид სრულიასპექტი что сделать?
Делать	<u>С</u> делать
знать	<u>у</u> знать
читать	<u>п</u> рочитать
писать	<u>д</u> описать
рисовать	<u>н</u> арисовать
ехать	<u>п</u> риехать

2. სუფიქსებით: -ыва-; -ива-; -и-; -а-; -ну-.

несовершенный вид უსრული ასპექტი что делать?	совершенный вид სრული ასპექტი что сделать?
рассказыв <u>а</u> ть	рассказать
раскачив <u>а</u> ть	раскачать
открыв <u>а</u> ть	открыть
реш <u>а</u> ть	решить
запев <u>а</u> ть	запеть

3. ფუძე შიბგერის მონაცვლეობით

несовершенный вид უსრული ასპექტი что делать?	совершенный вид სრული ასპექტი что сделать?
прощать უგოშაყაყ	простить უგოსყაყ

4. მახვილის შეცვლით

несовершенный вид უსრული ასპექტი что делать?	совершенный вид სრული ასპექტი что сделать?
Разр ^е зать Рассып ^а ть	Разр ^е зать Рассып ^а ть

5. ფუძის შეცვლით:

несовершенный вид უსრული ასპექტი что делать?	Совершенный вид უსრული ასპექტი что сделать?
б ^р ать гов ^о рить к ^л асть лов ^и ть	в ^з ать ска ^з ать поло ^ж ить пой ^м ать

უსრული ასპექტის ზმნები აღნიშნავენ მოქმედებას, მაგრამ არ მიუთითებენ მის დასრულებაზე. იგი არ გვიჩვენებს მოქმედების რეზულტატს. სრული ასპექტის ზმნები აღნიშნავენ იმ მოქმედებას ან მდგომარეობას და მიუთითებენ დასრულებულ მოქმედებაზე. რული ასპექტის ზმნებს, არა აქვთ ახლანდელი დროის ფორმები. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად რუსულის სრული ასპექტის ფორმის ზმნას ქართულში შეესაბამება უსრული ასპექტის ზმნა და პირიქით. მაგრამ ქართველი სტუდენტი მექანიკურად ქართული ენის ინტერფერენციის ზეგავლენით ხმარობს იმ ზმნისფორმას, რომელსაც იყენებს მშობლიურ ენაზე, რაც იწვევს უხეშ შეცდომებს. მაგ. 1. Мать крикнула дочке, чтобы она не тронула кактус (ნაცვლად трогала) ქართულში იხმარება სრული ასპექტის ზმნა – მან არ ახლოს ხელი. 2. Когда была хорошая погода, дети уходили гулять в парк. – როდესაც კარგი ამინდი იყო, ბავშვები მიდიოდნენ სასეირნოდ პარკში.

ხშირად ქართველ სტუდენტებს ზმნები, რომლთაც აქვთ პრეფიქსები, მიუხედავად მათში უსრული ზმნის მაწარმოებელი (-ива-; -ыва-; -ва-; -а-) სუფიქსების მაინც სრული ასპექტის გონიათ და ხშირად უშვებენ მსგავს შეცდომებს: გუშინ მე წავიკითხე მოთხრობა ბოლომდე, Вчера я прочитывал (ნაცვლად прочитал) рассказ до конца. ნუ ყვირი, შენ ჩვენ ვერ შეგვაშინებ, Не кричи, ты нас не запугиваешь! (ნაცვლად не запугаешь).

ასევე ძალიან უჭირთ а და и სუფიქსიანი ზმნის ასპექტის გარჩევა, ხშირია ასეთი ტიპის შეცდომები: Старший всегда должен защитить младшего. (ნაცვლად защищать).

ყოველივე ამის გათვალისწინება ქართულ აუდიტორიაში, ვფიქრობ, საჭიროა იმისათვის, რომ სწორად შეირჩეს ის სავარჯიშოები, რომელიც გამიზნული იქნება ყველა ზეტიპური და ხშირი შეცდომების დასაძლევად ზმნის ასპექტის შესწავლისას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Лекант Т.А. «Современный русский язык», Москва. 2002.
2. Митрофанов О.Д. «Методика преподавания русского языка как иностранного», Москва, 1990.

რუსული ზმნის ასპექტის სწავლება ქართულ აუდიტორიაში

*ასისტენტ-პროფესორი თელა კალანდარიშვილი
ასოცირებული პროფესორი ზაირა გურამიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
თბილისი, კოსტავას 77*

რეზიუმე

საკვანძო სიტყვები: სრული და უსრული ასპექტი, ინტერფერენცია, პრეფიქსი, სუფიქსი

რუსული ენის სწავლების მეთოდიკაში არსებული პრობლემა განსაკუთრებითა აქტუალურია, ვინაიდან მასში აღნიშნულია ქართველი სტუდენტებისთვის მეტად დამახასიათებელი და ხშირი შეცდომები სრული და უსრული ასპექტის მქონე რუსული ზმნების მეტყველებაში გამოყენებისას, რისი ცოდნაც ხელს შეუწყობს ამ შეცდომების გამოსწორებასა და თანდათან მათ მინიმუმამდე დაყვანას.

**Изучение совершенного и несовершенного видов русского глагола
в грузинской аудитории**

*О. Каландаришвили, ассистент - профессор
З. Гурамишвили, асоцированный профессор
Грузинского Технического Университета
Тбилиси, Костава 77*

Резюме

Ключевые слова: совершенный и несовершенный вид, интерференция, префиксы, суффиксы

Для методики обучения русскому языку в грузинских группах проблема, которая рассмотрена в статье, очень актуальна, так как отмечены особенно характерные и частые ошибки при употреблении глаголов совершенного и несовершенного видов в речи студентов-грузин, что способствует их исправлению и постепенному устронению.

Teaching of aspect of Russian verb in Georgian audience

*Olga Kalandarishvili
Zaira Guramishvili
Georgia Technical University
Tbilisi, Kostava 77*

Summary

Key words: verbs aspects. Interference, prefix sans suffixs.

In Georgian groups in the process of teaching of the Russian language, the problem existed in the methods, which is argued in this article, is very actual, because there is discussed typical and frequent mistakes made by Georgian students such as the use of perfect and imperfect verbs in speech, which knowledge provides correction of these mistakes and supports to minimize gradually.

სინათლის ტალღების ინტერფერენციის სწავლებისათვის

*მელაძე ვ., კვინტრაძე ვ., ნიკურაძე ჯ., ცხაკაია კ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

მოცემულ სტატიაში განიხილება ზოგადი ფიზიკის ცნობილი მოვლენის-სინათლის ტალღების ინტერფერენციის სწავლების მეთოდოლოგია, რომელიც განსხვავდება ჩვენს სახელმძღვანელოებში [1,2,3] წარმოდგენილისგან. ჩვენს აზრით საკითხის ასეთი სახით მიწოდება გაამარტივებს ფიზიკური არსის აღქმას, ხოლო გამოყენებული მათემატიკური აპარატი საშუალებას მოგვცემს მივიღოთ მოვლენის ზუსტი ინტერპრეტაცია.

სინათლის ტალღების ინტერფერენციის მოვლენის შესწავლისას განხილული უნდა იყოს ორი ძირითადი საკითხი:

1. გამოყვანილი უნდა იქნას ინტერფერენციის შედეგად მიღებული ჯამური ტალღის ინტენსივობის გამოსათვლელი ფორმულა.
2. ჩამოყალიბებული უნდა იქნას ინტერფერენციული მაქსიმუმებისა და მინიმუმების დადგენის პირობები სვლათა სხვაობისა და ფაზათა სხვაობასთან მიმართებაში.

სინათლის ტალღების ინტერფერენციის განხილვას ვიწყებთ კოჰერენტული ტალღების განმარტებით, რაც აუცილებელი პირობაა ინტერფერენციის არსებობისთვის. ტალღებს ეწოდებათ კოჰერენტული თუ შესრულებულია შემდეგი პირობები: 1) $v_1 = v_2$, ე.ი. ტალღების სიხშირეები ერთნაირია; 2) ფაზათა სხვაობა $\Delta\varphi = \varphi_2 - \varphi_1$ დროში და სივრცეში არ იცვლება; 3) ტალღების \vec{E} ვექტორები, ყოველ წერტილში, ერთი მიმართულებით უნდა ირხეოდნენ.

წარმოვადგინოთ სინათლის ტალღა ჰარმონიული რხევის განტოლების სახით და დავუშვათ, რომ ორი მონოქრომატული კოჰერენტული ტალღა $x_1 = a_1 \cos(\omega t + \varphi)$ და $x_2 = a_2 \cos(\omega t + \varphi)$ განიცდის ზედდებას. აქ a_1 და a_2 –ში ვგულისხმობთ ან ელექტრული დამაბულობის ვექტორებს \vec{E}_{01} და \vec{E}_{02} ან მაგნიტური დამაბულობის ვექტორებს \vec{H}_{01} და \vec{H}_{02} ხოლო x_1 და x_2 –ში ამავე ვექტორების მყის მნიშვნელობებს. ცდებით დადგინდა, რომ ადამიანის მიერ სინათლის მხედველობითი აღქმა \vec{E} ვექტორის რხევებთანაა დაკავშირებული, ამიტომ სინათლის ტალღაში რხევის მიმართულებად განიხილება \vec{E} ვექტორის რხევის მიმართულება, თუმცა უნდა გვახსოვდეს, რომ \vec{H} ვექტორი ირხევა \vec{E} ვექტორის რხევის სიბრტყის მართობულ სიბრტყეში. ზედდების შედეგად,

სუპერპოზიციის პრინციპის თანახმად, ჯამური ტალღის ამპლიტუდის კვადრეტი [4]-ს თანახმად გამოისახება ასე:

$$a^2 = a_1^2 + a_2^2 + 2a_1a_2 \cos(\varphi_2 - \varphi_1) \quad (1).$$

ტალღების კოჰერენტულობის გამო $\cos(\varphi_2 - \varphi_1)$ –ს, სივრცეში და დროში, უნდა ჰქონდეს მუდმივი მნიშვნელობა. როგორც ცნობილია [5] სინათლის ინტენსივობა პროპორციულია ამპლიტუდის კვადრატისა $I \sim a^2$, ამიტომ ჯამური ინტენსივობისთვის გვექნება:

$$I = I_1 + I_2 + 2\sqrt{I_1 I_2} \cos(\varphi_2 - \varphi_1) \quad (2).$$

იქ სადაც $\cos(\varphi_2 - \varphi_1) > 0$, $I > I_1 + I_2$, ხოლო სადაც $\cos(\varphi_2 - \varphi_1) < 0$, $I < I_1 + I_2$. მაშასადამე სინათლის კოჰერენტული ტალღების ზედდებისას, სივრცეში ადგილი აქვს სინათლის ნაკადის ინტენსივობის გადანაწილებას, რის შედეგადაც სივრცის სხვადასხვა ადგილებში წარმოიქმნებიან ინტენსივობის მაქსიმუმები და მინიმუმები. ამ მოვლენას სინათლის ინტერფერენცია ეწოდება.

განსაკუთრებით ნათლად მჟღავნდება ინტერფერენციის მოვლენა ტალღების ინტენსივობათა ტოლობის შემთხვევაში $I_1 = I_2$. (2) გამოსახულების თანახმად, მინიმუმებისთვის გვექნება $I = 0$, ხოლო მაქსიმუმებისთვის $I = 4I_1$. არაკოჰერენტული ტალღების შემთხვევაში კი $I = I_1 + I_2$, რადგან ფაზათა სხვაობა $(\varphi_2 - \varphi_1)$ დროში განუწყვეტლივ იცვლება და $\cos(\varphi_2 - \varphi_1)$ საშუალო მნიშვნელობა უტოლდება ნულს. ტალღების ინტენსივობების ტოლობის შემთხვევაში კი, ტალღის ჯამური ინტენსივობა იქნება $I = 2I_1$.

კოჰერენტული ტალღების მისაღებად ერთი სინათლის წყაროდან გამოსხივებულ ნაკადს ყოფენ ორ ნაწილად. გარკვეულ მანძილზე გავრცელების შემდეგ ხდება მათი ზედდება და მიიღება ინტერფერენციული სურათი.

დავუშვათ კოჰერენტულ ტალღებად გაყოფა ხდება O წერტილში, ხოლო ინტერფერენციულ სურათზე დაკვირვება წარმოებს A წერტილში [6]. A წერტილამდე ერთი ტალღა n_1 გარდატეხის მაჩვენებლიან გარემოში გადის l_1 გზას, ხოლო მეორე n_2 გარდატეხის მაჩვენებლიან გარემოში l_2 გზას. თუ გაყოფის წერტილში რხევის ფაზა იყო ωt მაშინ A წერტილში პირველი ტალღა აღძრავს $a_1 \cos(\omega(t - l_1/v_1))$ რხევას, ხოლო მეორე $a_2 \cos(\omega(t - l_2/v_2))$ რხევას. აქ $v_1 = c/n_1$ და $v_2 = c/n_2$ წარმოადგენენ შესაბამისი ტალღების ფაზურ სიჩქარეებს. აქედან გამომდინარე ფაზათა სხვაობა იქნება:

$$\delta = \omega \left(t - \frac{l_1}{v_1} \right) - \omega \left(t - \frac{l_2}{v_2} \right) = \frac{2\pi}{T} \left(\frac{l_2 n_2}{c} - \frac{l_1 n_1}{c} \right) = \frac{2\pi}{T} (l_2 n_2 - l_1 n_1) = \frac{2\pi}{\lambda_0} (L_2 - L_1) = \frac{2\pi}{\lambda_0} \Delta. \quad (3)$$

(3)- ში მხედველობაშია მიღებული, რომ $2\pi/T_c = 2\pi/\lambda_0$, სადაც λ_0 სინათლის ტალღის სიგრძეა ვაკუუმში. გეომეტრიული გზის ნამრავლს მოცემული გარემოს გარდატეხის მაჩვენებელზე ოპტიკური გზა $L = l$ იწოდება, ხოლო $\Delta = L_2 - L_1$ - ოპტიკური სვლათა სხვაობა.

(3) გამოსახულება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ინტერფერენციული მაქსიმუმებისა და მინიმუმების მიღების პირობები.

1. თუ ოპტიკური სვლათა სხვაობა ტოლია, ვაკუუმში ტალღის სიგრძის მთელი რიცხვის

$$\Delta = \pm m \lambda \quad (m = 0,1,2,3, \dots) \quad (4).$$

მაშინ ფაზათა სხვაობა $\delta = \pm 2m \pi$ და A წერტილში აღძრული ტალღები იქნებიან ერთნაირ ფაზებში და ერთმანეთს გააძლიერებენ- ე.ი. (4) წარმოადგენს ინტერფერენციული მაქსიმუმის მიღების პირობას.

2. თუ ოპტიკურ სვლათა სხვაობა ტოლია, ვაკუუმში, ტალღის სიგრძის ნახევრის კენტი რიცხვის

$$\Delta = \pm (2m + 1) \frac{\lambda_0}{2} \quad (m = 0,1,2,3 \dots) \quad (5).$$

მაშინ ფაზათა სხვაობა $\delta = \pm (2m+1)\pi$ და A წერტილში აღძრული ტალღები იქნებიან საწინააღმდეგო ფაზებში და ერთმანეთს ჩააქრობენ. ე.ი. (5) წარმოადგენს ინტერფერენციული მინიმუმის პირობას.

ლიტერატურა

1. დ. ლონღაძე. “ზოგადი ფიზიკის კურსი”, III ნაწ. 1977წ.
2. ა. ენუქიძე, გ. კუკულაძე, კურკუმული, დ. ლონღაძე. “ზოგადი ფიზიკის კურსი” ტ. III. თბილისი 1992წ.
3. ა. გიგინეიშვილი, გ. კუკულაძე. “ზოგადი ფიზიკის კურსი”, II ნაწ. თბილისი 2009წ.
4. ა. გიგინეიშვილი, გ. კუკულაძე. “ზოგადი ფიზიკის კურსი”, I ნაწ. თბილისი 2006წ.
5. И.В. Савельев. «Курс общей физики» ч. III, «Наука», 1983г.
6. Т.И. Трофимова. «Курс физики», МоскваЮ «Высшая школа» 1985г.

რეზიუმე

სტატია ეხება სინათლის ინტერფერენციის მოვლენის სწავლების მეთოდის განსხვავებულ ვარიანტს, რომელიც, ჩვენის აზრით გაუმარტივებს სტუდენტებს ამ მასალის ათვისებას. სტატიაში მოცემულია სინათლის ინტერფერენციული სურათის გათვლის ის ვარიანტი, რომელიც გულისხმობს ორი კოჰერენტული სინათლის ტალღის გავრცელების სხვადასხვა გარდატეხის

მაჩვენებლიან გარემოში და შემდგომ მათ ზედღებას ფაზური სიჩქარის და ოპტიკური გზის ცნებათა გამოყენების საფუძველზე. ეს მეთოდი მოიცავს ინტერფერენციული სურათის გათვლას, როგორც ვაკუუმში ასევე სხვადასხვა გამჭვირვალე გარემოში.

საკვანძო სიტყვები: ინტერფერენცია, კოჰერენტულობა, ფაზური სიჩქარე, ოპტიკური გზა.

Резюме

Статья касается отличного варианта методики обучения явления интерференции света, который по нашему мнению упростит студентам освоение данного материала. В статье предложен вариант расчета интерференционной картины света, который подразумевает распространение двух когерентных световых волн в средах с разными показателями преломления с последующим их наложением на основании понятий фазовой скорости и оптического пути. Этот метод применим для расчета интерференционной картины как в вакууме, так и в других прозрачных средах.

Ключевые слова: Интерференция, когерентность, фазовая скорость, оптический путь.

Summary

The article is concerned to the different way of teaching the phenomenon of interference of light, which in our opinion makes easy to understand this material by the students. In the article given the way of the calculation of the interference pattern which implies propagation of two coherent light waves in the two different transparent medias of different indexes refraction based on the notions of phase speed and path difference. This method is applied for calculate the interference pattern as for vacuum either for different transparent medias.

Key words: Interference, coherent, phase speed, optical path.

ფილოლოგია - Филология - Philology

A LECTURE ON TRANSLATION THEORY

Tamar Mebuke

Georgian Technical University

Key words: translation theory, formal and dynamic equivalence of meaning, principles of translation

The study of principles of translation is termed a translation theory. This theory is based on understanding of how languages work, taking into consideration that different languages encode meaning in differing forms. Yet it is possible to find appropriate ways of preserving meaning, while using the most appropriate forms of each language. Basically there are two competing theories of translation. In one, the predominant purpose is to express as exactly as possible the meaning of every word in the original, and in the other the purpose is to produce a native rendering of an original text.

In order to perform their job successfully, translators should be familiar with the source language, the target language and the subject matter. Based on this premise, the translator discovers the meaning behind the forms in the source language and produces the same meaning in the target language - using the forms and structures of the target language. Consequently, what is supposed to change is the form and the code and what should remain unchanged is the meaning and the message. (Larson, 1984)

The translator should have a perfect knowledge of the language from which he is translating and an equally excellent knowledge of the language into which he is translating for getting the equivalence in the target language. The translator should avoid the tendency to translate word by word, because doing so is to destroy the meaning of the original, as some words translated literally can transmit another meaning or understanding in translation. The translator should bear in mind the people to whom the translation will be addressed and use words that can be easily understood. If the translator does not know the language of the original perfectly, then specific features of source texts lose their stylistic peculiarities (Bell, R. T. 1987).

In translation there have been two main tendencies -- formal equivalence – trying to preserve the exact meaning of the source text, and dynamic equivalence, which conveys the essential thought expressed in a source text. Formal equivalence (or “literal” translation) attempts to render the text literally, or "word for word" if necessary, at the expense of features natural to the target language. There is, however, no sharp boundary between dynamic and formal translation. On the contrary, they represent a spectrum of translation approaches. Each may be used at various times and in various contexts by the same translator within the same text — sometimes simultaneously.

In practice, we cannot speak about a single kind of translation as translation is subdivided into translation of administrative, commercial, economic, financial, medical, technical texts as well as general translation. A general text means that the language used is not high level and to a certain extent could be in layman's terms. There is no specific or technical terminology used. Most translations carried out fall under this category. Legal translation means the translation of legal documents such as statutes, contracts and treaties and needs specialist attention because law is culture-dependent and requires a translator with an excellent understanding of both the source and target cultures. Legal translation represents a special difficulty, because when translating a text within the field of law, the translator should keep the following in mind: the legal system of the source text is structured in a way that suits that culture and this is reflected in the legal language; similarly, the target text is to be read by someone who is familiar with another legal system and its language.

A literary translation is a special field of translation. It is the translation of literature such as novels, poems, plays and poems. The translation of literary works is considered by many one of the highest forms of translation as it involves much more than simply translating text. A literary translator must be capable of translating feelings, cultural differences, humour and other subtle elements of a piece of work.

In developing a theory of translation there are often a number of wrong concepts that constitute problems for the study of interlingual communication: first, the idea that translation is a science and second, the assumption that translating depends on a theory of language that includes all classes of texts, audiences, and circumstances of use. Translating is not a separate science, but it often does represent specialized skills and can also require aesthetic sensitivity. Skilled translators must have a special capacity for sensing the closest natural equivalent of a text, whether oral or written. But translating is essentially a skill and depends largely on a series of disciplines, for example, linguistics, cultural anthropology, philology, psychology, and theories of communication.

The basic problem of formulating an adequate theory of translation is the fact that translation actually takes place in our brains, and we do not know precisely what actually happens. E.A.Nida (2006) gives the following set of principles that can help new translators know how they can best initiate themselves into the principles and procedures of translation.

1. A language is a series of verbal habits that represent aspects of a culture. No one speaker possesses a complete inventory of the signs and the structures of a living language, but the society of speakers collectively possesses a language and can accordingly change the forms. So persons who wish to use the language of a different language community must learn how to use the words in a culturally acceptable manner.

2. The meaning of a verbal symbol is defined indirectly by all contrastive symbols. Accordingly, it is not possible to have an absolute set of definitions.

3. Within any symbolic system the context normally contains more information than any focal term. This means that the different contexts are maximized and the functions of specific terms are minimized. The functions of the verbal contexts are evident in the various uses of the verb *run* in English, for example, the man ran fast, the crab ran up the beach, the snake ran across the lawn, his heart is running, the bus runs between Madrid and Barcelona,

the line ran off the page, the play ran for three weeks, he is running for mayor of town, his stocking is running, the well ran dry.

The traditional manner of speaking about such differences in meaning is (1) to assign a series of meanings to a word such as *run* and then look to the contexts for the correct meaning in each instance or (2) to choose a basic typical meaning and to derive the extensions of meaning from each context. But definitions of meaning are not easy to formulate, especially if one tries to combine a number of meanings into a single set of related usages. For example, one can define the prototypical meaning of *run* as rapid movement in space by means of feet that alternatively touch the supporting surface. But this does not help to understand such expressions as *the well ran dry* or *he ran for mayor*.

4. There are no complete synonyms within a language or between different languages, but such a statement seems evidently incorrect because almost all dictionaries have extensive lists of synonyms, for example, sets such as *rich/wealthy* and *run/race*. But such sets of synonyms are normally limited to a restricted set of contexts. In English it is easy to speak of the same person as a rich man or a wealthy man but this measure of similarity in meaning does not extend to such phrases as *rich experience* and *wealthy experience*. Even the synonymous phrases *they raced around the track* and *they ran around the track* almost always suggest a distinction in competition.

5. All languages and cultures are continually in the process of change, and such changes occur on all levels of structure. There are also a number of significant changes in grammatical usage. For example, as Charles Fries has pointed out, American English normally employed an expression such as *the boss told you and me to finish by noon* (E.A. Nida № 4, I, 2006) but increasingly speakers of American English use *the boss told you and I to finish by noon*.

6. On all levels of American English, from sounds to discourse, important changes are occurring, but most speakers are largely unaware of what is happening.

7. One important aspect of languages and cultures is the fact that stylistic models have a very important role in communication, and proper adherence to such models is imperative, but highly creative writing is not always controlled by fixed rules. Creative writers constantly violate rigid traditions in order to attract attention and to increase the impact of what they want to communicate.

8. For translators and interpreters probably the most important part of their training is the thorough knowledge of different referential classes: entities (people, stars, mountains, rivers, plants), activities (think, speak, walk, swim, dance), states (dead, alive, tired, happy), processes (die, sicken, degenerate, improve), characteristics (large, small, attractive), and relationals (and, or, nevertheless, but). Some words, however, belong to more than one referential class. For example, in the phrase *a good dancer* the qualifier *good* refers to the capacity to dance well and not to any reference to cultural acceptability. Some words, however, function primarily to relate words to other words, for example, *and*, *but*, *nevertheless*, *if*, *although*, *in order to*, *so that*.

9. Some universal models of discourse are very important for translators and interpreters. The four most important classes of discourse are narration, description,

argumentation, and conversation. Narration includes novels, stories, personal experiences, history, biography, while description describes the features of complex entities or events, and argumentation is primarily a collection of reasons for or against some development, while conversation is clearly the least regulated.

The purpose of a text may be described in terms of impact (relevance, novelty, and clarity), attraction (unity, totality, appropriateness, and circumstances of the communication), and esthetic factors (order, parallelism, figurative expression, rhythm, and balance). One difficulty for the presentation of a theory of translation is the fact that all languages reflect the culture of which they form a part. That is why, before establishing a general theory of translating, it will be necessary to have a generally acceptable theory of culture, and such is much more difficult than setting up a standard theory of language. Both culture and language are symbolic, but whereas language consists only of verbal symbols, culture includes all kinds of beliefs and practices. That is why the theory of communication has become of paramount importance in discussing the theory of translation. The theory of communication has introduced different perspectives and has emphasized such factors as means of communication, types of messages, receptors, and circumstances of communication (Sauer, Beverly A. 1996). The principles of translation also widely employ focus on sociolinguistic factors presented by Maurice Pergnier (Labov W. 1972), because we essentially exist in a multiple world of communication and we need theories that will make our world linguistically and culturally understandable.

Bibliography

- Bell, Roger T. 1987. Translation Theory: Where are we going? *Meta*, 32, pp. 403-415.
- BROWER, Reuben A. (1959). *On Translation*. Cambridge, MA, Harvard University Press, 296 p.
- Frawley, William, ed. 1984. *Translation: Literary, Linguistic, and Philosophical Perspectives*.
- Labov, William (1972). *Sociolinguistic Patterns*. Philadelphia, University of Pennsylvania Press, 344 p.
- Larson, Mildred L., ed., *Translation: Theory and Practice, Tension and Interdependence*. (Binghamton: American Translators Association Scholarly Monographs, 1991). Newark, Delaware, University of Delaware Press, 218 p.
- Nida E.A. *Theories of Translation* № 4, I, 2006
- Nida, Eugene A. 1964. *Toward a Science of Translating*. Leiden, EJ. Brill, 331 p.
- Nida, Eugene A., and Charles R. Taber. 1969. *The Theory and Practice of Translation*. Leiden, EJ. Brill, 218 p.
- Sauer, Beverly A. *Communicating Risk in a Cross-Cultural Context: A Cross-Cultural Comparison of Rhetorical and Social Understandings in U.S. and British Mine Safety Training Programs*. *Journal Of Business and Technical Communication* 10.3 (1996): 306–329.

A LECTURE ON TRANSLATION THEORY

Tamar Mebuke

Georgian Technical University

Key words: translation theory, formal and dynamic equivalence of meaning, principles of translation

Abstract

The theory of translation is based on understanding of how languages work, taking into consideration that different languages encode meaning in differing forms. In order to perform their job successfully, translators should be familiar with the source language, the target language and the subject matter. Two main tendencies in translation are formal equivalence and dynamic equivalence. Each may be used by the same translator within the same text.

Translation is subdivided into translation of various types of texts. E.A.Nida's principles and procedures of translation facilitate understanding of the process of translation. One difficulty of a theory of translation is the fact that all languages reflect the culture of which they form a part. That is why communication theory and sociolinguistic factors become of paramount importance for the theory of translation.

ლექცია თარგმანის თეორიაში

თამარ მებუკე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: თარგმანის თეორია, მნიშვნელობის ფორმალური და დინამიკური ექვივალენტურობა, თარგმანის პრინციპები.

თარგმანის თეორია დაფუძნებულია როგორც ენის ფუნქციონირების გაგებაზე, ასევე იმ ფაქტის გაგებაზე, რომ სხვადასხვა ენებში შინაარსის კოდირება ღებულობს განსხვავებულ ფორმებს. წარმატებული თარგმანისათვის თარჯიმანმა უნდა იცოდეს ორიგინალის ენა, თარგმანის ენა და თარგმანის თემა. თარგმანის ორ ძირითად ტენდენციას წარმოადგენენ ფორმალური და დინამიკური ექვივალენტურობა. თარჯიმანმა შეიძლება გამოიყენოს ორივე ერთი და იგივე ტექსტის თარგმნის დროს.

თვით თარგმანი შეიძლება იყოს ქვედაყოფილი სხვადასხვა სახეობის ტექსტების თარგმანზე. ი.ა. ნიდას თარგმანის პრინციპები და პროცედურები ამარტივებენ თარგმანის პროცესს. თარგმანის ერთ-ერთ სირთულეს წარმოადგენს

ის ფაქტი, რომ ენები ასახავენ იმ კულტურას, რომლის ნაწილს ისინი წარმოადგენენ. ამის გამო კომუნიკაციის თეორია და სოციოლინგვისტიკა წარმოადგენენ დიდ მნიშვნელობას თარგმანის თეორიისათვის.

Лекция по теории перевода

Тамар Мебуке

Грузинский Технический Университет

Ключевые слова: теория перевода, формальная и динамическая эквивалентность значения, принципы перевода.

Теория перевода основывается на понимании функционирования языка и того факта, что в различных языках кодирование содержания приобретает разные формы. Для успешного перевода переводчик должен быть знаком как с языком оригинала, так с языком перевода и темой переводимого текста. Двумя основными тенденциями перевода являются формальная и динамическая эквивалентность. Обе могут быть использованы переводчиком в рамках перевода одного и того-же текста.

Собственно перевод может быть подразделен на перевод различных типов текста. Принципы и процедуры перевода Ю.А.Нида облегчают понимание процесса перевода. Одна из сложностей перевода обусловлена тем фактом, что языки отражают ту культуру, частью которой они являются. Поэтому теория коммуникации и социолингвистика приобретают важное значение для теории перевода.

უცხოენოვანი ნომინაციები ინგლისურ ენაში

ნუგ ზარ სიხარულიძე

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: ნასესხები სიტყვები, ნეოლოგიზმები, ახალი ლექსიკური ერთეულები, ლიტერატურული ენა, ამერიკული ინგლისური.

ენა, როგორც ცოცხალი არსება, რომელიც განიცდის ყოველდღიურ ზრდას, როგორც ნომინაციური მექანიზმი, იმ საქმიანობის ასახვისათვის რომელსაც ეწევა საზოგადოება ცხოვრების ყველა სფეროში იქნება ეს სოციალური, ტექნიკური, კულტურული თუ მრავალი სხვა, გამოიყენებს იმ ენობრივ-ნომინაციურ მექანიზმს რომელიც აესებობს სიტყვათწარმოებისათვის. მათ შორის ერთერთი ფრიად საინტერესოა უცხოენოვანი ნომინაციის გავლენა ინგლისურზე, კერძოდ სხვადასხვა ენებიდან შესული და დამკვიდრებული ლექსიკური ერთეულები. გამომდინარე იქიდან რომ დღეს აშშ ახდენს ენობრივ დომინირებას ინგლისურ ენაზე როგორც ერთერთი მაღალგანვითარებული ქვეყანა, რაც გამოხატულებას ჰპოვებს შემეცნებითი პროცესის შედეგად ახლადწარმოქმნილი ლექსიკური ერთეულების სიუხვეში, ის ამავე დროს, წარმოადგენს ემიგრანტთა ქვეყანას სადაც დედამიწის ნებისმიერი კუთხიდან ხდება ენობრივი ინოვაციების შეტანა ეთნიკური რეალიების სახით. ზემოთქმულიდან გამომდინარე საინტერესოა რამდენად ღიაა ინგლისური ენა ასეთი ინოვაციების მისაღებად. ამისათვის მიზანშეწონილი იქნა ამ მოვლენის შესაწავლა მცირედი ისტორიული რაკურსით. მასალად ასეთი შესწავლისათვის გამოყენებული იქნა ახალი სიტყვათა ლექსიკონი – (Longman Dictionary of New Words - 1960).

შესწავლილ მასალაში ანალიზის შედეგად გამოყოფილი იქნა 145 ნასესხები ლექსიკური ერთეული 26 სხვადასხვა ენიდან. ეთნიკურ გენეტიკური კუთვნილებები ნასესხები ლექსიკური ერთეულების განისაზღვრა XX საუკუნის 30–40 წლებით. რადგან ეს პერიოდი სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გამო, (მეორე მსოფლიო ომის წინა და შემდგომი პერიოდი) ხასიათდება მიგრაციის მაღალი მაჩვენებლით. ეს ენებია ისეთი ქვეყნებიდან როგორცაა: გერმანია, მაგალითად: bremsstrahlung – electromagnetic radiation; anschluss – annexation of Austria by Germany; და სხვა. ფრანგული: collage – A police made from scraps of paper and other odds and ends pasted out; Marquis – A member of the French cenderground organization of WWII; ებრაულიდან – moshava-. ანალიზმა აჩვენა, რომ ამ პერიოდისათვის ნასესხებ სიტყვათა წარმომავლობა განისაზღვრა შემდეგი

თანმიმდევრობით. ყველაზე მეტი ლექსიკური ერთეული ეკუთვნის გერმანულ ენას – 41 ნეოლოგიზმი. (ნეოლოგიზმებად ეს სიტყვები მიიჩნევა ინგლისური ენისათვის და არა ზოგადად). 17 ფრანგულიდან, 14 იდიშიდან (მაგ. moshava – An agricultural settlement in Israel); 13 ესპანურიდან (მაგ. espadrille – A canvas beach shoe); 13 რუსულიდან (მაგ. agrogorad, Katyusha); 12 ლათინურიდან (მაგ. cathexis – Concentration of physical energy in one particular outlet); 8 ნეოლოგიზმი იაპონურიდან (მაგ. bushido – the code of courage), 4 იტალიურიდან (მაგ. autostrada - expressway); 3 ბირმულიდან (მაგ. kyat – Monetary unit of Buima); 2 სპარსულიდან (მაგ. majlis – lower house of parliament); 2 სერბოხორვატიულიდან (მაგ. skupstina – the bicameral parliament). თითო თითო სიტყვები უნგრულიდან (forint), ნორვეგიულიდან (christiania), შვედურიდან (smorggasbord), პორტუგალიურიდან (samba), არაბულიდან (bejel) , ჰინდიდან (adibasi), სანსკრიტიდან (sandhi), კორეულიდან (megok), ფილიპინურიდან (hukbalahap), ავსტრალიელი აბოის-გენების ენიდან (jindivik), ამერიკელი ინდიელებისაგან (zombic), სუახილიდან (maumau), აფრიკანიდან (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა)(apartheid).

შესწავლილ ახალ ლექსიკურ ერთეულებს შორის ჭარბობს არსებითი სახელები. კერძოდ 145–დან მხოლოდ ორია ზმნა და ერთი ზედსართავი. ანალიზმა აჩვენა, რომ არსებით სახელთა უმეტესობას წარმოადგენს თვლადი, უსულო არსებითი სახელები (46 ერთეული). შემდეგი ლექსიკო-გრამატიკული ჯგუფი რომელიც ასევე მრავალრიცხოვანია (24 ერთეული), თვლადი, სულიერი არსებითი სახელები. 22 არსებითი სახელი წარმოადგენს საკუთარ არსებით სახელებს, რომელთა სემანტიკაც დაკავშირებულია უარყოფით თვისებებთან. (მაგ. bracero – A Mexican worker in the US; peronista; adibasi და სხვ.).

30 ნასესხები სიტყვა შეადგენს უსულო, უთვლად, არსებით სახელებს, რომლებიც გამოხატავენ მოქმედების შესრულების დასახელებას (მაგ. Luftrieg – war from the air)

11 ერთეული წარმოადგენს ტერმინოლოგიური ხასიათის უთვლად არსებით სახელებს (მაგ. genome – A single set of chromosomes).

როგორც ანალიზი უჩვენებს ნასესხები სიტყვები თავისი სემანტიკით ძირითადად გამოხატავენ საგნებისა და მოვლენების ამსახველ არსებით სახელებს და ნაკლებად ხარისხს ან მოქმედებას.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ გარკვეული ინტერესს იწვევს ამ ლექსიკურ ერთეულთა ამერიკულ ინგლისურში დამკვიდრების საკითხი. კერძოდ გახდნენ თუ არა ისინი ლიტერატურული ენის ნაწილი, დარჩნენ სლენგის ფარგლებში თუ საერთოდ გაქრნენ ენიდან. ყოველივე ეს მოითხოვს შემდგომ შესწავლას რათა დადგინდეს თუ რამდენად ღიაა ამერიკული ინგლისური სხვა ენებიდან შესული ლექსიკური ერთეულების მისაღებად.

ლიტერატურა:

1. Webster's Ninth New Collegiate Dictionary – Springfield, Mass., 2007.
2. Third Barnhart Dictionary of New English. The H.W. Wilson Company, 1999.
3. New Dictionary of Contemporary Informal English/Ed. By S. Glazunov. M. 200.
4. Longman Dictionary of Contemporary English. Pearson Education Limited, 2000.
5. The Longman Register of New Words. Longman 1999.
6. Bauer L. English Word-Formation – Cambridge: Cambridge University Press, 1996.
7. Adams V. An Introduction to Modern English Word-Formation. London: Longman Group, 1973.

უცხოენოვანი ნომინაციები ინგლისურ ენაში

ნუგზარ სიხარულიძე

პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზუმე

ენა ცოცხალი განვითარებადი ორგანიზმია, რომელიც ნომინატიური მექანიზმების საფუძველზე ასახავს სამყაროს რეალიებს. აქტიური ნომინატიური მექანიზმების რიცხვს მიეკუთვნება უცხოენოვანი სიტყვების სესხების მექანიზმიც.

სტატიაში წარმოდგენილია იმ ახალი ლექსიკური ერთეულების ანალიზი, რომელიც დაფიქსირებულია Longman Dictionary of New Words ლექსიკონში. ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ლექსიკონის ნეოლოგიური ლექსიკის კორპუსის 145 ერთეული ნასესხებია 26 სხვადასხვა ენიდან, აქედან 142 ერთეული არსებითი სახელებია, 2 ერთეული – ზმნა, 1 – ზედსართავი სახელი.

საინტერესოა ამ მასალის შემდგომი შესწავლა თანამედროვე ამერიკულ ინგლისურ ენაში დამკვიდრების ჭრილში.

Borrowings in American English

Nugzar Sikharulidze

Professor, Georgian Technical University

Key Words: borrowings, neologisms, new lexical units, standard language, American English.

Summary

Development of language and its enrichment with new lexical units, created in the result of nominating new realities of the achievements in every field of human activity is

a natural, everlasting process. Besides many different mechanisms of world building, borrowings occupy certain niche due to increasing relations between different nations of the world. From this viewpoint study of borrowings in American English is of definite interest, as this country is full of immigrants, and various languages mixed with each other. In the result many new words are introduced by other nations. The analysis of the new words from the 1930s up to 1950s (Longman Dictionary of New Words) resulted in 145 borrowings from 26 different languages. Most of them are from German and French.

It's obviously interesting to study to what extent American English is open for such innovations. Namely, whether these borrowings, being neologisms for the American English language, have become part of standard American English, remained as slangs or disappeared.

ЗАИМСТВОВАННЫЕ НОМИНАЦИИ В АНГЛИЙСКОМ ЯЗЫКЕ

Нугзар Сихарулидзе

Профессор, Грузинский технический университет

Ключевые слова: заимствование, неологизмы, новые лексические единицы, литературный язык, американский английский

Резюме

Язык, дающий названия реалиям на основе действия номинативных механизмов, – это живой развивающийся организм. К числу таких механизмов относится и механизм заимствования.

В статье представлен анализ новой лексики, зафиксированной в Словаре Longman Dictionary of New Words. В результате анализа установлено, что из всего корпуса лексических единиц, представленных в словаре, только 145 единиц было заимствовано из 26 различных языков. Среди них доминируют существительные (142), глагольная лексика (2), прилагательные (1).

Дальнейшее изучение этих единиц представляет интерес с позиций анализа их освоения современным американским английским языком.

კავკასიის ხალხთა ფოლკლორის კვლევის ძირითადი მიმართულებები

სტუ პროფესორი თემურ ჯაგოდნიშვილი

რეზიუმე

ნაშრომში წარმოდგენილია კავკასიის ხალხთა ფოლკლორის კომპარატივის-ტული კვლევების ძირითადი მიმართულებების აღწერა-დასაბუთებები. აღნიშნულია კავკასიური ფოლკლორის მოტივების, თემატიკის, მხატვრული ცნობიერების ერთიანობის მაუწყებელი რეალიების არსებობა. ამ ერთიანობის საფუძვლად აღიარებულია ერთიანი კავკასიური კულტურული წრის ისტორიული არსებობა ქართული კულტურის დომინანტობით.

საკვანძო სიტყვები: ფოლკლორი, კავკასიური კულტურული წრე, კავკასიური ფოლკლორის ერთიანობა.

1. შესავალი

ერთიანი კავკასიური რეგიონული კულტურული სივრცის არსებობა ისტორიულად არის დადასტურებული. ეს ერთიანობა, ერთი მხრივ, კავკასიის ხალხთა ყოფითი, ანუ ეთნო კულტურის დონეზეა დაფიქსირებული, იდენტური ან მსგავსი კულტურული კონცეფტების (ელემენტების) სახით (თუნდაც მისალმების, სტუმარმასპინძლობის და ა.შ. და ა.შ.), მეორე მხრივ, და რაც მთავარია, კულტურული ცნობიერების სემანტიკით. თუმცა, უთუოდ ანგარიშში ჩასაგდები ისიც არის, რომ აღნიშნული იდენტობა თუ მსგავსება ხედვას ჰოლისტურად ვერ ეძლევა, რადგან დროის სვლამ, ეპოქალურმა ხდომილებებმა, მით უფრო კატაკლიზმებმა ეს კულტურული ცნობიერება საფუძვლიანად დაარღვიეს, დაიკარგა მისი სისტემური ღირებულებითი მთლიანობა, უცხო კულტურული კონცეპტებით შეენაცვლა ბევრი ტრადიციული ელემენტი და ამის გამო ძველი ღირებულებითი სისტემის არსებობაც კი ერთეულებრივ კულტურულ კონცეფტებში შემორჩა, პროცესუალურად ცალკეულ წეს-ჩვევებსა და ტრადიციებში იკითხება. ამის გამო ამგვარი ერთეულებრივი ფაქტებისა თუ კონცეფტების არსებობა შედარება-შეპირისპირებით ანუ კომპარატივისტიკის მეთოდოლოგიით ხერხდება და ამ გზით არის შესაძლებელი ერთიანი კულტურული ცნობიერების, მისი ღირებულებითი სისტემის რესტავრირება.

ერთიანი კავკასიური კულტურული სივრცის ღირებულებით სისტემას განსაკუთრებით ღრმა, დამანგრეველი ზიანი მიაყენა ჩრდილო კავკასიაში ისლამის შეჭრამ და ადგილობრივი ხალხებისა და ეთნოსების გამაჰმადიანებამ. იმის გამო, რომ ისლამი ჩრდილო კავკასიაში დიდ ისტორიულ დროს არ ითვლის, ჯერჯერობით მასზე ადრინდელი ქრისტიანული კულტურის კვალი ჯერ არ გამქრალა. ეს კვალი ცხადყოფს, რომ ჩრდილო კავკასიაში ქართული ქრისტიანობა იყო გავრცელებული. უამრავ ფაქტთან ერთად ამას ადასტურებს ჩრდილოეთ კავკასიაში დღემდე შემორჩენილ ქრისტიანებს შორის თუნდაც წმინდა გიორგის კულტის განსაკუთრებული პოპულარობა, რაც ქართული მართლმადიდებლობის ანალოგიას წარმოადგენს. სამწუხარო ის არის, რომ ბოლო წლებში ჩრდილოკავკასიელი მკვლევრები, რუსული ფაქტორის ზეგავლენით, აღნიშნული ქრისტიანობის კვალს ჯიუტად ბერძნულ ქრისტიანობას უკავშირებენ. მეცნიერებაში პოლიტიკური ქვეგამხედველების შეჭრა, ცხადია, მიმართულია ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული კულტურის კვალის დაფარვისაკენ.

2. ძირითადი ნაწილი

ქართული ქრისტიანობის კვალის ბერძნულით გადაფარვის მცდელობა და ამის თუნდაც ფორმალური შესაძლებლობების არსებობა ადასტურებს იმ მოსაზრების საფუძვლიანობას, რომ ისტორიულად ჩრდილოკავკასიური კულტურული არეალი ქართული კულტურის დომინანტობით იყო გასრულებული და გამინაარსიანებული, ხოლო ქართული კულტურა თავისთავად აქტიურად იყო ჩართული ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების მიერ შექმნილი კულტურული წრის (სივრცის) კულტურული ფასეულობების სისტემის ფორმირების პროცესში და იმავდროულად მეტაკულტურის როლსაც ასრულებდა. აქ უთუოდ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის კულტურული სივრცის ფორმირების პროცესში ქართული კულტურის დომინანტობა მკვიდრდებოდა არა ტრადიციულად დომინანტი კულტურის აბორიგენი ხალხების ეთნოკულტურებზე აგრესიული ზეგავლენისა და ამ ეთნოკულტურების ღირებულებითი ელემენტების განდევნა-გაუფასურების გზით, არამედ საერთოკავკასიური კულტურის ღირებულებითი სისტემის მულტიკულტურულიზმისა და ინტერკულტურულიზმის პრინციპებით. აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინტერკულტურულიზმის მოვლენაა, რადგან იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა ეთნოკულტურების არა უბრალოდ თანაარსებობას, არამედ ინტერაქციას – ცალკეული ეთნოკულტურის აქტიურ თანამონაწილეობას ერთიანი კულტურული სივრცის შექმნაში.

ქართული კულტურის დომინანტობის ხსოვნა და კვალი ჩრდილოკავკასიის ხალხთა ეთნოკულტურასა და ფოლკლორში საკმაო სიციხადით არის დაფიქსირებული. ამაზე მიუთითებენ ფოლკლორული თქმულებები და გადმოცემები ჩეჩნების, ინგუშებისა და ქართველების საერთო წინაპრებიდან წარმომავლობაზე, ინგუშეთის სოფლებში ხამხასა და თარგიმს შორის შემორჩენილი ქართული ეკლესიის ნანგრევებთან დაკავშირებული გადმოცემები და რწმენა-წარმოდგენები, საერთო ფოლკლორული მოტივები (თუნდაც ამირანულ პერსონაჟთა არსებობა კლდეზე მიჯაჭვის მოტივით), ფოლკლორული პერსონაჟების ორეულები (მაგალითად, ჩვენი ნაცარქექიას ვაინახი ორეული ქულუბი) და ა. შ.

ქართული ფოლკლორული ცნობიერების კვალი ჩრდილოკავკასიელი ხალხების მითოლოგიურ და წარმართულ რწმენა-წარმოდგენებისა და ტერმინოლოგიის დონეზედაც ჩანს. ამ კვალს, მართალია, საგრძნობლად აფერმკრთალებს ის გარემოება, რომ ჩრდილოკავკასიის ხალხთა ფოლკლორული ტექსტები და ეთნოკულტურის ელემენტების აღწერები უმთავრესად რუსული თარგმანებით (ხშირად უხეირო) არის მოღწეული, მაგრამ ამგვარ თარგმანებშიც არც თუ იშვიათად გაიელვებს ტერმინოლოგიური დატვირთვის მქონე ესა თუ ის ქართული სიტყვა (მაგალითად, ქვესკნელი, ფასკუნჯი,...), რაც რუსი მთარგმნელისათვის უცნობობით ქართული სიტყვა-ფორმით არის გადატანილი რუსულად ნათარგმნ ფოლკლორულ ტექსტებში.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ქართულ-კავკასიურ ფოლკლორულ ურთიერთობათა კვლევებში ტრადიციულ კონცეფტებთან ერთად (ჟანრები სიუჟეტები, მოტივები, პერსონაჟთა ტიპები) აქტიურად უნდა ჩაირთოს ეთნოკულტურათა ღირებულებითი სისტემების სხვა ელემენტებიც (კონფეფტებიც) – ყოფითი კულტურის რეალიები, კულტურული ცნობიერების ამსახველი ლექსიკა-ფრაზეოლოგია, ტოპონიმიკური მონაცემები და ა. შ.

რაც არ უნდა უცნაურად მოჩანდეს, ენობრივი მასალა (ლექსიკა-ფრაზეოლოგია) კომპარატავისტულ კვლევებში აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული.

ამის აუცილებლობას ის გარემოება ცხადყოფს, რომ ფოლკლორს მზა ენობრივი მასალით სარგებლობისაკენ მიდრეკა ახასიათებს, ხშირად გამონათქვამის სემანტიკის უგულებელყოფის ხარჯზეც კი (ფოლკლორი თავს არ იწუხებს ტერმინოლოგიური ან მეტაფორული დატვირთვის სიტყვისა თუ გამონათქვამის ინტერპრეტირებით და ყოველგვარ ახსნა-განმარტების გარეშე შეაქვს საკუთარ ტექსტში ისეთი სიტყვა თუ გამოთქმა, რაც ზოგჯერ მისთვისაც კი გაუგებარია, მაგრამ მაინც გამოიყენებს როგორც მზა ფორმულას).

აღნიშნული კიდევ ერთხელ შეგვახსენებს კარგად ცნობილ ჭეშმარიტებას: ენა კულტურის მსგავსად უნივერსალური ფენომენია. ორივე სიმბოლოთა –

ნიშანთა სისტემებია. ენა ამასთან წინ უსწრებს კულტურას ადამიანური სინამდვილის სტრუქტურირებაში. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჰუმანიტარული მეცნიერებებისათვის, რომლებსაც განეკუთვნება ფოლკლორისტიკაც, დამახასიათებელია ლინგვისტიკის მეთოდოლოგიის გადატანა (ტრანსპოზიცია) ადამიანური სინამდვილის მთელ სფეროზე, მისი სემიოტიკური აღქმა და აღწერა. ამიტომ ენობრივი მასალის ზემოაღნიშნულ ფორმატში კავკასიის ხალხთა ფოლკლორის კვლევებში ჩართვა მიზანშეწონილია და გარკვეული შედეგის მომტანია.

ენობრივთან ერთად შედარებითი კვლევების ერთ რეალიად (და შესაბამისად მიმართულებად) შეიძლება გამოიყოს, მაგალითად, მხატვრული სივრცის რეალია. მხედველობაშია ხალხური ეპოსის მხატვრული სივრცის ორნაწილიანობა (სეკურალურობა და საკრალურობა). კავკასიურ ფოლკლორში დაფიქსირებულია შემთხვევა, სადაც საქართველო და თბილისია მოაზრებული საზღაპრო ეპოსის საკრალური ფუნქციის მქონე მხატვრული სივრცის ნაწილად. მართალია, ეს დაფიქსირებულია საყოფიერო-ნოველისტური ტიპის ზღაპარში, რომლისათვისაც უცხოა ფანტასტიკა, ჯადოსნურობა და „აზროვნების“ მითოსურობა (გარემომცველი სინამდვილის მითოსური აღქმა-განცდა), მაგრამ საზღაპრო ეპოსის ეს სახეობა მაინც ინახავს მითოსის, ჯადოსნურობა-ფანტასტიკურობის ხსოვნას და არაიშვიათად საკუთარ ტექსტებშიც აფიქსირებს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ფოლკლორისათვის უცხოა ჟანრობრივი სტერილუობის მოვლენა. ამიტომ საქართველო და თბილისი ამ ზღაპარში ერთი შეხედვით, სრულიად რეალური სამყაროა (სივრცეა) და „ცხრამთასიქითური“ ქვეყანაა (ქალაქია), სადაც ზღაპრის პერსონაჟები კონკრეტული მიზეზითა თუ მიზნით მიემგზავრებიან (ხვდებიან), მაგრამ ეს ქვეყანა გამორჩეული, სხვებზე აღმატებულ ქვეყნად არის წარმოდგენილი. სადაც ვაჭრობაც, ვაჭრებიც განსახვავებულნი არიან – აღმატებულნი და გამორჩეულნი ყველაფრით, ვითარცა მითოსური არსებები და თბილისიც ჭეშმარიტად ზღაპრული სიმდიდრითა და ადამიანური ყოფით არის გამორჩეული.

მთავარი კი ის არის, რომ თბილისში მოხვედრილი პერსონაჟები სხვანაირები ხდებიან – გამორჩეულები არა ქონებრივად, არამედ პიროვნულად: რაღაცნაირნი – მეტის შემძლენი, პროფესიონალურად მეტის მცოდნენი, უცხო „ზებუნებრივ“ ნიჭიერებას ნაზიარებნი. საქართველოსა და თბილისის ამგვარ განცდასა და აღქმაში აშკარად ჩანს ამ სივრცის საკრალურ სივრცედ წარმოდგენა, რომლის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ სეკულარული სივრციდან მასში შესული პერსონაჟები სხვანაირნი – გაძლიერებულნი ხდებიან და ამგვარად, გამორჩეულნი უბრუნდებიან თავიანთ საარსებო სივრცეს. საქართველოსა და თბილისის ამგვარი განცდა-აღქმა რეალურ დროსა და სივრცეში ქართული სინამდვილის ჩრდილო-კავკასიური ხალხების ისტორიულ დროში დომინანტობის გაცნობიერების ფაქტია. ამგვარი ფაქტები კი, აშკარაა, შედარებითი კვლევებისათვის მეტი შედეგების

მომტანია, რადგან უფრო კონკრეტულნი, ლოკალურნი და კონკრეტული კულტურული ცნობიერების გამომხატველნი არიან.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ კავკასიური ფოლკლორის კვლევებში, სადაც მთავარია შედარებითი მიმართულება, ეს კვლევები დონეებრივად უნდა წარიმართოს. კონცეპტუალურად უნდა დაეფუძნოს ქართული კულტურის საერთო კავკასიური რეგიონის კულტურულ სივრცეში კულტურული დომინანტობის თეზისს, რადგან ამას სხვა ტრადიციულ წყაროებთან ერთად, ცხადყოფს ჩვენი საგრანტო კვლევებით გამოვლენილი ფოლკლორული მასალაც.

1. პირველ და ყველაზე ზოგად დონეზე გაირკვევა გამოვლენილი ფოლკლორული ტექსტების **ჟანრულობა**.

ჟანრული კვლევების პრობლემის გადაწყვეტაში, ცხადია, ანგარიში გაეწევა იმ გარემოებას, რომ ფოლკლორული ტექსტების პუბლიკაციების ინიციატორები ყოველთვის არ უთითებენ ან ზუსტად ვერ უთითებენ ამ ტექსტების ჟანრულობას.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჟანრული კუთვნილების რკვევა ერთიანი კავკასიური ფოლკლორის არსებობის დასაბუთებას ვერაფერს შემატებს. ამას ცხადყოფს უკვე გამოვლენილი ფოლკლორული მასალის ჟანრულობაც. მხედველობაშია გამოვლენილი ზღაპრები, ზოგადად ხალხური ეპოსის ტექსტები, მითიური მოთხრობები, თქმულებები, ლექსები, ანდაზები, გამოცანები და ა. შ.

ფოლკლორული ტექსტების ამგვარი პრინციპით დაყოფა საყოველთაოა და ჩვენს შემთხვევაში კავკასიური ფოლკლორში მხოლოდ აღნიშნული ჟანრების არსებობას დაადასტურებს.

რაც შეეხება ფოლკლორული ტექსტების ეთნიკური (ეროვნული) კუთვნილების რკვევას, აქ ამოსავალი ის არის, რომ ტექსტების პუბლიკატორები თავად მიუთითებენ, ვის (რომელ ხალხს) ეკუთვნის ეს ტექსტები. მართალია, კავკასიის ფოლკლორულ სივრცეში არც თუ იშვიათია დავები იმის თაობაზე, თუ ვისი კუთვნილებაა ესა თუ ის ტექსტი (ამის „კლასიკური“ მაგალითია დავა „ნართების ეპოსის“ გამო), მაგრამ კვლევებში ამ ეტაპზე ამგვარი საყოველთაო გავრცელების ფოლკლორული ტექსტები საერთო კავკასიური ფოლკლორის არსებობის დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ.

შედარებითი კვლევების პირველ დონეს უნდა მიეკუთვნოს **ფოლკლორული მოტივების** გამოვლენაც. დაჯგუფება და საძიებლების შექმნა. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ფოლკლორული მოტივის ერთგვარი უნივერსალიზმი, რომელიც განპირობებულია ადამიანური შემეცნებისა და საკუთარი არსებობის გაცნობიერების ერთგვაროვნობით. ამიტომ მოტივების დონეზე მოსალოდნელია რომელიმე მოტივის არსებობა-არარსებობის დადგენა, რომელიც კონკრეტული ეთნიკური სივრცის სპეციფიკის გამოვლენის შედეგი იქნება.

ფოლკლორული კვლევების ამ (მოტივების) დონეზე მიზანშეწონილი იქნება ფოლკლორული პერსონაჟების აღწერა-დახასიათებაც, რადგან ისინი, როგორც წესი, სწორედ მოტივების (იდეების) პერსონიფიცირებული სახე-ხატებია (მაგალითად, შეუპოვრობის იდეისადმი მსახურების გამოხატვა პერსონაჟის კლდეზე მიჯაჭვის მოტივში), უსაქმური მეოცნებეობის მოტივისა – ნაცრის ქექვის თემაში ნაცარქექიას სახით პერსონიფიცირება და ა. შ.

2. შედეგიანობის თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი იქნება ფოლკლორული კვლევების **მეორე დონე** – გამოვლენილი ფოლკლორული ტექსტების (ზოგადად მასალის) **თემატური ჯგუფების გამოვლენა** და მათი აღწერა-დახასიათება.

თემატიკა ეთნოკულტურის შინაარსობრივი ასპექტების დემონსტრირებაა, იმის მხატვრული აღბეჭდვაა (თანაც ტიპოლოგიზებული), რა იქცევს ხალხის ყურადღებას. თემატიკა ეთნოკულტურის ღირებულებითი სისტემის ელემენტებისა და ელემენტების შინაარსის თხრობაა. ამიტომ თემატიკის დონეზე კვლევებში აუცილებელია ცალკეული თემების განხილვის მიზნად ეთნოკულტურასთან. არა მხოლოდ იმის ჩვენება, თუ რა თემატიკა (თემატური ბუდეები) დასტურდება ამა თუ იმ ჟანრის ფოლკლორულ ტექსტებში, არამედ **კვლევების იმაზე აქცენტირება, რით არის განპირობებული ამ თემის არსებობა** და რამდენად გამომდინარეობს ეს თემა მოცემული ფოლკლორული ტექსტის დამბადი ეთნოკულტურიდან. განსაკუთრებით ეს შეეხება საწესჩვეულებო პოეზიას.

ფოლკლორისტული კვლევების **თემატური დონე განსაკუთრებით შედეგიანი იქნება ისეთი ჟანრების შემთხვევაში, როგორებიცაა თქმულებები, გადმოცემები, ლეგენდები**, რადგან ამ ჟანრების ფოლკლორულ ტექსტებში მთავარია ამბავი, რომელშიც თავისებურად (მხატვრულად) აღბეჭდილია ხალხის (ეთნოსის) ისტორიული დროჟამულობა, საკუთარი არსებობის ადგილის, დროის, მიზნის გაცნობიერების მცდელობა სპეციფიკურ ნარატივში მოქცევით, და რაც მთავარია, ამ არსებობის ნამდვილობის ამბის მხატვრული სივრცის კონკრეტიზების მცდელობით.

3. **მესამე დონეზე** კვლევები უნდა წარიმართოს ეთნოკულტურული ღირებულებითი სისტემის ელემენტების (რეალიების) **გამოვლენის, სისტემატიზებისა** და კომპარატატივისტული კვლევების მიმართულებით, რომელიც ხელს შეუწყობს კავკასიურ ფოლკლორში აღბეჭდილი კავკასიის ხალხთა ეთნოკულტურების ღირებულებითი სისტემის გამოვლენას და ამ კუთხით კავკასიური ფოლკლორის არსებობის მაუწყებელი მასალის შინაარსის დადგენას.

მართალია, ამგვარი კვლევები კონკრეტული ეთნოკულტურის ღირებულებითი სისტემისა და მისი ელემენტების ცოდნას საჭიროებს, მაგრამ კავკასიის ხალხთა ლიტერატურის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სფეროში ამგვარი

ცოდნა უკვე დაგროვილია. ასე რომ, აქ მხედველობაშია ამ მხრივ გამოვლენილი ფოლკლორული მასალის დალაგება-სისტემატიზება. ამოსავალი პრინციპი ეთნოკულტურების ღირებულებათა **სისტემის გამოვლენაში უნდა იყოს მსგავსი (იდენტური) ელემენტები**. ამიტომ ფოლკლორული კვლევები ამ – მესამე დონეზე კულტურული ელემენტების გამოვლენისა და მსგავსება-განსხვავებების პრინციპით სისტემატიზების მიმართულებით უნდა წარიმართოს. ეთნოკულტურების მსგავსი ელემენტები კულტურული ღირებულებითი სისტემის გამოვლენის საფუძველს შექმნის. კულტურული რეალიების (ელემენტების) გამოვლენა და აღწერა-დახასიათება მეტ საბუთიანობას შეიძენს საერთო კავკასიური ფოლკლორის შინაარსის ძიებას, და იგი გამოვლინდება მთლიანური სისტემის სახით.

კულტურა აქ ფართო გაგებით უნდა ვიგულისხმოთ – როგორც სინამდვილის გარდაქმნა, როგორც „კულტურული კოსმოსი“ და აქედან გამომდინარე, როგორც ჰიპერტექსტი, რადგან კულტურაა თავად ტექსტიც და ტექსტია კულტურის არსებობის ფორმა. კულტურა, ენის მსგავსად, ნიშანთა (კონცეფტთა) სისტემაა და მასაც ორი განზომილება აქვს: **პარადიგმული** და **სინტაგმატური**. ეს კი ნიშნავს, რომ კულტურა ერთდროულად არსებობს როგორც ნიშანთა სისტემა, ანუ როგორც კულტურის პარადიგმატიკა და კულტურა არსებობს როგორც ამ სისტემის რეალიზებით მიღებული ტექსტი, ანუ კულტურის **სინტაგმატიკა**.

კულტურა როგორც ნიშანთა სისტემა, კონცეპტების (ელემენტების) სისტემაა, რადგანაც მისი ნიშნები კონცეპტებია. ამ კონცეპტებიდან ზოგი კულტურის, როგორც ტექსტის, ზედაპირზეა (ექსპლიციტურია), ზოგი ტექსტის სიღრმეშია (იმპლიციტურია).

ფოლკლორი, როგორც კულტურის ფორმა და როგორც ნიშნების (კონცეპტების) ღირებულებითი სისტემა ამ კონცეფტების დონეებზე იერარქიულობას შეიცავს. ესაა ფოლკლორის პარადიგმატიკა - ცოცხალ ტრადიციულ ყოფაში ფოლკლორის პროცესუალურად არსებობის **ფორმები** (შესრულების წესი, არსებობის სემანტიკა (ვარიანტებად არსებობა), ფოლკლორული მეხსიერება და ა. შ.) და ფოლკლორის **სინტაგმატიკა**, ანუ ფოლკლორის პარადიგმატიკის რეალიზებით მიღებული ტექსტი.

ყურადღება გამახვილდება ფოლკლორული ტექსტების ჩაწერის ტრადიციებზეც, თუ კი იარსებებს შესაბამისი მონაცემები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ რუსულად გამოქვეყნებულ ტექსტებში ჩაწერის მონაცემები თითქმის არ არის დაფიქსირებული. მითითებულია შუამავალი პირი. ასეთებია სასწავლებლის მოსწავლე, პედაგოგი, ზედამხედველი – ინსპექტორი. თავად მთქმელი იშვიათად არის მოხსენიებული.

კომპარატივისტიკამ კავკასიის ხალხთა ფოლკლორის პრაგმატიკითა და სინტაგმატიკით (ტექსტით) უნდა:

3. დასკვნები

1. გამოავლინოს მულტიფოლკლორიზმის, განსაკუთრებით ინტერფოლკლორიზმის არსებობა და მისი შინაარსი;

2. დაასაბუთოს ერთიანი კავკასიური ფოლკლორული კოსმოსის არსებობა რომელიმე რეალურ დროში.

ჩვენი კვლევებით გამოვლენილი მასალა კავკასიის რეგიონის ინტერფოლკლორიზმის არსებობის ნიშნებს შეიცავს, ქართული კულტურული და ფოლკლორული ცნობიერების დომინანტობით, ოღონდ კულტურული რეალიების დონეზე. კონცეფტების დონეზე (ჟანრები, მოტივები, სიუჟეტები, პერსონაჟები) მხოლოდ მსგავსება დგინდება (მაგალითად, მოტივთა დონეზე – კლდეზე მიჯაჭვის მოტივი, ხოლო პერსონაჟთა დონეზე ჩვენი ნაცარქექია და ქულუბი – ვაინახების ნაცარქექია). ასეთ შემთხვევაში იმის დადგენაც კი შეუძლებელი ხდება, თუ რომელია პირველადი ან ვინ ვისი ორეულია.

ჟანრები, მოტივები, სიუჟეტები, ფოლკლორში გამოკვეთილი უნივერსალიზმით ხასიათდებიან. ამიტომ მათი მსგავსება არაფერს იძლევა, გარდა იმისა, რომ აღნიშნული ტიპოლოგიური უნივერსალიზმის კავკასიურ ფოლკლორში არსებობას ადასტურებენ. ამიტომ ჩვენი კვლევის სტრატეგია უნდა წარმომართოს იმპლიციტური კონცეფტების ძიება-გამოვლენა-ანალიზის მიმართულებით. ამ მხრივ კვლევების პერსპექტიულობას ცხადყოფს ამგვარი ფაქტობრივი მასალა, თუნდაც ჩრდილო-კავკასიური ფოლკლორული ზღაპრის "მღვდელი და ექიმი" СМОМПК, 1868, №5 ტექსტის რუსულ თარგმანში ქართული ტერმინოლოგიური დატვირთვის სიტყვა „ქვესკნელის“, ან მითოსური ფრინველის (პერსონაჟის) ფასკუნჯის არსებობა.

Основные направления исследований фольклора народов Кавказа

проф. Т. И. Джагоднишвили

В работе представлены описания и характеристики основных направлений компаративистических исследований фольклора народов Кавказа. Подчеркивается существование общности фольклорных мотивов, тематики и художественного мировосприятия. Основой данной общности признается существование «единного культурного кавказского круга» с доминантой грузинской культуры.

professor T. I. Jagodnishvili

Resume

Key Words: Folklore, Caucasus cultural circle, Caucasus folklore unity.

The article represented the main tendencies of Caucasus people folk comparativist research description-justifications. There are noticed Caucasus folklore motivations, themes, and artistic consciousness united with broadcaster realities availability. The bases of this unity are recognized as Caucasus circle historical availability with Georgian cultural domination.

ჟურნალისტიკა - Журналистика - Journalism

რედაქტირების განსხვავებული კრიტერიუმები

*გიორგობიანი ქეთევანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ბეჭდვითი პროდუქცია, მედიის ელექტრონული საშუალებები, განსხვავებული კრიტერიუმები, მიზანი, დანიშნულება, ციტირება, ოპერატიულობა, ეფექტურობა.

ტერმინი „რედაქტირება“ ლათინური წარმოშობისაა და ნიშნავს „წესრიგში მოყვანას“. ნებისმიერ მასალას, იქნება ეს საგაზეთო თუ საეთერო, ბეჭდვითი პროდუქცია თუ ტელერადიომაუწყებლობისთვის განკუთვნილი, ესაჭიროება რედაქტორის ხელშეველება. რედაქტირება აუცილებელია როგორც გაზეთებსა თუ ჟურნალებში გამოსაქვეყნებელი სტატიების, ასევე სცენარებისა, რის საფუძველზეც შემდეგ მზადდება ეთერში გადასაცემი სიუჟეტი თუ ინფორმაცია. სცენარის გარეშე მხოლოდ პირდაპირი ტელეტრანსლაცია მიმდინარეობს (სპორტული შეჯიბრებები, პარლამენტის სხდომები, ბრიფინგები და ა. შ.). ბუნებრივია, მხატვრულ ნაწარმოებებსაც და სამეცნიერო სტატიებსაც სასიკეთოდ წაადგება რედაქტირება. რედაქტორს უწევს ბეჭდვითი მედიისა და ტელერადიომაუწყებლობისთვის გამიზნული მასალის რედაქტირება განსხვავებული კრიტერიუმების მიხედვით. აქ იგულისხმება ახალი ამბებისა და ინფორმაციის შერჩევა და მათი მიწოდების სტილი, ენის საშუალებების შესაბამისი გამოყენება, მასალის სტრუქტურა და მისი აგების ხერხები და ა.შ.

რედაქტორი არის ის პიროვნება, რომელიც ტექსტს ასწორებს, ამზადებს საზოგადოებისთვის მისაწოდებლად მიზნისა და დანიშნულების შესაბამისად. მას უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება მრავალფეროვანი სამუშაოს შესრულების პროცესში, რაც მოიცავს მასალის სრულყოფისთვის მუშაობის ყველა ეტაპს. მკვლევართა ერთი ნაწილი რედაქტირებაში გამოყოფს სამ ასპექტს: პოლიტიკურს, სამეცნიეროს და ლიტერატურულს. რედაქტორის მუშაობას ხელნაწერის შინაარსზე უწოდებენ პოლიტიკურ და სამეცნიერო რედაქტირებას, ხოლო ხელნაწერის ფორმაზე (იგულისხმება ტექსტის კიმპოზიცია, ენა და სტილი) ლიტ. რედაქტირებას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ასპექტები ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება და მათ შორის დაუძლეველი ზღვარი, რაღა თქმა უნდა, არ არსებობს.

რედაქტორი, რომელიც ასწორებს ბეჭდვური მედიისთვის განკუთვნილ მასალას, ნაკლებად არის დროში შეზღუდული. მას შეუძლია დაკვირვებით

რამდენჯერმე წაიკითხოს ხელნაწერი, აუჩქარებლად გაიაროს მუშაობის ეტაპები. თუ საჭიროა, შექმნას სამუშაო რეცენზია, შეამოკლოს, გადააკეთოს მასალა, ზოგიერთი პასაჟი თავიდან დაწეროს. ერთი სიტყვით, გულდასმით და თანმიმდევრობით იმუშაოს. მედიის ელექტრონული საშუალებებისთვის განკუთვნილი ტექსტის რედაქტორმა კი სამუშაო უნდა შეასრულოს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში, ამიტომ მოითხოვენ მისგან სწრაფი და ხარისხიანი მუშაობის უნარს. მასალა აუცილებლად უნდა ჩაეტიოს მისი წაკითხვისთვის გამოყოფილ დროში. მაგ. თუკი სიუჟეტისთვის 50 წამია განსაზღვრული, სცენარი ზუსტად ამ დროზე უნდა იყოს გათვალისწინებული. ამიტომ ყოველი სიტყვა მნიშვნელოვანია, სცენარს უნდა მოშორდეს ყველა არაარსებითი ფაქტი, არასაჭირო განმარტება და უნდა მოხერხდეს მაყურებლის და მსმენელის ყურადღების მიპყრობა, დაინტერესება და ინფორმირება შეზღუდულ დროში. გაზეთები ძირითადად გამოდის ყოველდღე ან კვირაში ერთხელ (რა თქმა უნდა, სხვა სიხშირითაც), ამიტომ, ბუნებრივია, არ ასახავს მხოლოდ ბოლო წუთებში მომხდარ მოვლენებს, მკითხველს აწვდის ინფორმაციას მთელი დღის ან კვირის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ და არა მარტო აწვდის, არამედ სათანადო ახსნა-განმარტებასაც ურთავს, ანალიზებს და კომენტარსაც უკეთებს. ტელევიზიისა და რადიოსთვის კი შეიძლება დაგვიანებული აღმოჩნდეს სულ რაღაც ერთი საათის წინ მომხდარი მოვლენის შესახებ მედიამომხმარებლის ინფორმირება. ტელევიზიით შეძლებისდაგვარად ვიღებთ მხოლოდ უახლეს ინფორმაციას, ცხელ-ცხელ ამბებს, სწორედ ამას ელოდება მაყურებელი. თუკი ბეჭდურ მედიაში ხშირია ამა თუ იმ მოვლენის დაწვრილებით გაანალიზება, განსხვავებულ შეხედულებათა შეჯამება, რთული პრობლემების გადაჭრის გზებზე მსჯელობა და სათანადო დასკვნების შეთავაზებაც, ტელევიზიის სტრუქტურიდან გამომდინარე, სადაც ტელერეპორტაჟის ხანგრძლივობა ძირითადად 2 წუთია, ყოველდღიური ახალი ამბებისთვის კი 29-30 წამია გამოყოფილი, აუდიტორიისთვის მხოლოდ ძირითადი ფაქტების მიწოდება ხდება შესაძლებელი, აუცილებლობის შემთხვევაში მცირე კომენტარის თანხლებით. ხანგრძლივი ახსნა-განმარტების საშუალებას ქრონომეტრაჟი ნამდვილად არ იძლევა. დიდი გამოცდილება და პროფესიონალიზმია საჭირო, რომ სწორად შეირჩეს ფაქტის სრულად ამსახველი სიტყვები და ერთი მოვლენიდან მეორეზე გადამყვანი წინადადებები ისე, რომ მაყურებელი არ დაიბნეს, მოასწროს თითოეული ინფორმაციის გააზრება და მოვლენის არსში გარკვევა. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტებს აქვთ კიდევ ერთი ბერკეტი აუდიტორიაზე ზემოქმედების მოსახდენად, ეს არის ინფორმაციის ვიდეომასალით შევსება. როდესაც ეთერში გადის ვიდეოსიუჟეტი, აღარც არის საჭირო მრავალსიტყვაობა. მაგ. როდესაც საუბარია ქარიშხალზე და მის შედეგებზე, სიტყვიერ აღწერილობაზე მეტად მრავლისმთქმელია კადრში გამოჩენილი მოვლენიანი ხე. გადატრიალებული მანქანა და ა.შ. საეთერო მასალის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ კრიტერიუმებს: ოპერატიულობა,

სისწორე, სიცხადე, ლაკონიურობა, ეფექტურობა. ამ მოთხოვნათა შესასრულებლად გვთავაზობენ რამდენიმე რჩევას და რეკომენდაციას: ბეჭდური მედიისგან განსხვავებით საეთერო მასალები უნდა დაიწეროს ყურისთვის და არა თვალისთვის; განსაკუთრებით ფასეულია აზრის მოკლედ, ზუსტად და გასაგებად ჩამოყალიბება; თავი უნდა შევიკავოთ ქვეწოციანი წინადადებებისა და რთული სინტაქსური კონსტრუქციებისგან, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მარტივ წინადადებებს; ძირითადად უნდა დავეყრდნოთ წინადადების მთავარ წევრებს: ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებებს, წინადადების არამთავარი წევრები კი ნაკლებად გამოვიყენოთ; უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მოქმედებით გვარს. უმჯობესია ვთქვათ: „ორგანიზაციამ ჩაატარა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“ და არა „ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ იქნა ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება“. შეძლებიდაგვარად ვეცადოთ გამოვიყენოთ ახლანდელი დრო. აწყო დროის გამომხატველი ზმნები უშუალოდ განცდას აღძრავს. მაგ. „ახალგაზრდა მსახიობი აცხადებს, რომ მისი წარმატება დიდწილად პიესის აქტუალობამ განაპირობა“ და არა „ახალგაზრდა მსახიობმა განაცხადა, რომ მისი წარმატება დიდწილად პიესის აქტუალობამ განაპირობა“. საგაზეთო მასალა საჭიროების შემთხვევაში შესაძლოა შემოკლდეს, თანაც ისე, რომ ძირითადი ფაქტები არ დაიკარგოს, საეთერო მასალის შემოკლება კი ვერ ხერხდება, რადგან ის ერთი მთლიანობაა და შემოკლებისას სიცხადეს საფრთხე დავმუქრება. საგაზეთო მასალაში შესაძლებელია ტიტული ან თანამდებობა მოვათავსოთ როგორც სახელისა და გვარის წინ, ისე მის შემდეგ, საეთერო სცენარში კი უმჯობესია ტიტულისა და თანამდებობის აღმნიშვნელ სიტყვას სახელისა და გვარის წინ მივაკუთვნოთ ადგილი. მაგ. „სხდომას დაესწრო ყოფილი პრემიერ-მინისტრი გიორგი იაშვილი“, „სიტყვით გამოვიდა ასოც. პროფესორი დავით ქებაძე“. დაბეჭდილ სტატიაში კი სიტყვათა ასეთი წყობაც ბუნებრივია „სხდომას დაესწრო გიორგი იაშვილი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი“, „სიტყვით გამოვიდა დავით ქებაძე, ასოც. პროფესორი“. შეძლებისდაგვარად ვეცადოთ არ გამოვიყენოთ აბრევიატურები, თუმცა ეს არ ეხება ყველაზე გავრცელებულ და ყველასთვის ცნობილ აბრევიატურებს, მაგ. ნატო (ჩრდილო ატლანტიკური სამხედრო გაერთიანება), გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) და ა.შ. შემდეგი რჩევაა მოვერიდოთ პუნქტუაციის ნიშანთა ხშირ გამოყენებას, ასევე სიმბოლოების ხმარებას (მაგ. დოლარის ან პროცენტის აღმნიშვნელი ნიშნები). შემდეგი რეკომენდაცია ციფრობრივ მასალას ეხება. თუკი გაზეთში მოყვანილია ზუსტი ციფრები, მაგ. „ათი ათას ას ოთხმოცდაათოთხმეტი ლარი დაიხარჯა ტერიტორიის გასაწმენდად“, საეთერო მასალაში ციფრები მრგვალდება და ეთერში ასე გაიჟღერებს „ათი ათასზე მეტი ლარი დაიხარჯა ტერიტორიის გასაწმენდად“. თუკი ინფორმაციის მიწოდების პროცესში მაყურებელსაც ჩართავთ, აქცევთ მას ერთგვარ ადრესატად, ეს უცილობლად გამოიწვევს მის დაინტერესებას. მაგ. ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ „დღეიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობა ათი თეთრით გაიზარდა“, გავაჟღეროთ შემდეგი

„დღეიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტით ათი თეთრით იაფი დაგიჯდებათ“. რაც შეიძლება ნაკლებად მივმართოთ ციტირებას, მაგრამ თუ ეს აუცილებელია, წყარო უნდა მივუთითოთ ციტირებამდე, რათა იმთავითვე გახდეს ნათელი, ვის ეკუთვნის ესა თუ ის ფრაზა ან სიტყვები. ციტატა ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „მოწმედ მიწვევას“. ციტატას უწოდებენ ტექსტის ნაწილს, რომელიც აღებულია სხვა შრომიდან ყოველგვარი ცვლილების გარეშე. ციტატას იყენებენ საკუთარი თვალსაზრისის გასამყარებლად ავტორიტეტულ წყაროზე დაყრდნობით, ასევე მაგალითისა და ილუსტრაციისთვის, ზოგჯერ საკუთარი თვალსაზრისის დასაპირისპირებლად ციტირებული ავტორის შეხედულებასთან იმ მიზნით, რომ მისი პოზიციის მცდარობა წარმოაჩინონ. რედაქტორის ამოცანა ციტატებთან მუშაობის დროს შემდეგია: დაადგინოს ციტატის გამოყენების აუცილებლობა (ციტატის არასაჭირო დროს და ადგილას გამოყენება სამუშაოს ხარისხზე უარყოფითად აისახება, აკნინებს ნაშრომის ღირებულებას, ზრდის მოცულობას, ამტკიცებს ავტორის დამოუკიდებლად მუშაობის უუნარობას), გაარკვიოს სიზუსტე ციტირებული ტექსტისა, რადგან ტექსტის ნებისმიერი შეცვლა ან შემოკლება შეიძლება გახდეს მიზეზი ნაწარმოების აზრის დამახინჯებისა. რაც შეეხება ციტატის გაფორმებას, ავტორი მოვალეა ციტირებისას შეინარჩუნოს წყაროს ყველა თავისებურება (ორთოგრაფიული, პუნქტუაციური, აბზაცები, შრიფტი და ა. შ.). უნდა ვეცადოთ ასევე, თავი ავარიდოთ განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გამოყენებას, მაგ. ნაცვლად იმისა, რომ ვთქვათ „წვიმამ, თბილმა და შხაპუნამ, გაზაფხულის შემობრძანება გვამცნო“, უმჯობესია ასეთი ფორმულირება „თბილმა და შხაპუნა წვიმამ გაზაფხულის შემობრძანება გვამცნო“, ანუ განკერძოებული განსაზღვრება ჩვეულებრივ განსაზღვრებად ვაქციოთ. იმისთვის, რომ ეთერში სწორად და შეუფერხებლად გაჟღერდეს ძნელად გამოსათქვამი და უცნობი სიტყვები, გვირჩევენ გამოვიყენოთ ფონეტიკური ტრანსკრიფცია.

რედაქტირების განსხვავებული კრიტერიუმები

*გიორგობიანი ქეთევანი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

ნაშრომში საუბარია ბეჭდვითი პროდუქციის თუ ტელერადიომაუწყებლობისთვის განკუთვნილი მასალის რედაქტირების აუცილებლობის შესახებ; აღნიშნულია, რომ რედაქტორის ხელშეკვლევა საჭიროა როგორც გაზეთებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიების, მხატვრული ნაწარმოებების, სამეცნიერო შრომების, ასევე სცენარებისაც, რის საფუძველზეც მზადდება ეთერში გადასაცემი სიუჟეტი. გამონაკლისი მხოლოდ პირდაპირი ტელეტრან-

სლაციაა. ამ მასალების რედაქტირება განსხვავებული კრიტერიუმებით ხდება. ნაშრომში ვრცლად არის განხილული ეს კრიტერიუმები და რედაქტორის მუშაობის მეთოდები ტექსტის მიზნისა და დანიშნულების შესაბამისად. საზგასმულია ის, რომ რედაქტორი, რომელიც ბეჭდვური მედიისთვის განკუთვნილ მასალას ასწორებს, ნაკლებად არის დროში შეზღუდული, მას შეუძლია აუჩქარებლად გაიაროს მუშაობის ეტაპები. განსხვავებული სიტუაციაა მედიის ელექტრონული საშუალებებისთვის განკუთვნილი ტექსტის რედაქტირების დროს, აქ სამუშაო უნდა შესრულდეს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში. საეთერო მასალის მომზადებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოპერატიულობას, სისწორეს, სიცხადეს, ლაკონიურობას, ამიტომ რედაქტორის მუშაობის სტილიც განსხვავებულია.

Different criteria of redaction

*Giorgobiani Ketevan, associated professor,
Georgian Technical University*

Resume

Necessity of redaction of printed production or material intended for TV-radio broadcast is discussed in this work; It is mentioned that redaction of articles, artistic works, scientific works, to be published in newspapers and journals, by the editor is necessary, also - scenarios, based on which topic to be broadcasted in the air is made. Exclusion is only live television broadcast. Redaction of these materials is done with different criteria. This criteria and methods of editor's working, according to aim and purpose of the text, are discussed in this work. It is emphasized that the editor, who corrects the material intended for printed media, is less limited in time, he/she can pass working stages leisurely. There is different situation during redaction of text intended for electronic means of media. Here the work is to be done in strictly defined terms, while preparing air material, special attention is attracted to operativeness, correctness, clearness, effectiveness. That is why working style of the editor is also different.

Key words: printed production, electronic means of media, different criteria, aim, purpose, quote, operativeness, effectiveness.

Различные критерии редактирования

Кетеван Гиоргобиани

Грузинский Технический Университет

Резюме

В работе речь идет о необходимости редактирования материала, предназначенного для печатной продукции или телерадиовещания. Отмечено, что статьи, опубликованные в газетах и журналах, художественные произведения, научные работы, также сценарии нуждаются в рассмотрении редактора, на основе которых приготавливается сюжет, передаваемый в эфир. Исключением является только прямая телетрансляция. Редактирование таких материалов осуществляется различными критериями. В работе подробно рассмотрены эти критерии и методы работы редактора в соответствии с целью и назначением текста. Также отмечено, что редактор, который проверяет материал, предназначенный для печатной медиа, менее ограничен по времени, он может неторопливо пройти этапы работы. Другая ситуация во время редактирования текстов, предназначенных для электронных средств. Здесь все должно быть исполнено в определенные сроки, при изготовлении эфирного материала, внимание обращается на оперативность, точность, ясность, лаконичность, поэтому стиль работы редактора отличается.

Ключевые слова: печатная продукция, электронные средства медиа, различные критерии, цель, назначение, цитирование, оперативность, эффектность.

„დამოუკიდებელი საქართველო“ /1926–1939 წწ./

დათუკიშვილი მანანა, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: გაზეთი, ემიგრანტული, ეროვნულ-დემოკრატიული, ერთიანი ფრონტი, პარტიები, დამოუკიდებლობა.

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ლიდერები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პოლიტიკური ძალების გაერთიანებას, ქართველი ხალხის ამომრავებას საერთო მიზნისათვის ბრძოლაში. 1922 წელს ინტერპარტიული კონფერენცია გაიმართა, სადაც პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანების, ერთიანი ფრონტის შექმნის დიდი სურვილი გამოითქვა, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყოლია. 1924 წლის აჯანყების დამარცხებამ პოლიტიკური პარტიების ლიდერებს უკვე აშკარად დაანახა, რომ წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი ეროვნული ძალების დაქსაქსვა იყო. გადაწყდა ამ ძალების გაერთიანება საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამ მხრივ ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორიაში მნიშვნელოვანია 1926 წელი, როდესაც საქართველოდან დევნილი პოლიტიკური პარტიები – სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები /ესერები/ – გაერთიანდნენ. თავიანთი იდეების გასავრცელებლად კი 1926 წელს ყოველთვიური გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ დააარსეს. გაზეთი გამოდიოდა პარიზში. იბეჭდებოდა ვენურს მიმსგავსებული პარიზული შრიფტის პეტიტით გაზეთის ფორმატის 4 გვერდზე, ზოგჯერ 8 გვერდზედაც, ღირდა 2 ფრანკი. ემიგრანტულ ჟურნალისტიკაში გაზეთი გამორჩეულია გამოცემის ხანგრძლივობით. მან 13 წელს იარსება, სულ გამოვიდა 159 ნომერი, 1939 წელს დაიხურა. სხვადასხვა დროს მისი რედაქტორები იყვნენ: 1926 წლიდან იოსებ გობეჩია /სოციალისტ-რევოლუციონერი, ესერი/, 1929 წლიდან სოციალ-დემოკრატი გრიგოლ ურატაძე, 1936 წლიდან დახურვამდე სოციალისტ-ფედერალისტი, სამსონ ფირცხალავა.

განსხვავებული პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიუხედავად, გაზეთის რედაქტორებს ერთიანი ეროვნული ფრონტის პოზიცია აერთიანებდათ.

„დამოუკიდებელი საქართველო“ განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანოა. გაზეთის პირველსავე ნომერში, მოწინავესა და სხვა საპროგრამო დანიშნულების მასალებში, იგი პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს ერთიანობისაკენ, ერთიანი ფრონტით ბრძოლას და ქვეყნის ხსნას კომუნისტური რეჟიმისაგან. მასში

ვკითხულობთ: „რუსეთი უცხოეთია ჩვენთვის ისე, როგორც სხვა მრავალი ქვეყანა. ჩვენ მას არ ვებრძვიტ, პირიქით, გვსურს კეთილმეზობლობა მასთან, მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერი ვერ შეურიგდება მის თარეშს. დეე მან შემოიღოს თავის საბრძანებელში საბჭოთა თუ სხვა რეჟიმი, ეს მისი საქმეა. საქართველოს კი არ ესაჭიროება მისი თვალთმაქცი მზრუნველობა“. გაზეთი ასევე აცხადებს, რომ ერთიანი ფრონტი და მასში წარმოდგენილი პარტიები დემოკრატიული პრინციპების ერთგულნი იქნებიან.

გაზეთის მესვეურებს კარგად ესმით, რომ ქართველი ერის დასახსნელად რუსეთს ომს არავინ გამოუცხადებს, მაგრამ ხედავენ მტრის ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებასაც და სჯერათ, რომ ხალხის მდგომარეობა ევოლუციის გზით ვერ გამოსწორდება, მტარვალებს /ბოლშევიკებს/ ფიზიკური ძალით თუ მოუღებენ ბოლოს. ეს კი ადრე თუ გვიან მაინც მოხდება. ქართველი ერი ამ მომენტს მომზადებული უნდა დახვდეს. მან ხელიდან არ უნდა გაუშვას შანსი.

გაზეთი თანამემამულეებს ჰპირდება, რომ თვალ–ყურს ადევნებს ჩაგრული ერების ბრძოლას თავისუფლებისათვის. მას სწამს, რომ პოლიტიკური კრიზისის ჟამს ისინი ეცდებიან ხელთ იგდონ დამოუკიდებლობა. ამ ბრძოლაში ქართველი ერი მათ გვერდით დადგება.

„დამოუკიდებელი საქართველოს“ პირველი ნომრის მოწინავე იწყება ეპიგრაფით: „მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ“, რაც გაზეთის მიზანსა და დანიშნულებას გამოხატავს. „დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მთლიანი ფრონტი ერისა განუყოფელ ცნებას წარმოადგენს ჩვენთვის. მათი ერთიმეორისაგან გათიშვა ეწინააღმდეგება საღ წარმოდგენას ერზე და დიდი ვნების მოტანაც შეუძლია მისთვის“, – ვკითხულობთ პუბლიკაციაში.

საპროგრამო დანიშნულება აქვს ასევე პირველ ნომერში დაბეჭდილ სოციალ–დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ნოე ჟორდანიას, წერილს – „ერთიანი ფრონტით“. პუბლიკაცია ოპტიმისტური და იმედისმომცემია. ავტორს ოპტიმიზმის საფუძველს რუსეთის საშინაო მდგომარეობა და მოკავშირე საზოგადოებრივი აზრი აძლევს. პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ამ ბრძოლაში მარტონი არ ვართ. გვყავს სამი დიდი მოკავშირე: ხელისუფლებით უკმაყოფილოა თვით რუსი ხალხი. მას ებრძვიან როგორც რუსი გლეხები, ისე მუშები; მეორე მოკავშირე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრია: მესამე კი ისტორია – კაცობრიობის მსვლელობა ერთა თავისუფლებისა და თანასწორობისაკენ, რომელსაც ვერ შეაჩერებს ვერავითარი ძალა“, ოღონდ საჭიროა ერთიანობა, ერთიანი ძალით მტრის განადგურება. ეროვნულ–დემოკრატიული პარტიის ლიდერი ქართველებს ერთად დგომისაკენ მოუწოდებს. მას ღრმად სწამს, რომ ერთიან ფრონტში დგას უძლეველი ძალა, რომელიც ქართველ ხალხს გამარჯვებას მოაპოვებინებს.

გაზეთის პირველ ნომერში დაბეჭდილია ასევე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების – გიორგი გვაზავასა და შალვა ამირეჯიბის, სოციალისტ-რევოლუციონერის, იოსებ გობეჩიას, სოციალისტ-ფედერალისტის, სამსონ ფირცხალავას პუბლიკაციები. მათ კარგად აქვთ გააზრებული და გაცნობიერებული არსებული რეალობა, ის სირთულეები, რომლებიც ბრძოლის გზაზე გადაეღობებათ, მაგრამ უკან დახევას არ აპირებენ და დარწმუნებულნი არიან მიზნის მიღწევაში.

გაზეთის არსებობის ცამეტი წლის განმავლობაში მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა – ნოე ჟორდანიას, კარლო ჩხეიძის, გიორგი გვაზავას, შალვა ამირეჯიბის, ნოე რამიშვილის, ალ. ასათიანის, ევგენი გეგეჭკორის, დავით ვაჩნაძის, მიხაკო წერეთლის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ზურაბიშვილისა და სხვათა მაღალპროფესიონალურ დონეზე შესრულებული პუბლიკაციები.

თემათა მრავალფეროვნებაზე მეტყველებს რუბრიკათა სიუხვე: „საქართველოს საკითხი უცხოეთში“, „ქართველები უცხოეთში“, „უცხოელები საქართველოს შესახებ“, „უცხოეთში“, „წერილები რედაქციის მიმართ“, „რას წერენ ბოლშევიკებზე“, „ქართველთა კოლონია“, „კავკასიის ამბები“, „თურქეთის ცხოვრებიდან“, „საბჭოთა კავშირის ცხოვრებიდან“, „საბჭოთა საქართველოში“, „ხმა აჭარიდან“, „უცხოეთის მიმოხილვა“, „რუსეთის ამბები“, „მტრის ბანაკში“, „რუსთველიანა“, „სხვადასხვა ამბავი“, „ბიბლიოგრაფია“, „შემოწირულობა“ და სხვ.

როგორც ვხედავთ, მკითხველი ინფორმირებული იყო როგორც საქართველოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების, ისე უცხოეთის ამბების შესახებ.

თითქმის ყველა ნომერში გვხვდება მეთაური სტატია. მათში იმ დროის საჭირობო საკითხებია განხილული. მათი მიზანი ქართველთა გამოფხიზლება, შეკავშირება და ერთიანი ძალით მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად დარაზმვაა. არც სხვა სტატიებსა თუ კორესპონდენციებს აკლიათ ქვეყნის თავისუფლებისათვის საპროპაგანდო მოწოდებები, მაგრამ მოწინავეს თავისი დატვირთვა აქვს. იგი რედაქციის პოზიციის გამომხატველია.

პატრიოტული გრძნობის ასამაღლებლად გაზეთი აქვეყნებს გამოჩენილ ისტორიულ, ან ნაკლებად ცნობილ პირთა შესახებ ბიოგრაფიებს, ნეკროლოგებს, ფოტოპორტრეტებს. ესენი არიან: გენერალი კოტე აფხაზი, გენერალი ვარდენ წულუკიძე, გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, კარლო ჩხეიძე, პოლკოვნიკი ელიზბარ გულისაშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ამბროსი ხელაია, ნოე ჟორდანიას, ნიკო ნიკოლაძე, ნოე რამიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, პეტრე სურგულაძე, მოსე ჯანაშვილი, ნიკო მარი, ვლასა იმნაძე და სხვები. ვეცნობით ასევე ჩვენი ქვეყნის უცხოელი მეგობრების ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ საინტერესო ფაქტებს.

გაზეთში იბეჭდება ისტორიულ–დოკუმენტური, ასევე სხვა, საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი მასალები. 1927 წლის №17–ში ვეცნობით დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან დოკუმენტებს. კერძოდ, საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომის ოქმს. სხდომაზე წაკითხული და დამტკიცებული იყო 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომელსაც ხელს 88 პირი აწერს. მეორე დოკუმენტი დამფუძნებელი კრების პირველი დადგენილებაა. იგი 1919 წლის 12 მარტითაა დათარიღებული. მასში ვკითხულობთ: „საქართველოს დამფუძნებელი კრება – არჩეული პირდაპირი, თანასწორი, საყოველთაო, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით ორივე სქესის მოქალაქეთა მიერ, თავის პირველსავე სხდომაზე, 1919 წლის მარტის 12-ს, ქვეყნისა და ისტორიის წინაშე აღიარებს, რომ ის სავსებით იღებს და ადასტურებს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის მაისის 26–ს, ნაშუადღევს 5 ს. და 10 წ. თბილისში გამოცხადებულს საქართველოს აქტს“. ირვევა, რომ კრებაზე დამოუკიდებლობის აქტს სხვებიც შეუერთდნენ და ხელმომწერთა რიცხვი 101 გახდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დედანი 2000 წელს შვეიცარიაში, ქ. ციურიხში, შვეიცარიელი ქართველოლოგი ქალის, ლეა ფლურის, კოლექციაში პროფ. გ.შარაძემ აღმოაჩინა და საქართველოს დაუბრუნა / ხელმოწერები დადგენილია და მისი გაცნობა შესაძლებელია პროფ. გ.შარაძის წიგნში „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ.2/.

„დამოუკიდებელ საქართველოში“ დაბეჭდილია 1924 წლის აჯანყების ისტორიისათვის საინტერესო მასალაც. მართალია, ამ საკითხზე ემიგრანტულ ჟურნალისტიკაში ბევრი იწერებოდა, მაგრამ ფაქტებისა და დეტალების სიუხვით გაზეთი გამორჩეულია. მაგ.: საქართველოს უახლოეს ისტორიაში უცნობია 1924 წლის ამბოხების მონაწილე გმირი ქართველი ქალის, ხევსური მზექალას არსებობა. გაზეთი გვაწვდის მის შესახებ საინტერესო ცნობებს. იბეჭდება წერილები, რომლებიც მზექალას თავდადებასა და თავგანწირვაზე, მის ცხოვრებაზე მოუთხრობს მკითხველს. პროფ გ. შარაძე სამართლიანად შენიშნავს: „ამით მაია წყნეთელის, თამარ ვაშლოვანელისა და სხვა გმირ ქართველ ქალთა სახელებს ემატება უცნობი ხევსური მზექალას სახელი, რომელსაც ერთი ფრანგი მწერალი ჟანა დარკსაც ადარებსო“[1].

ასევე საინტერესო ცნობებია 1924 წლის ამბოხების მეთაურთა – გენ.კოტე აფხაზის, ვარდენ წულუკიძის, გენ. ალ.ანდრონიკაშვილის, პოლკ. გ ხიმშიაშვილის, პოლკ. როსტომ მუსხელიშვილის, პოლკ. ელიზბარ გულისაშვილისა და სხვათა შესახებ. გაზეთი მათ შესახებ ვრცელ ბიოგრაფიებს აქვეყნებს.

უცნობი მასალები გვხვდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისათვის. 1928 წლის გაზეთის №25–ში გამოქვეყნებულია დამოუკიდებელი

საქართველოს მთავრობის წევრის, აკაკი ჩხენკელის, მოგონება „თბილისის უნივერსიტეტის დაარსება“. ავტორი იხსენებს იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებს, რომელთა წინაშეც აღმოჩნდნენ უნივერსიტეტის გახსნის ორგანიზატორები. ფაქტები სიახლის შემცველია და რაც მთავარია, სარწმუნო. აკაკი ჩხენკელი თვით იყო განვითარებული მოვლენების მომსწრე და მონაწილე. იგი აქტიურად იყო ჩაბმული ამ დიდი ეროვნული საქმის წარმატებით დაგვირგვინებაში. 1918 წლის 26 იანვარს ეროვნული საბჭოს სახელით ქართული უნივერსიტეტის გახსნა მას დაევალა და საზოგადოებასაც პირველმა მან მიმართა. ამდელვებელია, როცა პუბლიკაციაში ვკითხულობთ: „ დიდი იყო დამსწრე საზოგადოების რიცხვი. ხალხს ვერ იტევდა საზეიმო დარბაზი. ვერც განიერი დერეფნები, თვით ეზოშიც ბევრი კანკალებდა სიცივისაგან. ამოტელა, უადგილობრით გაწბილებულ ხალხს სხვა არ დარჩენოდა რა, გარდა იმისა, რომ ბანი დაეწია დარბაზიდან მოღწეულ ვაშა-ტაშისათვის.

საყურადღებოა, გარდა მოსწავლე-ახალგაზრდობისა, ბლომად იყო მდაბიო ხალხი: მუშა, ხელოსანი, ვაჭარი... უკანასკნელნი სჭარბობდნენ კიდეც პირველს. რაც შეეხება პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, მათ შორის არ ჩანდნენ ოფიციალური პირები. აღსანიშნავია მხოლოდ ჩვენი მეზობლების დელეგაციები, რომელთაც მოსალოცი სიტყვები წარმოთქვეს.

ჩვენ ვხსნიდით, ასე ვთქვათ, კერძო უნივერსიტეტს: მას კიდეც არ ერქვა „სახელმწიფო“, რადგან უკანასკნელი მხოლოდ ოთხი თვის შემდეგ გაჩნდა“.

როგორც გაზეთიდან ირკვევა, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია მზურვალედ გამოეხმაურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების მეათე წლისთავს, რასაც მოწმობს პარიზში გამართული საიუბილეო საღამო, რომლის ანგარიში სათაურით „ქართული უნივერსიტეტის დღესასწაული“, გამოქვეყნდა „დამოუკიდებელი საქართველოს“ №27-ში. მასში ვკითხულობთ: „ 26 იანვარს შესრულდა მეათე წლისთავი დღიდან ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა თბილისში. ამის აღსანიშნავად გაიმართა საზეიმო კრება პარიზში, 19 თებერვალს, ჟუფრუას დარბაზში. კრებას დაესწრო დიდძალი ხალხი. ბევრი იყო ქართველნი, უფრო ბევრნი – ჩვენი მეგობარი ფრანგები, წარმომადგენელნი პრესის და პოლიტიკის; დაესწრნენ აგრეთვე წარმომადგენელნი ჩვენი მეზობელ ქვეყნების: უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის და ჩრდილო კავკასიისა. კრება გახსნა საქართველოს ელჩმა ბ. ა. ჩხენკელმა...“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისათვის საინტერესოა პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთში დაბეჭდილი ექვთიმე თაყაიშვილის მოგონება. პუბლიკაციაში დიდი სითბოთი და პატივისცემის გრძნობით არის დახასიათებული ქართველი მეცნიერი, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი მნიშვნელოვანი ეტაპი, წარმოჩენილია ამ დიდი პიროვ-

ნების დღემდე უცნობი დეტალები. პუბლიკაციიდან ირკვევა, რომ დადებითი თვისებებით შემკულ პეტრე მელიქიშვილს ერთი პატარა ნაკლიც ჰქონია, იგი ფიცხი ყოფილა და ზოგჯერ თავს ვერ აკონტროლებდა. ექვთიმე თაყაიშვილი იხსენებს: „იყო შემთხვევა, არასასიამოვნო: ერთხელ მას უნივერსიტეტის საპროფესორო ოთახში ერთს თუ ორ კოლეგასთან ლაპარაკი მოსვლოდა, მოთმინებიდან გამოსულიყო და არასაკადრისი სიტყვები ეხმარა, შემდეგ გულმოსულს განეცხადებია, რომ ის თავს ანებებს რექტორობასაც და პროფესორობასაც უნივერსიტეტში და წასულიყო. რაში იყო საქმე არც დღეს ვიცი და არც საინტერესოა, ხოლო როცა ეს ამბავი ივანე ჯავახიშვილმა გადმომცა, მთხოვა, წავსულიყავი პეტრესთან და ეს საქმე როგორმე მომეგვარებინა, თუ მაინდამაინც რექტორობას თავს დაანებებდა, პროფესორობა განეგრძო...“

ჩემმა გულწრფელმა ლაპარაკმა მის ნაზ გულზე იქონია გავლენა, ტირილი მოუვიდა, გული ამოესკვნა. ასე რომ, იძულებული ვიყავი წყალი მიმეწოდებინა. ძლიერ გულჩვილი ადამიანი აღმოჩნდა. ცხადი იყო, პეტრე თავის თავს უფრო სასტიკ მოთხოვნილებას უყენებდა, ვიდრე სხვას. გრძნობდა, არ უნდა დაემვა არასაკადრისი სიტყვები, რომელთა შემდეგ მას უხერხულად მიაჩნდა უნივერსიტეტში დარჩენა, კოლეგების რცხვენოდა. ბაასი გაგრძელდა. პეტრე დამშვიდდა, გადამკოცნა, დამეთანხმა, რომ მისი წასვლა უნივერსიტეტს ავნებდა, პროფესორად დარჩენაზე დამთანხმდა, ხოლო რექტორობაზე უარი თქვა“.

გაზეთი სისტემეტურად აქვეყნებდა ინფორმაციებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ. დიდ ყურადღებას უთმობდა აფხაზეთის საკითხს და მკითხველს საქართველოს ოკუპაციის პირველი დღეებიდანვე ამ კუთხეში განვითარებულ მოვლენებს აცნობდა. 1933 წელს /NN86-92/ „გენოს“ ფსევდონიმით დაიბეჭდა წერილების სერია „აფხაზეთი უახლოეს წარსულში და დღეს“. მკითხველი ეცნობა 1920-30-იანი წლების საქართველოს ამ კუთხის მძიმე სოციალ-პოლიტიკურ ვითარებას, მის გამომწვევ მიზეზებს. მასალები სიახლის შემცველია და ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს დღევანდელი მკითხველისა და აფხაზეთის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

„დამოუკიდებელი საქართველო“ პოლიტიკური ორგანო იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, მის ფურცლებზე დაიბეჭდა ექვთიმე თაყაიშვილის, ვიქტორ ნოზაძის, მიხაკო წერეთლის, გიორგი გვაზავას, ნოე ჟორდანიას, დავით ვაჩნაძის, მიხეილ მუსხელიშვილის, კონსტანტინე კანდელაკის, ისიდორე მანჭავასა და სხვათა მაღალმეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომები, ნარკვევები, წერილები. დიდი ყურადღება ეთმობა ახალ და უახლეს ქართულ მწერლობას, ლიტერატურულ კრიტიკას. ვრცელი ნაშრომები ეძღვნება ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა ცხოვრებასა და

შემოქმედებას, მიხ. ჯავახიშვილის არსენა მარაბდელისა და ჯაყოს ხიზნების კრიტიკულ განხილვას. რუსთველოლოგიით დაინტერესებული მკითხველისათვის განსაკუთრებით ფასეულია ნოე ჟორდანიას „ვეფხისტყაოსნის საკითხები“ /1937, NN132,133,135,137/ და გიორგი გვაზავას „რუსთაველი და მისი შემოქმედება“, რომელიც ავტორს მოხსენების სახით წაუკითხავს 1938 წლის 30 იანვარს პარიზში გამართულ „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე /1938, N143/.

გაზეთში დაბეჭდილი ყოველი პუბლიკაციის მიზანი თანამემამულეებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებაა. იგი ამხელდა ქვეყნის ავისმოსურნეებს, რუსეთის საშიშ პოლიტიკას. თანამემამულეებს მოუწოდებდა ერთად დგომისაკენ და ერთიანი ფრონტით ბრძოლას მიზნის მისაღწევად.

„დამოუკიდებელი საქართველო“, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1939 წელს დაიხურა. იგი ემიგრანტულ ჟურნალისტიკაში გამორჩეულია როგორც გამოცემის ხანგრძლივობით /13 წელს იარსება/, ისე თემატური მრავალფეროვნებითა და ანალიზის სიღრმით.

ლიტერატურა:

1. 1. შარაძე გ., „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია“, ტ.2, 2002..

გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ /1926–1939/

*მანანა დათუკიშვილი, ასოცირებული პროფესორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

1926 წელს საქართველოდან დევნილი პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ, თავიანთი იდეების გასავრცელებლად კი ყოველთვიური გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ დააარსეს. გაზეთი გამოდიოდა პარიზში 1926–1939 წლებში.

„დამოუკიდებელი საქართველო“ განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანოა. პირველი ნომრის მოწინავე იწყება ეპიგრაფით: „მთლიანი ფრონტით დამოუკიდებლობისაკენ“, რაც გაზეთის მიზანსა და მრწამსს გამოხატავს.

„დამოუკიდებელ საქართველოში“ დაბეჭდილი ყოველი პუბლიკაციის მიზანი თანამემამულეებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებაა. იგი

ამხელს ქვეყნის ავტონომიურობებს, რუსეთის სამომხ პოლიტიკას. პოლიტიკურ პარტიებს მოუწოდებს ერთად დგომისაკენ, ერთიანი ფრონტით ბრძოლას და ქვეყნის ხსნას კომუნისტური რეჟიმისაგან.

გაზეთი გამორჩეულია თემატური მრავალფეროვნებითა და ანალიზის სიღრმით.

Газета «Независимая Грузия» (1926-1939)

*Манана Датукишвили, ассоциированный профессор,
Грузинский Технический Университет*

Резюме

Ключевые слова: газета, эмигрантский, национально-демократический, единый фронт, партии, независимость.

1926 году политические партии, гонимые из Грузии, объединились. Для распространения своих идей основали ежемесячную газету «Независимую Грузию». Газета выпускалась в Париже 1926-1939гг.

«Независимая Грузия» являлась органом борьбы за свободу. Передовая статья первого номера начинается эпиграфом: «Всем фронтом за независимость», что выражала цель и убеждение газеты.

Целью каждой публикации в газете «Независимая Грузия», являлась повышение патриотического духа среди соотечественников. Она изобличает лиц, желающих стране зла, опасную политику России. Призывает политические партии стоять вместе, бороться единым фронтом и спасти страну от коммунистического режима.

Газета отличается тематическим разнообразием и глубиной анализа.

Newspaper “The Independent Georgia” (1926-1939)

*Manana Datukishvili, Associate Professor
Georgian Technical University*

Abstract

Key words: newspaper, immigrant, national-democratic, united front, parties, independence

Political parties which were persecuted in 1926 from Georgia united. For the purposes of spreading their ideas, they established the monthly newspaper “The Independent Georgia”. The newspaper was released in Paris within 1926-1939.

“The Independent Georgia” is a body for liberation war. Leading article of the first publication starts with the epigraph: “With the whole front to independence”, which express the aim and credo of the newspaper.

Each publication published in “The Independent Georgia” aims to raise public spirit in nationals. It discloses ill-disposed persons of the country. It calls political parties for standing together, fighting with united front and saving the homeland from communism.

The newspaper is distinguished with its thematic diversity and depth of analysis.

Дискуссия и ее роль в процессе коммуникации

Борис Имнадзе, профессор

Грузинский технический университет

Ключевые слова: аналитика, учебная дискуссия, диспут.

Среди приемов, способствующих развитию у будущих журналистов умений и навыков коммуникации на аналитические темы одним из наиболее интересных и полезных является проведение учебной дискуссии, организации диспута, в процессе которых достигается решение основной задачи коммуникации. Они рассматриваются в тесной связи с выполнением учебных планов и программ без нарушения их логики, без искусственного “привязывания” их друг к другу. Естественно, при этом могут быть использованы различные наглядные пособия, которые обеспечивают занятия богатейшим материалом для ведения беседы в русле, обеспечивающем доказательность выдвинутых проблем, которые могут убедить собеседника (любого обучающегося) в привлекательности выдвинутой темы.

Основные требования к организации диспута в процессе нашего эксперимента сводятся

- предметом обсуждения выбирается реальная проблема, которая не имеет очевидности и однозначного решения;
- проблема должна быть понятной и хотя бы в общих чертах знакома в большей или меньшей мере каждому участнику диспута;
- необходимо быть знакомым хотя бы в общих чертах с распространённой точкой зрения на предмет обсуждения;
- заранее должна быть подготовлена четкая аргументация предлагаемой собственной точки зрения;
- руководство ходом диспута посредством постановки четко сформулированных вопросов, способствующих анализу конкретных фактов;
- обязательным является предварительная подготовка формулировки выводов;
- особо важно знание готовности обучаемых к ведению соответствующего диспута;
- для организации публичного спора студентов следует познакомить с механизмом доказательства и опровержения.

Как известно, механизм логического доказательства складывается из трех взаимосвязанных элементов: тезис, аргумент, способ доказательства.

Всякое подлинное научное знание – это знание доказательное, знание обоснованное, а потому всякое доказательство есть оправдание истинности суждения. Выше было отмечено, что, каждое доказательство состоит из трех частей: а) доказываемое положение или тезис. Тезис – это заданное суждение, истина, которую нужно доказать; б) основания, т.е. те суждения, истинность которых установлена и из которых вытекает тезис; в) демонстрация, иначе рассуждение, которое устанавливает логическую связь между основаниями и тезисом.

Доказательство часто делят на дедуктивные и индуктивные, тут следует иметь в виду, что своеобразие этих вопросов доказательств сводится к своеобразию соответствующих форм умозаключения.

Деление доказательств на виды, которые отличаются друг от друга не формой умозаключения, в которые они облакаются, а своеобразием хода самого доказательства, будет деление их на прямые и косвенные.

Сущность прямого доказательства в следующем.

Дан тезис (суждения), который нужно доказать, подбираются суждения, и их сопоставление оправдывают тезис. В простейших случаях делается упор на уже имеющиеся знания или опыт.

Конечно, ход доказательства не так прост, обычно оно выливается в целый ряд умозаключений, одно из которых становится основанием для данного тезиса.

Когда мы о чем – то рассуждаем, если это не есть живое созерцание, суждение нужно обосновать, изучить, проанализировать целый ряд фактов, изучить историю, и лишь на основании этих знаний можно прийти к правильному выводу.

В первую очередь следует обратить внимание и исходить из положения о сути журналистики: журналистика – средство массовой информатики, одновременно это также средство массовой коммуникации. Это два диаметрально противоположные понятия: информация – сообщение о происходящих явлениях, коммуникация же общение на ту или иную тему с конечным результатом, убедить собеседника, сделать его своим единомышленником.

Современное общество переполнено информационными потоками – именно они- то и нуждаются в обработке, что является одной из обязанностей журналистики. Между тем следует отметить, что своевременные СМИ не только положительно влияют на общество, воздействуют на массовое сознание, но порой ведут и подрывную деятельность в отношении общества (Э. Тофлер “Метаморфозы власти”).

Учитывая вышеизложенное, обучающему следует досконально изучить состав обучающихся, без чего невозможно достижение конечной цели коммуникации – убеждения, иначе говоря завершение диспута в пользу выдвигаемого тезиса.

Многолетний опыт преподавательской деятельности позволяет сделать вывод, что полная форма дискуссии не может быть успешной без включения в нее тех или иных моделей коммуникации. Из великого их множества мы выделяем в данной статье лишь три модели, ибо считаем, что наиболее четко достичь успеха в диспуте можно только на основе использования речевой коммуникации.

Основное понятие речевой коммуникации – суть которой заключается – делаю общим в результате общения. Коль скоро будет достигнуто тем полнее будет вырисовываться достижение успеха по теме диспута.

Модели возникают в зависимости от задач, которые стоят перед исследователем, поэтому в процесс диспута вносятся такие изменения в коммуникацию, которые будут способствовать переводу своего адресата на новый (другой) стиль поведения.

Итак, предлагаем использовать в первую очередь результаты двухступенчатой модели коммуникации, суть которой заключается в том, что воздействие сразу после получения сообщения и через определенное время после не падает, а растет. С чем связано это явление?

Оказывается (по верному утверждению Поля Ласвельда) получаемая информация всегда становится предметом беседы обсуждений (диспута) с лидерами мнения. В результате из одноступенчатой модели коммуникации (СМИ – получатели) возникает двухступенчатая (СМИ – лидеры мнений – получатели). Итак, если на первом этапе основным является передача информации (может предмет дискуссии), то в дальнейшем, на следующем этапе в действии вступает передача влияния, от качества которого и зависит результат диспута. Как видим, в процессе диспута важно обеспечить сторонников представленного тезиса необходимым числом лидеров мнения – они-то и смогут распространить эту свою убежденность дальше. Отсюда вывод о приоритетности межличностной коммуникации над массовой при попытках убедить аудиторию. Итак, опора на лидеров мнения есть средство осуществления основной цели коммуникации, (исторически оно всегда было принуждением другого к выполнению нужного нам действия – дискуссия завершилась положительно.

Следующая модель коммуникации, которая с успехом может быть использована в процессе проведения диспута открыла Е. Ноель-Ноиман. Модель эта носит несколько названий: “СПИРАЛЬ МОЛЧАНИЯ”, “ЭФФЕКТ ОРКЕСТРОВОГО ВЫГОНА”, “СДВИГ ПОСЛЕДНЕЙ МИНУТЫ”. Суть этой модели заключается в том, что ведущий дискуссию может манипулировать мнением участников диспута за счет предоставления слова меньшинству вместо большинства. По ее гипотезе человек, ощущающий себя в меньшинстве, больше молчит и не высказывает своего мнения,

выходит, что он присоединяется к большинству, когда же ведущий корректирует картину реального распределения, делая большинство меньшинством, оно замолкает.

Каждому хочется быть среди победителей, в результате получается сдвиг – да и название отсюда вытекает – эффект оркестрового вагона. В основе этого явления – страх остается в одиночестве. Быть с победителем для каждого почетно. В результате и происходит смещение, либо он переходит на сторону большинства, либо вовсе замолкают.

Наконец, третья модель коммуникации “Диффузная теория”, которая должна учитываться в процессе проведения диспута.

Эта теория связана с именем американского ученого Роджерса, который установил, что не все люди одинаково относятся к новостям (сообщаемому, дискуссионному). Одни из них предельно консервативны, другие легко включаются в новые процессы. Поэтому следует воздействовать всех одновременно.

2008 წლის 20 ივნისს საინფორმაციო სააგენტო „გრუზია-ონლაინმა“ გამოაქვეყნა წერილი სათაურით „ავვისტოში ვლადიმერ პუტინი საქართველოს წინააღმდეგ ომს იწყებს“, რომელშიც რუსი სამხედრო ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი ამტკიცებდა, რომ „**მოსკოვში საქართველოსთან ომის დაწყების გადაწყვეტილება მიღებულია და სავარაუდოდ, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საომარი მოქმედებები ავვისტოში დაიწყება**“.

პაველ ფელგენგაუერი კი ის რუსი სამხედრო ექსპერტია, რომელიც დაახლოებულია კრემლთან და რომლის პროგნოზებიც ხშირად მართლდება ხოლმე.

იმდროინდელ ქართულ მედიაში ამ ინფორმაციას არანაირი გამომხატურება არ მოჰყოლია. არც მაშინ აუტეხავს განგაში ჩვენს მედიას, როცა ცხინვალიდან ოსი მოსახლეობის (ქალებისა და ბავშვების) ევაკუაცია დაიწყო. ევაკუაციის პროცესი კი გააშუქეს ტელევიზიებმა, მაგრამ არავის გაუფრთხილებია ე. წ. „ჩაკეტილ ზონაში“ მცხოვრები ცხრა ქართული სოფლის მოსახლეობა, რაოდენ დიდი საფრთხის წინაშე იდგნენ ისინი. უფრო მეტიც, მედიასაშუალებებიდან აქტიურად დუნდებოდა მათი ყურადღება, რადგან ამ ფაქტს „ცრუ განგაშს“ და ტყუილს უწოდებდნენ, რაც სიცრუე სულაც არ აღმოჩნდა და ერთ კვირაში დიდი ღიახვის ხეობის ძირძველი სოფლები, თავისი მშვიდობიანი მოსახლეობით, ომის ეპიცენტრად იქცა.

ეს იყო ქართველი ჟურნალისტების უპატიებელი შეცდომა – იმდროინდელი ხელისუფლების აპოლოგეტმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მა თვალახვეულ ბრმასავით ატარა თავისი მაცურებელი და უფსკრულის პირას შეუშვა ხელი...

ჟურნალისტი თავისი არსით საზოგადო მოღვაწეა. ის, თუკი დასჭირდა, ზოგჯერ საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც არ უნდა შეუშინდეს უსამართლობას და ნებისმიერ სახელმწიფო მოხელეს, კანონიერების ფარგლებში მოსთხოვოს, პასუხი გასცეს ყველა იმ კითხვას, რაც ქვეყნის და ერის ინტერესებში შედის. რაც, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა ავვისტოს ომის დაწყებამდე და მის შემდეგაც.

დიდი ხანია დღის წესრიგში დგას სამხედრო ჟურნალისტების მომზადების აუცილებლობა. ამას საჭიროებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული სინამდვილე. ათეული წლებია, ერთი და იგივე შეცდომები მეორდება (გავიხსენოთ, თუ როგორ პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ ქართველი ჟურნალისტები ქვედანაყოფების გადაადგილებას, რეზერვისტების ადგილსამყოფელს... ამით მოწინააღმდეგეს სასურველ ინფორმაციას აწვდიდნენ, ხოლო საკუთარ ხალხს პანიკაში აგდებდნენ).

ყველა ჟურნალისტი არ უნდა აშუქებდეს სამხედრო საკითხებს, ყველა ჟურნალისტი ვერ შეძლებს კონფლიქტური რეგიონებიდან რეპორტაჟებისა და სტატიების მომზადებას, რადგან ამდაგვარი თემების გაშუქებას სპეციალური მომზადება სჭირდება. აუცილებელია იმ საფრთხეების გათვალისწინება, რომლებშიც დღემდე გვიხდება არსებობა და რომელთა გათვალისწინებლობამაც დღემდე – მეტად არასახარბიელო მდგომარეობამდე მოიყვანა ჩვენი ქვეყანა.

მსოფლიოში მცხოვრები ყველა ერისათვის იდეალურია ის ვითარება, რომელშიც თითოეულ მოქალაქეს „ადამიანის უფლებებით“ სარგებლობის შესაძლებლობა აქვს. უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის ბრძოლა განუწყვეტელი პროცესია. წარმატების მიღწევა კი შეუძლებელია ინფორმაციის მიღების გარეშე.

ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები, სტატიები და რეპორტაჟები ამტკიცებენ იმას, თუ რაოდენ ინფორმაციულ სიბნელეში ამყოფა ხელისუფლებამ და მასზე ორიენტირებულმა მედიამ საკუთარი მოსახლეობა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს.

უკვე დიდი ხანია, დადგა დრო საქართველოში შეიქმნას ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომელიც წარმატებით გაუმკლავდება იმ გამოწვევებს, რომელთა წინაშეც დგას სახელმწიფო.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კანონი პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ.
2. Поченцов Г.Г., Информация и дезинформация, Киев: Ника-центр, 2001.

ჟურნალისტის პასუხისმგებლობა ექსტრემალური თემების გაშუქებისას

რეზიუმე

ყველა ჟურნალისტი არ უნდა აშუქებდეს პრობლემებს კონფლიქტური რეგიონებიდან, რადგან ამგვარი რეპორტაჟებისა და სტატიების მომზადებას სპეციალური ცოდნა, სიფრთხილე და გამოცდილება სჭირდება. აუცილებელია ჟურნალისტების მიერ იმ საფრთხეების გათვალისწინება, რომლის წინაშეც დგას სახელმწიფო. დროა საქართველოში შეიქმნას ისეთი საინფორმაციო სისტემა, რომელიც გაუმკლავდება თანამედროვეობის გამოწვევებს.

Резюме

Не все журналисты должны освещать проблемы из конфликтных регионах, из-за таких докладов и подготовки статьи необходимо специальное знание, проявлять осторожность и опыт. Необходимо со стороны журналистов учитывать эти угрозы, перед чем сталкивается государство.

Настало время создать в Грузии такую информационную систему, которая будет справиться с проблемами современности.

The responsibility of journalists covering the topics extreme

Summary

Place all the journalists should not cover the problems of conflict regions, because of such reports and articles preparations to special knowledge, exercise caution and experience needed.

Necessary to consider the threats by journalists, which the front of steady state. It's time to create such a information system in Georgia, which to cope with the challenges of modernity.

Key words: journalist, conflict regions, information, challenge

სოციალური და ზოგადსამეცნიერო დისციპლინები -
Социальные и общенаучные дисциплины –
Social and scientific disciplines

ევროპა და საქართველოს სამომავლო განვითარების
პერსპექტივები

პროფ. ნინო გომართელი
ასოც. პროფ. ნინო ზაალიშვილი

საკვანძო სიტყვები: ინტეგრაცია, ევროკავშირი, გაფართოება, დემოკრატია, ვიზალიზირება.

საერთაშორისო თანამეგობრობის სისტემაში სრული ინტეგრაცია სახელმწიფოებრიობის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. დღეს საქართველოსათვის შექმნილია დასავლურ სამყაროსთან დაბრუნების ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება, მასთან პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული ინტეგრაციის რეალური ისტორიული შესაძლებლობა. საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევროპულ თანამეგობრობაში საკუთარი ადგილის განსაზღვრის ამოცანას.

ქართველი ხალხის სწრაფვამ ამ ევროატლანტიკური სტრუქტურებისაკენ კიდევ უფრო აქტუალური გახადა ჩვენი ქვეყნის წარსულის ახლებურად გააზრება, ჩვენი ტრადიციული ორიენტაციის ძირითადი მიზეზების ახსნა, იმის გარკვევა, თუ რა აერთიანებს საქართველოს ევროპასთან და როგორ აისახება ევროპული იდეები ქართველი ხალხის აზროვნებასა და ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე.

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში უმთავრესი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევის პრობლემა იყო. საქართველოს საგარეო პოლიტიკაში ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცების, აყვავებისა და ცივილიზირებულ სამყაროში ადგილის დამკვიდრებისათვის ერთგული მოკავშირის ძიების პრობლემა დღემდე აქტუალურია. აქედან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და შემდგომში მშენებლობის საქმეში უდიდესი როლი უნდა მივანიჭოთ დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან არსებული დიპლომატიური ურთიერთობების შესწავლას. საქართველოს საგარეო პოლიტიკის მიმართულებასა და ხასიათს ძირითადად განსაზღვრავდა რელი-

გიური ფაქტორი, რაც ყველაზე ძლიერი ინდიკატორი იყო საუკუნეების მანძილზე. ჩვენი საგარეო პოლიტიკა თითქმის ყოველთვის ქრისტიანული სახელმწიფოების დახმარებაზე იყო ორიენტირებული. რელიგურმა ფაქტორმა უდიდესი როლი შეასრულა ევროპის, როგორც ერთიანი გეოკულტურული სივრცის ფორმირებაში (1, 10). ოდითგანვე ქართველთა სწრაფვა ევროპისაკენ განპირობებული იყო სულიერი საიხლოვით, მუსლიმურ სახელმწიფოთა გარემოცვაში მოქცეული ჩვენი ქვეყანა სწორედ ამ სივრცეში ეძებდა თავისი ეროვნული უსაფრთხოების ერთგვარ გარანტს.

ევროპა ჩვენთვის არის არა უბრალოდ რაციონალური არჩევანი, არამედ ეს ჩვენი ისტორიული სახლია. სიტყვაში - ევროპა - განსახიერებულია ყველაფერი, რისკენაც საქართველო მიისწრაფვის. ეს არის თითოეული მოქალაქის თავისუფლება და კანონის უზენაესობა, კეთილდღეობა და თანასწორობა, მშვიდობა და ნათელი მომავალი, განვითარების პირობები ყველასათვის. რაც მთავარია, ესაა ჩვენი უნიკალურობის, თვითყოფადობის სრულად რეალიზების ახალი სივრცე. ესაა გზა საქართველოს ერთიანობისკენ (1, 29-30).

ევროინტეგრაციის გზაზე საქართველო დგამს წარმატებულ ნაბიჯს, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს ჩვენს მომავალს ევროპულ სახელმწიფოთა ერთიან ოჯახში. ევროკომისიამ თავის ანგარიშში საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ წარმატებით შეასრულა ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებები და სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციისათვის საჭირო ყველა რეფორმა სრულყოფილად განახორციელა. სწორედ წარმატებული რეფორმების შედეგად ჩვენმა ქვეყანამ უკვე მიაღწია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ევროკავშირის მხრიდან პოზიტიური შეფასება ვიზალიბერალიზაციის გზაზე თავისუფალი, ძლიერი, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შენების ურყევ საფუძველს კიდევ უფრო განამტკიცებს (2, 61).

ევროკავშირი აღიარებს ჩვენი ქვეყნის განუხრელ ერთგულებას ევროპული ფასეულობებისადმი, საქართველოს წინსვლას ევროპული თანამეგობრობისკენ სწრაფვის გზაზე, იმ თანმიმდევრულ ძალისხმევას, რაც საქართველოს ხელისუფლებამ გასწია რეფორმების სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებისათვის. ჩვენი ქვეყანა ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი “აღმოსავლეთ პარტნიორობის” ლიდერი სახელმწიფოა. მთელი რიგი შიდა და გარე წინააღმდეგობათა მიუხედავად, საქართველო წარმატებით ახორციელებს ევროპელებთან ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას, ურთიერთობათა გაღრმავებას, ევროპის ასოციაციებში გაწევრიანებას, ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობას (2, 43, 44).

დასავლური ორიენტაცია და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაცია არის ძირითადი საგარეო პოლიტიკური მიმართულება და ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების მთავარი გარანტი (3, 18). დღეს, როდესაც უკვე შექმნილია და განმტკიცებულია ქართული სახელმწიფო, ქვეყნის წინაშე დგას ახალი ისტორიული ამოცანა: საქართველომ უნდა დაიმკვიდროს თავისი საკუთარი ღირსეული ადგილი მსოფლიოს ქვეყანათა თანამეგობრობაში, განვითარებულ მსოფლიოსთან კულტურული თანამშრომლობისა და ეფექტური ინტეგრაციის გზით და ეროვნულ ნიადაგზე დაყრდნობით დაამკვიდროს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველო და ევროპა. ეკონომიკური ასპექტები და პოლიტიკური გამოწვევები, იხ. თსუ, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ., 2014.
2. მანველიძე ი. ევროკავშირი – გლობალური საერთაშორისო აქტორი, თბ., 2011.
3. ჟ. რადვანი, ნ. ბერუჩაშვილი. კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი, თბ., 2011.

ევროპა და საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივები

რეზიუმე

სტატიაში ავტორები მსჯელობენ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულების, კერძოდ, ევროპულ სტრუქტურებში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციისა და ევროპულ სივრცეში თანდათანობითი მიახლოების შესახებ. საკითხი განხილულია გლობალიზაციის ფონზე, სადაც თითოეული ქვეყანა ვალდებულია განსაზღვროს თავისი ადგილი და როლი ამ სივრცეში. ავტორები განიხილავენ უსაფრთხოებისა და ეკონომიკური თანამშრომლობის კონცეფციებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად უნდა განსაზღვროს საერთაშორისო ურთიერთობებში საქართველოს მომავალი განვითარების პერსპექტივები.

Европа и перспективы будущего развития Грузии

Резюме

В статье авторы обсуждают одно из главных направлений Грузинской внешней политики, а именно, интеграцию в европейские структуры и постепенное приближение к европейскому пространству. Вопрос обсужден в условиях текущей глобализации, где каждая страна должна определить свое место и роль. Авторы

рассматривают концепции безопасности и экономического сотрудничества, которые совершенно изменили свое значения и которые заложили основу для будущего развития Грузии и ее международных отношений. Сотрудничество и Соглашение о сотрудничестве с ЕС, европейски стратегический План действий Соседства, Восточное Товарищество – главные форматы нынешнего сотрудничества Грузии с ЕС. Перспектива предлагаемого ими сотрудничества, достигнутый прогресс, текущие проблемы и будущие перспективы широко обсуждены в статье.

Ключевые слова: Интеграция, Евросоюз, Расширение, Демократизация, Виза Либерализация.

Europe and the Perspectives of Georgia's Future development

Resume

In the article the authors discuss one of the main directions of Georgia's Foreign Policy? Namely, its integration into the European structures and gradual approximation to the European space. The question is discussed in conditions of current globalization, where every country has to define its place and role. The Authors stipulate the concepts of security and economic cooperation which have profoundly changed their meanings and laid the foundation for the future development of Georgia and its international relations. Cooperation and Partnership Agreement with the EU, European Neighborhood policy Action Plan and Eastern Partnership are the main formats of current cooperation of Georgia with the EU. The perspective offered by these projects, the achieved progress, current challenges and future prospects are widely discussed in the article.

Keywords: Integration, European Union, Expansion, Democracy, Visa-liberalization.

პროფესიული სტრესის მნიშვნელობა ადამიანური რესურსების მართვის პროცესში

მანანა სამადაშვილი

სტუ ასოცირებული პროფესორი

ეკატერინე გობეჯიშვილი

სტუ აკადემიური დოქტორი

საკვანძო სიტყვები: სტრესის მენეჯმენტი, პოზიტიური და ნეგატიური სტრესი, სტრესის მართვის პროგრამები.

ჩვენს დროში სტრესი მოიაზრება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და აქტუალური პრობლემა. დღეისათვის სტრესი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრობლემას როგორც ორგანიზაციის პერსონალისათვის, ასევე საზოგადოებისათვის. სტრესი იქნება ემოციური თუ ფიზიკური, დადებითი, თუ უარყოფითი პერსონალის ორგანიზმზე ყოველთვის ერთნაირად აისახება. კერძოდ, განსაკუთრებით ზიანდება ინდივიდის იმუნური სისტემა, ასევე შეინიშნება მთელი რიგი ფსიქიკური დარღვევები. თავდაპირველად მიაჩნდათ, რომ სტრესი ორგანიზმზე ყოველთვის ნეგატიურ გავლენას ახდენდა, მაგრამ ჰანს სელიემ სტრესები დაყო დადებით და უარყოფით სტრესებად. დადებით სტრესს უწოდა ეუსტრესი, უარყოფით სტრესს კი დისტრესი.

ტერმინი ეუსტრესი განიხილება ორი მნიშვნელობით:

1. სტრესი, რომელიც დადებითი ემოციით არის გამოწვეული
2. სტრესი, არცთუ ისე ძლიერი, რომელიც იწვევს ორგანიზმის მობილიზებას დისტრესი წარმოადგენს ისეთ სტრესს, როდესაც ორგანიზმს არ შეუძლია მისი დაძლევა და მძიმე სომატური და ფსიქიკური დაავადებების გამოწვევა შეუძლია.

სტრესის გამოწვევა შეუძლია ფაქტორებს, როგორცაა: კონფლიქტები ან ურთიერთობა უსიამოვნო ადამიანებთან; მონოტონური სამუშაო; წინააღმდეგობა, რომელიც არ გვაძლევს დასახული მიზნის მიღწევის საშუალებას; მუდმივი წნეხის ქვეშ ყოფნა; დაძაბული სამსახური; ფინანსური სირთულეები; ძლიერ პოზიტიური ემოციები და ა.შ. [2]

პროფესიული სტრესის განხილვის დროს განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მუშაკი-შრომა, ადამიანი გარემო მიმართებების შესატყვისობაზე. სტრესული რეაქციის ხარისხი და სტრესიდან გამომდინარე შედეგები განისაზღვრება სამუშაოს და ინდივიდის ურთიერთ შესაბამისობაზე. რაც უფრო დიდია სხვაობა სამუშაოს მოთხოვნებსა და ინდივიდის უნარებს შორის მით უფრო ძლიერია სტრესის მოქმედება ადამიანზე. გამოკვლევებმა ცხადყვეს, რომ პიროვნულ თავისებურებებს მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პროფესიული

სტრესის ჩამოყალიბებაში. მაგალითად, ემოციური ლაბილობის მქონე პერსონალი კონვეირული სამუშაოს შესრულების დროს განიცდის განსაკუთრებით ძლიერ ფრუსტრაციას. ეგოცენტრული ადამიანი კი მონოტონური სამუშაოს შესრულების შემთხვევაში წარმატებით უძღვება სამუშაოს.

სოციალურ გარემოში არსებული პრობლემები პროფესიული სტრესის მნიშვნელოვანი წყაროა.

მნიშვნელოვანია სოციალური გარემოს სტრესორთა ჯგუფის გავლენა პროფესიული სტრესის ჩამოყალიბებაში. მათ მიეკუთვნება:

1. სოციალური მხარდაჭერის არარსებობა;
2. ჯგუფური კავშირების არქონა;
3. ინტერინდივიდუალური, ინტერპერსონალური კონფლიქტები;
4. ჯგუფთა-შორისი კონფლიქტები

სტრესორები, როგორცაა სოციალურ-ტექნოლოგიური ცვლილებები, ოჯახი, ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებელი ადგილი და სხვა, თითქოს სამუშაოსთან ნაკლებად დაკავშირებული გარემო პირობები მნიშვნელოვნად განაპირობებს სტრესის წარმოშობას. მაგ: ფინანსურმა პრობლემებმა შეიძლება განაპირობოს ადამიანის მიერ დამატებითი სამუშაოს აღება. მეტისმეტად გადატვირთული სამუშაო დღე კი შეიძლება წარმოადგენდეს პროფესიული სტრესის წყაროს. ფრეიდის გამოკვლევის მიხედვით “სამუშაო ნევროზების” ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ე.წ ექსტრაორგანიზაციული სტრესორები: თავისუფალი დროის ნაკლებობა, ოჯახური პრობლემები, არადამაკმაყოფილებელი საშინაო პირობები, ფინანსური სიძნელებები და სხვა.

ორგანიზაციის სტრუქტურა მიეკუთვნება ორგანიზაციულ სტრესორს, რომელიც შეიძლება სტრესის წყარო გახდეს.

ორგანიზაციულ სტრესორებს მიეკუთვნება:

- უკუკავშირის არარსებობა შესრულებულ სამუშაოზე;
- პერსონალის არაადექვატური ხელფასი;
- კონფლიქტური სიტუაცია სამუშაოზე;
- ღარიბი კომუნიკაცია;
- მოუქნელი წესები;
- პერსონალის დაწინაურების მცირე შესაძლებლობა.

პროფესიული სტრესის ძირითადი წყაროები, რომლებიც ინდივიდის თავისებურებებიდან გამომდინარეობს შემდეგია:

- პერსონალის პიროვნული თავისებურებანი;
- პერსონალის შრომისუნარიანობის (ფიზიკური, გონებრივი) შესაბამისობა სამუშაოზე არსებული პროფესიული დავალებების შესრულებასთან;
- პერსონალის შრომითი მოტივაციის, შრომითი ღირებულებების შესატყვისობა;
- პერსონალის ჯანმრთელობის ფაქტორი

მიზნის დასახვა, რომელიც დადებითად მოქმედებს პერსონალზე ამცირებს შფოთვას და გაურკვეველობის შეგრძნებას, რაც თავის მხრივ იწვევს სტრესის შემცირებას.

მიზანი უნდა იყოს მნიშვნელოვანი, ადვილად მიღწევადი, ნაკლები სირთულის, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს მიზნის მიღწევის პროცესის პერიოდული შემოწმება და კონტროლი.

სტრესის შემცირებას ხელს უწყობს მიზნის დასახვის შემდეგი ელემენტები:

- კმაყოფილების განცდა, როდესაც მნიშვნელოვანი მიზანი უკვე მიღწეულია;
- თვითკმაყოფილება, რაც ახლავს მიზნის არჩევას;
- მიზნისკენ სწრაფვა, რომელიც იძლევა შეგრძნებას თითქოს თქვენი მოქმედებები კონტროლის ქვეშაა, რაც ამცირებს გაურკვეველობის გრძნობას.

მენეჯერები, რომლებიც იყენებენ მიზნის დასახვის პროგრამას უნდა ითვალისწინებდნენ:

1. მიზანი უნდა იყოს ყველასთვის გასაგები და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი;
2. მიზნის მიღწევის პერიოდი და მისი შეფასების სისტემა წინასწარ უნდა იქნეს დადგენილი და შეთანხმებული ორგანიზაციის მენეჯერსა და მიზნის დასახვის პროგრამაში მონაწილე ორგანიზაციის პერსონალს შორის;
3. მიზნის დასახვის პროგრამამ საშუალება უნდა მისცეს პერსონალს მაქსიმალურად გამოავლინოს შესაბამისი უნარი და გამოცდილება

ორგანიზაციაში მიზნის დასახვა ამცირებს გაურკვეველობას და სტრესს, თუ მასში მომუშავე პერსონალმა ნათლად იცის დროის პერიოდი და ის შედეგი, რასაც მოელიან მისი მუშაობის შედეგად. რთული მიზნის მიღწევის შემთხვევაში პერსონალი განიცდის კმაყოფილების და სიამაყის გრძნობას, საკუთარ თავში უფრო მეტ დარწმუნებას. რთული მიზნების მისაღწევად პერსონალს უნდა გააჩნდეს შესაბამისი გამოცდილება და უნარი.

სტრესის მართვის ტრენინგის დასრულების შედეგად პერსონალს ეცოდინება სხვადასხვა ხერხი და მეთოდი, როგორც სტრესის თავიდან ასაცილებლად, ისე მის დასაძლევად. კერძოდ, სტრესის ხელის შემწყობი ნეგატიური აზრების დასამარცხებელი მეთოდები, ასევე განსხვავება დადებით და უარყოფით სტრესს შორის, სტრესის გამომწვევი ფაქტორების გაანალიზება, სამუშაო გრაფიკის გამო გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილება და ა.შ.

ორგანიზაციული მეთოდები მიმართულია შრომითი სტრესის ძირითად კატეგორიებზე, როგორცაა:

- ორგანიზაციის სტრუქტურა და კონტროლი
- პერსონალის მართვის სისტემა
- ლიდერობა
- დაჯილდოების სისტემა
- სამუშაოს ძირითადი ფაქტორები

ორგანიზაციულ პროგრამათა ეფექტურობის შესწავლა ხორციელდება იშვიათად. ამიტომ, სასურველია, რომ ეს პროგრამები უფრო ხშირად იყოს გამოყენებული და მეცნიერულ მეთოდოლოგიური კუთხით უფრო მეტად დაიხვეწოს.

სელიეს განმარტებით ხანგრძლივი სტრესი იწვევს სხვადასხვა სახის ფსიქოსომატურ დაავადებებს. სტრესის სხვადასხვა მოდელზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა ცხადყო, რომ სხვადასხვა სახის სტრესი იწვევს სხვადასხვაგვარ შედეგებს. ამგვარად, ცხადია, რომ სასურველია ჩატარდეს მრავალი ფუნდამენტური კვლევა ამ მიმართულებით.

ორგანიზაციის, ასევე მასში მომუშავე პერსონალის მიზნები და მოთხოვნილებები უნდა განსაზღვრავდნენ სტრესის მართვის ეფექტური ორგანიზაციული პროგრამების განვითარებას, შეფასებას და განხორციელებას.

ორგანიზაციული პროგრამები ეყრდნობა სხვადასხვა კრიტერიუმებს, კერძოდ:

1. კვლევები უნდა იძლეოდნენ დადებით შედეგს;
2. მენეჯერებს შესწავლილი და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ ამ პროგრამების პრინციპები და ლოგიკა;
3. პროგრამების გამოყენების შედეგად საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს ორგანიზაციის მუშაობა;
4. პროგრამები გათვლილი უნდა იყოს ხანგრძლივ ეფექტებზე;
5. პროგრამების გამოყენება შესაძლებელი უნდა იყოს ნებისმიერი სიდიდის ორგანიზაციაში.

სტრესის მართვის ტრენინგი ხელს უწყობს სტრესის დაძლევის ოპტიმალური სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭირო უნარებისა და ატიტუდების ფორმირებას.

სტრესის მართვის ტრენინგი:

- ეს არის ცოდნა, თუ როგორ მოქმედებს დისფუნქციური, ქრონიკული სამუშაო სტრესი პერსონალის ჯანმრთელობაზე, სამუშაოს შესრულებაზე და სამუშაო ატიტუდებზე;
- ხელს უწყობს სტრესის გადალახვის უნარის გაუმჯობესებას

სტრესის მართვის ტრენინგების გამოყენებამდე აუცილებელია გამოკვლეული იქნას მისი ჩატარების საჭიროების სრული ანალიზი. მიზნობრივად და სწორად გამოყენებული ტრენინგი განსაზღვრავს ორგანიზაციის ეფექტურობის ზრდას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კუტაღაძე ი., ადამიანური რესურსის მენეჯმენტი., შპს “არადანი”. თბ. 1999
2. პაიჭაძე ნ., ჩოხელი ე., ფარესაშვილი ნ., ადამიანური რესურსების მენეჯმენტი., “სიტყვა”., თბ., 2011
3. Martin J., Organizational Behaviour and Management., SOUTH-Western Cengage Learning EMEA., 2005

რეზიუმე

სტატიაში განხილულია პროფესიული სტრესის გამომწვევი მიზეზები, ასევე ინდივიდის თავისებურებებთან დაკავშირებული პროფესიული სტრესის სამი ძირითადი წყარო, ორგანიზაციული სტრესორები, პროფესიული სტრესის კონტროლის მექანიზმები და სტრესის მენეჯმენტი, სოციალური გარემოს სტრესორთა ჯგუფი, ფსიქიკური დარღვევები, რომლებიც აღმოცენდებიან სამუშაოსთან დაკავშირებული დაძაბულობის შედეგად.

სტატიაში ნათლადაა წარმოდგენილი განსხვავება პოზიტიურსა და ნეგატიურ სტრესს შორის, გაანალიზებულია სტრესის გამომწვევი შინაგანი და გარეგანი ფაქტორები, რომელთა კონტროლი ადამიანს შეუძლია ან არ შეუძლია.

სტატიაში ასევე განხილულია ორგანიზაციაში გამოყენებული სტრესის მართვის ეფექტური ორგანიზაციული პროგრამები, რომლებიც წარმოადგენენ ხანგრძლივი მოქმედების პროგრამებს; სტრესის ხელის შეშლად ნეგატიური აზრების დასამარცხებელი მეთოდები; სტრესის მართვის ტრენინგი; მიზნის დასახვის პროგრამა; მიზნის დასახვის ელემენტები, რომლებიც ეხმარებიან ადამიანს სტრესის შემცირებაში; პრინციპული წინააღმდეგობები სტრესის სხვადასხვა მოდელებს შორის.

**ЗНАЧЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛЬНОГО СТРЕССА В ПРОЦЕССЕ УПРАВЛЕНИЯ
ЧЕЛОВЕЧЕСКИМИ РЕСУРСАМИ**

Манана Самадашвили

Ассоциированный профессор ГТУ

Екатерине Гобеджишвили

Академический доктор ГТУ

Резюме

Ключевые слова: управление стрессом, позитивные и негативные стрессы, программы по управлению стрессом

В статье рассмотрены причины возникновения профессионального стресса, а также три источника профессионального стресса, связанные с особенностями

индивида; организационные стрессоры; контрольные механизмы профессионального стресса и менеджмент стресса; группы стрессоров социальной среды; психические расстройства возникшие в связи с напряжением на работе.

В статье ясно изложено разница между позитивным и негативным стрессом, проанализированы внешние и внутренние факторы возникновения стресса,

В статье также рассмотрены методы, помогающие устранить негативные мысли, способствующие возникновение стресса, тренинг по управлению с стрессом, программа поставить цель; элементы цели, помогающие персоналу уменьшить стресс; Фундаментальные противоречия между различными моделями стресса.

THE MEANING OF PROFESSIONAL STRESS IN THE PROSESS OF HUMAN RESOURCE MANAGEMENT

Manana Samadashvili

GTU, Associate Professor

Ekaterine Gobejishvili

GTU, PHD Doctor

Abstract

Keywords: stress management, possitive and negative stresses, stress management programs.

In this article are discussed causes leading to professional stress, as three main sources as professional stress connected with individual peculiarities, organizational stressors, control mechanism of professional stress and stress management, group of social environmental stressors, mental disorders that arise as a result of tense working conditions.

Difference between positive and negative stresses is clearly represented in this article. There are also analysed inner and outer factors causing stress, that a person is able or unable to control.

The article also considers effective organizational programs of stress management used in the organization, which belong to long term programs. In the article also are discussed methods how to avoid negative ideas, that give rise to stress, training of stress management, elements of setting a goal that reduce stress, principal obstacle among different stress models.

კრეატიულობის მენეჯმენტი – ბიზნესის წარმატების ფაქტორი

*ხახუტაშვილი ელისაბედ, ასოც. პროფ.
ღიბრაძე ნანული, პროფ.
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: კრეატიული, ბიჰევიორისტული, სოციალურ-ფსიქოლოგიური, ბიზნეს-მოდელი, მოტივაცია, აზროვნება, კომუნიკაცია.

ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი ბიზნესია. აქედან გამომდინარე თანამედროვე ბიზნესის წარმატებული ფუნქციონირება წარმოუდგენელია კრეატიული მენეჯმენტის გარეშე. მენეჯმენტის დამახასიათებელი ნიშნები მოიცავს **ეკონომიკურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სამართლებრივ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ასპექტებს.**

ეკონომიკური ასპექტი გულისხმობს ბიზნესის მართვის პროცესს, რომლის დროსაც მიიღწევა მატერიალური და შრომითი რესურსების კოორდინირება, რაც აუცილებელია ბიზნესის ეფექტიანი მიღწევისათვის; **სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტი** ახასიათებს ფირმის მთელი პერსონალის ძალისხმევის ორგანიზაციის და მენეჯერთა განსაკუთრებული ჯგუფის საქმიანობის დასახული მიზნების მისაღწევად. მუდმივად ცვალებადი გარემო მოითხოვს კრეატიულ მენეჯმენტს, მთელი სისტემის სრულყოფას, პროფესიონალიზმს. ბოლო პერიოდში არასტაბილური განვითარების მიზეზი სწორედ მენეჯმენტში დაშვებული შეცდომები და ხარვეზებია, რომელიც მოითხოვს კრეატიულ მართვას. ამ დროს გამოიყენება სპეციალური ტექნოლოგიები და მეთოდები ბიჰევიორისტულ მეცნიერებაზე დაყრდნობით [1].

კრეატიულობის პრობლემების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის მრავალ მეცნიერს, თუმცა არსებობს ჯერ კიდევ გადაუწყვეტი და უპასუხო კითხვები, რადგან არ არსებობს კრეატიულობის ერთიანი ცნება, უცნობია კრეატიულობის ფორმირების ფაქტორები, კრეატიულობის კავშირი სხვა პირად მახასიათებლებთან და მით უმეტეს არ არის დადგენილი კრეატიულობის ზეგავლენა სხვადასხვა სახეობის პროფესიონალურ საქმიანობაზე. ალბათ საჭირო იქნება შეიქმნას ეგრეთწოდებული „**კრეატიულობის მოდელი**“, რომელიც მოერგება წარმოებულ **ბიზნეს-მოდელს** წარმატებული საქმიანობისათვის.

კრეატიულობა არის მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი ინოვაციებისაკენ. ის გულისხმობს ახალი იდეების გენერაციას და წარმოადგენს ორგანიზაციის ხანგრძლივი წარმატების სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორს.

როგორც მეცნიერები აღნიშნავენ [2], კრეატიულობა ეს არის უნარი შექმნა არაჩვეულებრივი იდეები ტრადიციული აზროვნებისგან განსხვავებით,

რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ბიზნესის წარმატებას. შემოგვაქვს ცნება „ეროვნული კრეატიულობა“, რომელიც დამყარებული უნდა იყოს ეროვნულ ხასიათზე და კონკრეტულ თავისებურებებზე, ტრადიციებზე, ისტორიაზე, რითაც ვფიქრობ, შეიძლება ბევრი რთული პრობლემების გადაჭრა მენეჯმენტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელის შესაქმნელად საჭიროა ძირითადი ხელისშემშლელი პრობლემების აღნიშვნა და მათ სამართავად ღონისძიებების დასახვა. ესენია: ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ბერკეტის არ არსებობა, მენეჯმენტის „ეროვნული გაგება“; მარკეტინგული სამსახურის და მენეჯერ-მარკეტოლოგის არ არსებობა ბიზნეს ორგანიზაციებში; ბიზნეს-კომპანიებში არაპროფესიონალები მუშაობენ; ხშირია ორგანიზაციას მართავს არაპროფესიონალი ხელმძღვანელი, რომელსაც კომპანიის მენეჯმენტის თეორიული ცოდნა არ გააჩნია; ეს პრობლემა, ძალზე მნიშვნელოვანია ბიზნესის წარმატებისათვის. საჭიროა კომპანიაში წარმატებული თანამშრომლებისათვის დაწესებული იყოს მოტივაცია. ხშირია შემთხვევები, როცა სისტემური პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს **კრეატიულ იდეებს**. მისი არ არსებობა კი იწვევს ხარვეზებით მუშაობას განსაკუთრებით მართვისას; ძალზე მნიშვნელოვანია ბიზნესის მართვისას დროულად იქნას მიგნებული ბიზნეს-სიტუაციები, სწორი და ეფექტური, კრეატიული გადაწყვეტილებებით. თვით ბიზნესის იდენტიფიკაცია და სწრაფად პრობლემების გადაწყვეტა კრეატიულობის მენეჯმენტის საშუალებით.

კრეატიულ იდეებს სჭირდება სისტემური მიდგომები, რათა მიღწეული იქნას სწორი გადაწყვეტილებები. ამ პრობლემას ხელს უშლის აგრეთვე თანამშრომელთა შეზღუდული ყურადღება; დაქვეითებული მექსიერება, აზროვნება, კომუნიკაციის არ არსებობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, საჭიროა ბიზნეს-ხელმძღვანელის ინტუიცია და მისი მნიშვნელობა გადაწყვეტილების მიღებისას; მენეჯერის მიერ შიდა და გარე რესურსების გაერთიანება შემოქმედებითობა-კრეატიულობა ბიზნესის მართვაში გრძელვადიან მოგების მიღებაზე.

დღევანდელი ბიზნესი კომპლექსური და კრეატიული გახდა ცვლილებებზე ორიენტირებული. ასევე საჭიროა კანონმდებლობის უცვლელობა ხანგრძლივი დროის პირობებში. მასში დასაშვებია უნდა იყოს „შემოქმედებითი მოქნილობა“ კრეატიული იდეებისა და მისი მენეჯმენტისა.

შემოქმედებითობა სწორედ ეს არის კრეატიული, ახალი და ეფექტური იდეების წარმოება და გამოყენება სიტუაციიდან გამომდინარე, სპონტანურად. იდეები ეს ხარისხის მენეჯმენტის წარმატების მე-8 ინსტრუმენტია არსებულ შვიდთან ერთად.

ასევე, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება რომელიც ბიზნესის წარმატებისათვის აუცილებელია, ეს არის მენეჯერს უნდა შეეძლოს აღიარება, რომ მას თავის თავზე გადამეტებული წარმოდგენა აქვს. არ აფასებს თავის ქვეშევრდომებს და პრობლემები აქვს თანამშრომლებთან კომუნიკაციებისას.

ის კრიტიკულად უნდა მიუღდეს საკუთარ სისუსტეებს და დაშვებულ შეცდომებს.

წარმატებული ბიზნესისათვის მნიშვნელოვანია მისი მუდმივი განვითარება, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და სრულყოფა. ბიზნესმენისათვის არ უნდა იყოს ძირითადი ხელის შემშლელი მიზეზი კანონმდებლობის ხშირი ცვლილება. ბიზნესის მენეჯმენტში მნიშვნელოვანია ასევე **მოქნილობა** და **შემოქმედებითობა**. **მოქნილობა** არის „უნარი განსხვავებულ სიტუაციებში ცვლილებების განხორციელებისა, რაც საწარმოს წარმატებას მოუტანს“. **შემოქმედებითობა** კი არის ახალი და ეფექტური კრეატიული იდეების წარმოება და გამოყენება. დღეს ეს მენეჯერთა კონკურენტუნარიანობის ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია.

თანამედროვე პირობებში ბიზნესის მენეჯმენტის ხარისხი განსაზღვრავს მიმდინარე პროცესების ეფექტიანობას. ეს კი ნიშნავს მენეჯერთა პროფესიონალიზმს, კომუნიკაციას მენეჯერებსა და მომუშავეებს შორის.

დღევანდელ ეტაპზე აქტუალურია მაღალი ზნეობრივი ნორმების, ქცევის კულტურისა და დახვეწილი მანერების ჩამოყალიბება, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების სისტემა, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა კრეატიულ იდეებთან ერთად. საჭიროა პერიოდულად თანამშრომლების შემოწმება ტესტირებაზე შემოქმედებით აზროვნებაზე და უნარზე არაჩვეულებრივ იდეების განხორციელებისათვის საჭიროა კონკრეტული ამოცანების დასახვა ტრადიციულისაგან განსხვავებით. კრეატიული იდეები ხასიათდება მოქნილი, სხარტი, ორიგინალური, შემოქმედებითი, ვერბალური და არავერბალური სახვითი შემოქმედებითი არასტანდარტული აზროვნებით. შემოქმედ პიროვნებას უნდა ახასიათებდეს აბსტრაქტული აზროვნება, მოსაზრებათა ფართო სპექტრი, ორიგინალურობა, დამოუკიდებლობა, სიცოცხლის ხალისი, თავისუფალი კვლევითი სტილი, ცნობისმოყვარეობა, შეუპოვარი ხასიათი, პრობლემაზე კონცენტრაცია. ხოლო ბიზნეს-ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ღია კომუნიკაციური არხები, მჭიდრო კონტაქტი გარე წყაროებთან, უნდა გამოიყენონ „გონებრივი შტურმის“ მეთოდები, „გარედან მოიწვიონ“ სპეციალისტები, ორგანიზაციაში გაატარონ კონტროლი, მოთმინება შეცდომების მიმართ, საჭიროა მკაცრი მმართველობის არარსებობა, ცოცხალი კულტურა, მსჯელობის თავისუფლება, კრეატიული ინოვაციური იდეების მხარდაჭერა, რესურსებით უზრუნველყოფა.

ამასთან, ასევე საჭიროა ბიზნესის თანამშრომლების სოციალურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევა, თანამშრომელთა დამოკიდებულების დინამიკის შესწავლა შრომისადმი, საჭიროა შრომის მეთოდის დაპროექტება, შრომის მოტივაციის სტრუქტურის შექმნა. და რაც მთავარია კრეატიული იდეების მართვამენეჯმენტი. სპონტანური მოქმედებებით სიტუაციიდან გამომდინარე ინტერიზებული პრინციპებით და მოტივაციით, რაც დამახასიათებელია კრეატიულობისათვის.

ლიტერატურა

1. ბოდალევი ა. ა. ურთიერთობის ფსიქოლოგია. ფსიქოლოგიური შრომები, მე-3-ე გამოცემა. ქ. ვორონეჟი. „Модэк“, 2008.
2. Друкер П. Ф. Задачи менеджмента в XXI веке. М; Издательский дом «Вильямс», 2009, 272 с.
3. Маслоу А. Мотивация и личность. СПб.: Евразия, 2009.

კრეატიულობის მენეჯმენტი - ბიზნესის წარმატების ფაქტორია

რეზიუმე

კრეატიულობა არის მნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯი ინოვაციებისკენ. ის გულისხმობს ახალი იდეების გენერაციას და წარმოადგენს ორგანიზაციის ხანგრძლივი წარმატების სასიცოცხლო მნიშვნელობის ფაქტორს.

ნაშრომში წარმოდგენილია კრეატიულობის მენეჯმენტის მნიშვნელობა ბიზნესის წარმატებით საქმიანობაში, რომლის განხორციელებაში უდიდეს როლს ასრულებს ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, ორგანიზაციული და ტექნიკური ასპექტები კრეატიულ მენეჯმენტთან ერთად.

„პრობლემების პირამიდა“ ბიზნესში შედეგია მართვაში დაშვებული შეცდომებისა, ამიტომ საჭიროა გამოყენებული იყოს კრეატიული მენეჯმენტი. გამომდინარე პრობლემებიდან.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია ზოგადად „ბიზნეს მოდელის ეროვნულობით“ თუ ეს ეხება აღნიშნულ ნიზნესს, ასევე შემოქმედებითი მიდგომით ბიზნესის მართვაში გრძელვადიანი მოგებისათვის. გასათვალისწინებელია ბიზნესის წარმოების კანონმდებლობის უცვლელობა, თანამშრომელთა პერიოდულად ტესტირება ყურადღებაზე, უნარ-ჩვევებზე, შემოქმედებით არასტანდარტულ კრეატიულ აზროვნებაზე, მოქნილობაზე სიტუაციიდან გამომდინარე.

ყველა ზემოთ ხსენებული პრობლემების შესრულება, კრეატიული მენეჯმენტი – ბიზნეს საქმიანობის წარმატების ფაქტორია.

Менеджмент креативности – фактор успеха в бизнесе

Элисабед Хахутаიшвили, ассоц. проф.

Нанули Гибрадзе, проф.

Грузинский технический университет

Резюме

В работе представлено значение менеджмента креативности как фактор успеха в бизнесе, в осуществлении которой, вместе с менеджментом креативности большую

роль играют экономика – психологические, правовые, организационные и технические аспекты.

“Пирамида проблем” в бизнесе это результат допущенных ошибок в менеджменте креативности.

Актуальность работы обусловлена “национальностью модели бизнеса”, а также творческим подходом в менеджменте бизнеса для долгосрочной выгоды. Надо учитывать неизменность закона производства бизнеса, периодическое тестирование сотрудников на внимание, нестандартное творческое мышление, гибкость ситуации.

Выполнение вышеназванных проблем, а также креативности менеджмента – фактор успеха в бизнесе.

Creativity management – factor of successful business

Elisabed Khakhutashvili

Gibzadze Nanuli

Georgian Technical University

Abstract

This work presents the significance of creativity management in successful business activity. The biggest role plays in this realization economical psychological, legal, organizational and technical aspects with creativity management.

“The pyramid of problems” is the result of business because of mistakes in govern. So, it is essential to use creativity management.

The work’s actuality stipulate in general for business model. Nationality , if it touches business , as well creativity approach to govern of business for long-term winning. The same time we should foresee the business production’s immutable legislation in long-term conditions, where should be possible “creativity flexibility”.

Creative management in business production is the main aim and problem for the investigation. The problem is not only effective govern, but systematic methods to creative ideas for business participants , periodic testing for staff about attention, thinking , ability, creativity.

I think creativity is quality management’s eight instrument with the rest seven instruments.

These matters. Which are shown in this work are the factors for successful business. Creative management is attempt for successful activity.

საბუნებისმეტყველო დისციპლინები –
Естественнонаучные дисциплины –
Science

მექანიკის ბანვითარების ისტორია

მარია ბარბაქაძე, ვასილ ქართველიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატრანსპორტო ფაკ-ტი

„მექანიკა არის სამოთხე მათემატიკური მეცნიერებებისთვის.

მისი მეშვეობით მიიღება მათემატიკის ნაყოფი.“

ლეონარდო და ვინჩი

რეზიუმე: შეიძლება ითქვას, მექანიკის ისტორია არის კაცობრიობის ცივილიზაციის, პროგრესული განვითარების ისტორია, ხოლო მისი მომავალი – კაცობრიობის პროგრესული განვითარების მომავალია. მექანიკის განვითარების ისტორია ეფუძნება მეცნიერულ ფუნდამენტს და იძლევა შეკვეთას მეცნიერებისა და ტექნიკის შემდგომი განვითარებისთვის. მექანიკის სრულყოფა არის თანმდევი აუცილებლობა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: მოძრაობა; ორთქლის ძრავა; სამრეწველო რევოლუცია.

მექანიკის ისტორია იწყება ბორბლის და აფრის გამოგონებიდან და მის განვითარებას არ უჩანს სასრული, როგორც ადამიანის სწრაფვას სრულყოფილებისკენ. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ მექანიზაციის ეს პირველი საშუალებები, რომლებიც მოძრაობას, გადაადგილებას ემსახურებოდნენ, დღემდე ინარჩუნებენ პირველყოფილ ფუნქციას, როგორც სრულყოფილი, ბუნების კანონებთან შერწყმული მექანიზმები.

ძველმა ბაბილონელებმა და ეგვიპტელებმა ძალიან მაღალ ნიშნულს მიაღწიეს მათემატიკასა და ასტრონომიაში, რადგან მათ უკვე იცოდნენ პითაგორას თეორემა, ანგარიშობდნენ კვადრატს და კვადრატულ ფესვს, კუბს და კუბურ ფესვს, შეეძლოთ განტოლებათა სისტემების და კვადრატული განტოლებების ამოხსნა, მათ ეკლიპტიკა დაეყვეს თორმეტი ზოდიაქოდ, მაგრამ მათი ცოდნა ატარებდა პრაქტიკულ ხასიათს და აღმოცენდა სამეურნეო და სამშენებლო პრაქტიკიდან.

ასტრონომია იყო ის პირველი მეცნიერება, საიდანაც დაიწყო ბუნების შემეცნების განვითარება. ასტრონომია მოითხოვდა მათემატიკის ცოდნას, ხოლო სამშენებლო პრაქტიკა ავითარებდა მექანიკას. ცხადია, უძველესი სახელმწიფოების გრანდიოზული ნაგებობები (ციხე-სიმაგრეები, პირამიდები) მოითხოვდა სამშენებლო მექანიკისა და სტატიკის ცოდნას, მარტივ მექანიზმებს: ბერკეტს, დახრილ სიბრტყეს ამგვარად, პრაქტიკულმა საყოფაცხოვრებო მოთხოვნებმა საფუძველი ჩაუყარა არითმეტიკას, გეომეტრიას, ალგებრას, ასტრონომიას, მექანიკას და სხვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს.

მიუხედავად იმისა, რომ ძველი აღმოსავლეთი სიბრძნის კერად არის მიჩნეული, თანამედროვე მეცნიერების ნამდვილ სამშობლოდ ითვლება ძველი საბერძნეთი, რადგანაც სწორედ აქ ჩაყარა საფუძველი მეცნიერულ აზროვნებას და მეცნიერულ შეხედულებებს სამყაროზე. სწორედ ძველ საბერძნეთში დაიწყო მოაზროვნებმა “შეცნობის სიხარულის” (არისტოტელე) განცდა; პირველ მეცნიერებს ეწოდათ ფილოსოფოსები, რაც ბერძნულად ნიშნავს “სიბრძნის მოყვარულებს”, სწორედ ძველ საბერძნეთში აღმოცენდა მოთხოვნილება სიბრძნის მასწავლებელზე, რამაც განსაზღვრა დღევანდელი მასწავლებლის და მეცნიერის პროფესია.

არისტოტელემ, რომელმაც ფილოსოფიას სამეცნიერო ცოდნის ფორმა მიანიჭა, დაამუშავა მეტაფიზიკური თეორია, რომლის მიხედვითაც ჭეშმარიტების დასადგენად საჭიროა დამოკიდებულების გამოვლენა იდეალურ ზოგადსა და მატერიალურ კერძოს შორის, რომელსაც აქვს რთული სტრუქტურა. არისტოტელემ ასეთ ფენომენად მიიჩნია მოძრაობა და განსაზღვრა მისი გამომწვევი მიზეზი. იგი სამყაროს მთავარ მამოძრავებელ ძალად ღმერთს მიიჩნევდა. მექანიკა კი არის მეცნიერება მოძრაობის შესახებ! ამით, ბევრი რამ არის ნათქვამი...

XXI საუკუნის გადასახედიდან აღფრთოვანებას და მოწიწებულ თავდახრას იმსახურებს მექანიკის მამა – არქიმედე, ბრწყინვალე მექანიკოსი და გამომგონებელი, რომელიც ჩ.წ. აღ-მდე III საუკუნეში ამაყად და თავდაჯერებით აცხადებდა: “მომეცით საყრდენი წერტილი და მე დედამიწას დავძრავ!”

ბუნების შესწავლის ფილოსოფიური სწავლებიდან მექანიკის გამოყოფის მნიშვნელოვანი საწყისი იყო ნიუტონის ნაშრომი “ბუნების ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები”, რომელიც გამოქვეყნდა 1687 წ (შესულია მეცნიერების ოქროს ფონდში). უკვე 1736 წელს, ეილერმა თავის ცნობილ ტრაქტატში “Механика, т.е. наука о движении, изложенная аналитически» მოახდინა მექანიკის განვითარების ისტორიის მეთოდოლოგიური ანალიზი და ცდილობდა განესაზღვრა ამ მეცნიერების მომავალი.

მექანიკა ის ფუნდამენტალური მეცნიერებაა, რომელსაც საჭიროებს მეცნიერების თითქმის ყველა დარგი, მის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. მექანიკის მიღწევები ყოველთვის მიუთითებს ტექნიკის პროგრესზე. მანქანათმშენებლობის დაკავშირებამ მეცნიერებასთან და ტექნიკასთან (XIX ს-ის

ბოლო და XX ს-ის დასაწყისი), გამოიწვია სამეცნიერო კვლევების განსაკუთრებული სახეების სწრაფი განვითარება, რომლებიც მეცნიერულ იდეებს გარდაქმნიან ტექნიკურ საშუალებებში და ახალ ტექნოლოგიებში.

განვითარებული მექანიკური სპეციალობები მიუთითებენ ქვეყნის სამრეწველო პოტენციალზე, რისი ნათელი დადასტურებაც 1851 წელს ლონდონის ჰაიდ-პარკში გახსნილი დიდი სამრეწველო გამოფენა, რომლის მიზანი იყო მსოფლიოსათვის ეხვენებინათ, რომ ბრიტანეთი “მსოფლიოს უმთავრესი სახელმწიფოა”. 1300 ექსპონატს შორის იყო ბოილერის ოთახი, სადაც ორთქლის ძრავის მოქმედების პრინციპს უჩვენებდნენ. ოთხი წლის შემდეგ, 1855 წელს, ასეთივე სამრეწველო გამოფენა მოეწყო პარიზში, რაც საფრანგეთის სამრეწველო განვითარების ნახვის საშუალებას იძლეოდა. 1889 წლის საფრანგეთის სამრეწველო გამოფენის სიმბოლო გახდა ეიფელის კოშკი, როგორც საინჟინრო ხელოვნების შესაძლებლობების ნიმუში.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი “სამრეწველო რევოლუცია” პირველად გამოიყენეს ბრიტანეთში XIX საუკუნეში, რათა წინა საუკუნეში დაწყებული მოვლენები აღეწერათ:

1712 წ. ინგლისელი მჭედლის, ტომას ნიუკომენის გამოგონებამ – ორთქლის ძრავამ, შეცვალა ქვეყნების ცხოვრების რიტმი და ქვანახშირით გაცხელებული წყლისგან წარმოქმნილი ორთქლით ამუშავდა მრავალი მანუფაქტურული დაზგა-დანადგარი. ნიუკომენის სიმძლავრის წყაროს გაუმჯობესება მოახდინა შოტლანდიელმა ჯეიმს ვატმა (1768 წ) და ის ინდუსტრიული რევოლუციის პროცესის კატალიზატორად აქცია. 1782 წელს ვატმა შექმნა საკუთარი ძრავა, რომელიც ორთქლის გამოყენებით დგუმს ზემოთ და ქვემოთ ამოძრავებდა.

ორთქლის ძრავას გამოგონებას 1814 წელს მოჰყვა ორთქლის ლოკომოტივის შექმნა, რომელსაც შეეძლო ქვანახშირით დატვირთული ვაგონების ტარება მაღაროებში, ხოლო შოტლანდიელმა ინჟინერმა ჯონ მაკადამმა გამოიგონა რკინიგზის შემადგენლობა, რამაც გამოიწვია მიმოსვლის სისწრაფის მკვეთრი ზრდა. 1830 წელს გაიხსნა ლივერპული-მანჩესტერის პირველი რკინიგზა, რომელიც 48 კმ სიგრძის იყო. შემდეგ კი რკინიგზის ხაზები უსაშველოდ დაგრძელდა...

ორთქლის ძრავებით აღიჭურვა გემებიც. სახელგანთქმულმა ინჟინერმა - ბრიუნელმა ააგო იმ დროისათვის უდიდესი, ორთქლზე მომუშავე ხომალდი “დიდი აღმოსავლეთი” (Great Eastern), რომელმაც ატლანტის ოკეანის ფსკერზე წარმატებით ჩაღო 4200 კმ სიგრძის სატელეგრაფო კაბელი, ირლანდიდან ნიუფაუნდლენდამდე.

XIX საუკუნის ბოლოს ორთქლის ძალაზე მომუშავე ძრავები შეცვალა ბენზინზე მომუშავე ძრავებმა. ბენზინზე მომუშავე პირველი შიგაწვის ძრავა დააპატენტა (1885 წ), ხოლო შემდეგ შექმნა პირველი მოტოციკლი გერმანელმა ინჟინერმა გოტლიბ დაიმლერმა. მან განაგრძო კვლევითი მუშაობა და ოთხი

წლის შემდეგ სადემონსტრაციოდ გაიტანა ორტაქტიანი, ოთხცილინდრიანი ძრავა, 1899 წელს კი გამოუშვა პირველი ავტომობილი “მერსედესი”.

1893 წელს გერმანელმა ინჟინერმა კარლ ბენცმა შექმნა პირველი საყოველთაო ავტომობილი, რის შემდეგაც დაიწყო ავტომობილების სამრეწველო ბუმი.

ჰენრი ფორდმა, რომელიც თომას ედისონის კომპანიაში, თვეში 45 დოლარად, მექანიკოსის სამუშაოს ასრულებდა, 1896 წელს სახალხოდ გამოსცადა თავისი პირველი ავტომობილი – კვადროციკლი. იგი ამბობდა: “თუ ენთუზიაზმით ხარ სავსე, შეუძლებელს შეძლებ, ენთუზიაზმი ნებისმიერი პროგრესის საფუძველია!” იგი არ უშინდებოდა სიძნელეებს და ამბობდა: “როდესაც გგონია, რომ მთელი სამყარო შენს წინააღმდეგაა, გაიხსენე – თვითმფრინავი ქარის საწინააღმდეგოდ დაფრინავს!” ამ შემართებით, ჰენრი ფორდმა 1903 წელს დააფუძნა “Ford Motor Company”, მისი ოცნება იყო შეექმნა მასობრივი, ყველასთვის ხელმისაწვდომი მანქანა. იგი ამბობდა: “ყველაფრის გაკეთება შეიძლება იმაზე უკეთ, ვიდრე მანამდე კეთდებოდა”, რითაც მიუთითებდა დაუსრულებელ განვითარებასა და სრულყოფის შესაძლებლობაზე. ჰენრი ფორდმა ავტომობილის კონსტრუქცია გაამარტივა, ხოლო მისი დეტალები და მექანიზმი სტანდარტად აქცია. მსოფლიოში პირველად, საავტომობილო წარმოებაში სწორედ მან დაანერგა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა – “ფორდიზმი”, რომლის საფუძველი იყო კონვეიერი, რაც მეწარმეს პროდუქციის ფასის შემცირებაში ეხმარებოდა. კონვეიერულმა მუშაობამ ფორდი საავტომობილო წარმოების ლიდერად აქცია. გამაოგნებელი ინტუიცია, კრეატიული აზროვნება და ინჟინრის მახვილი ჭკუა ფორდს საშუალებას აძლევდა ყველა პრობლემა პარადოქსულად ეფექტურად გადაეჭრა.

ავტომობილი დამსახურებულად მიეკუთვნება იმ უდიდეს გამოგონებათა რიცხვს, რომლებმაც ბორბლის, დენთისა და ელექტრული დენის მსგავსად იქონიეს კოლოსალური გავლენა შემდეგ ეპოქებზე. (დენთის გამოგონებამ ბიძგი მისცა ცეცხლსასროლი იარაღების განვითარებას და რევოლუციურ გარდატეხას სამხედრო საქმეში, რამაც უდიდესი დარტყმა მიაყენა ფეოდალურ წყობას).

XIX საუკუნის ბოლოს მრავალი ფიზიკოსი ფიქრობდა, თითქოს ძირითადი აღმოჩენები უკვე გაკეთებული იყო, მაგრამ 1897 წელს ჯოზეფ ტომსონის მიერ *ელექტრონის* აღმოჩენამ გააქარწყლა მათი მოსაზრება და კაცობრიობას ბიძგი მისცა არნახული წინსვლისთვის. კაცობრიობისთვის დაიწყო ახალი ერა – ელექტრობის საუკუნე! თუმცა უნდა ითქვას, რომ ელექტრობამ დიდი გზა განვლო გერიკეს ელექტროსტატიკური მანქანიდან (1663 წ) ტომსონის მიერ *ელექტრონის* აღმოჩენამდე. გაოცებას დღესაც იწვევს ნიკოლა ტესლას ცდები ელექტრომაგნეტიზმში, რომლის გამოც მას მისი თანამედროვენი “უცხოპლანეტელს” ეძახდნენ.

კოსმოსის ათვისებასა და რაკეტის შექმნაზე პრაქტიკული მუშაობა დაიწყო XX საუკუნეში. თუმცა უნდა ითქვას, რომ აეროპლანის შექმნის იდეა ჰქონდა ლეონარდო და ვინჩისაც. მას აგრეთვე სურდა ისეთი მფრინავი აპარატის შექმნა, რომელიც განახორცილებდა ვერტიკალურ აფრენას და დაშვებას. (1954 წელს აღმოაჩინეს ლეონარდოს მიერ შექმნილი ადამიანის მსგავსი რობოტის (1495 წ) ნახაზები, თუმცა უცნობია, შესძლო თუ არა მან ამ იდეის განხორციელება).

რეალურად, კოსმოსის ათვისებაში დიდი წვლილი შეიტანეს კ. ციოლკოვსკიმ, გერმან ობერტმა, რ. გოდარტმა, ტილინგმა. 1957 წელს გაშვებული იქნა პირველი ხელოვნური თანამგზავრი, ხოლო 1961 წელს მსოფლიო შეაზანზარა იური გაგარინის კოსმოსში გაფრენამ. საინჟინრო ხელოვნების უმაღლეს გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანის გადასვლა მთვარეზე. 1969 წლის 21 ივლისს, ამერიკელმა ასტრონავტმა ნილ ამსტროვმა მთვარეზე გადაბიჯებისას წარმოთქვა: “ეს არის ერთი ადამიანის პატარა ნაბიჯი, მაგრამ უდიდესი ნახტომი კაცობრიობისთვის!”

ადამიანი სამყაროს შეიცნობს თანდათანობით, ბუნებაზე დაკვირვებით, გამოცდილებით, მიღებული ცოდნის გადრმავეებით, შემთხვევითი აღმოჩენებით. ცხადია, ეკვლიდესა და არქიმედეს გარეშე ვერ იქნებოდა ნიუტონი, ნიუტონის გარეშე ვერ იქნებოდა ეინშტეინი და ბორი და ა.შ. საყოველთაოდ ცნობილია ნიუტონის გამონათქვამი: “მე იმიტომ ვხედავდი სხვებზე შორს, რომ გოლიათების მხრებზე ვიდექი”.

ნიუტონის კლასიკურ მექანიკას მოჰყვა კეპლერის ციური მექანიკა, ხოლო მოგვიანებით პლანკის კვანტური მექანიკა. მეცნიერების ეს სამივე მიმართულება სწავლობს მიკრო, მაკრო და ციური სხეულების მოძრაობას, როგორც სამყაროს უსაწყისო და დაუსრულებელ ფენომენს!

მართალია, დღეისათვის კომპიუტერული მართვა შემოიჭრა მეცნიერების ყველა დარგში, მაგრამ მექანიკის განვითარების გარეშე შეუძლებელია რაიმე პროგრესზე საუბარი.

ყოველივე ზემოთ განხილულის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ – მექანიკის და საინჟინრო ხელოვნების განვითარება ისეთივე უსასრულოა, როგორი უსასრულოცაა მოძრაობა...

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯონ ბალჩინი. კვანტური ნახტომი – 100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო; გამომცემლობა “კლიო” 2013წ. 208 გვ;
2. უილიამ გათრი. ბერძენი ფილოსოფოსები. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1983, 175 გვ.

HISTORY of MECHANICS

M.Barbakadze, V. Kartvelishvili
Georgian Technical University.

Abstract: We can say that the history of mechanics is the story of civilization and progressive development of mankind and its future is the future of progressive development of mankind. The history of mechanics is based on a scientific basis and gives an instruction for further advances in science and technology. Improved mechanics – it is accompanying need in the process of scientific and technological progress.

Key words: movement; Steam engine; Industrial Revolution.

ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ МЕХАНИКИ

Барбакадзе М.И., Картвелишвили В.В.
Грузинский Технический Университет
Фак-т Транспорта и машиностроения

Резюме: Можно сказать, что история механики эта история цивилизации и развития человечества а ее будущее - будущее прогрессивного развития человечества. История развития механики базируется на научной основе и дает поручение на дальнейший прогресс науки и техники. Совершенствование механики – это сопровождающая необходимость в процессе научно-технического прогресса.

Ключевые слова: движение; паровой двигатель; Промышленная революция.

ტრანსპორტის როლი გლობალურ დატბობაში

მაია ბარბაქაძე, პასილ ქართველიშვილი**

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სატრანსპორტო ფაკ-ტი
ასოც. პროფესორი

რეზიუმე: დღეისათვის კაცობრიობის წინაშე მთელი სიმწვავეით დგას გლობალური დატბობის პრობლემა, რაც დედამიწის მცხოვრებთათვის დიდი საფრთხის შემცველია. როგორც ცნობილია, დედამიწაზე არსებული მტკნარი წყლის უდიდესი მარაგი თავმოყრილია პოლარული რაიონების აისბერგებში – 85...90%. დედამიწაზე კლიმატის დატბობა იწვევს პოლარულ რაიონებში ყინულების დნობას, რაც ადამიანთათვის კატასტროფის ტოლფასია, რადგანაც მტკნარი წყალი დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის განმსაზღვრელი ბიოქიმიური და ბიოფიზიკური პროცესების წარმართვის აუცილებელი კომპონენტია.

გაეროს მონაცემებით, 2000 წლიდან 1,2 მლრდ ადამიანი იმყოფება მტკნარი წყლის მუდმივი დეფიციტის პირობებში, ხოლო XXI საუკუნის შუა წლებში მათი რიცხვი გადააჭარბებს 4 მლრდ-ს! სამწუხაროდ, ამ პრობლემის შექმნაში უდიდესი როლი მიუძღვის ტრანსპორტს, ამიტომ შექმნილი რეალობიდან გამოსავლის ძიება მეცნიერების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

საკვანძო სიტყვები: გლობალური დატბობა, სათბურის აირები, მტკნარი წყალი.

კლიმატის ცვლილების შემსწავლელი კომისიის დასკვნით, სავარაუდოდ, მე-20 საუკუნის შუა წლებიდან დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა განპირობებულია ანთროპოგენური (ანუ ადამიანის საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი) სათბურის აირების კონცენტრაციის ზრდით, რომლის შედეგადაც ძლიერდება ატმოსფეროს სათბურის ეფექტი, რაც იწვევს დედამიწის ქერქისა და ქვემო ატმოსფეროს გახურებას. 21-ე საუკუნეში მოსალოდნელია დედამიწის ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის შემდგომი ზრდა 1,1 – 6,4 °C-ით. სათბური აირების კონცენტრაციის ზრდის შეჩერების შემთხვევაშიც კი, ეს დატბობა კიდევ ათას წელს გაგრძელდება. მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი დარღვეული წონასწორობის ხელახალი დამყარება და საშუალო ტემპერატურის დასტაბილურება.

გლობალური დატბობის მთავარ მიზეზად დასახელდა ორგანული სათბობის წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირმჟავა აირები, რომელსაც ახასიათებს ე.წ. „სათბურის ეფექტი“. ეს აირები სათბურის შუშების მსგავსად მოქმედებს -

სინათლეს შიგნით უშვებს, სითბოს კი გარეთ ადარ ატარებს. ტროპოსფეროში გაჩენილი „სათბურის აირების“ გარსაცმი ხელს უშლის და ბლოკირებას უკეთებს დედამიწიდან ინფრაწითელი (თბური) რადიაციის გასვლას კოსმოსში, რაც იწვევს დედამიწაზე კლიმატის დათბობას. უნდა აღინიშნოს, რომ ნახშირმჟავა აირი უკანასკნელ ათწლეულამდე არ ითვლებოდა ეკოლოგიურ დამბინძურებლად, თუმცა დღეისათვის იგი შეტანილია იმ მაჩვენებელთა რიგში, რომლის მონიტორინგსაც აწარმოებენ გამონახობლების კონტროლის დროს.

გლობალური დათბობა და ატმოსფეროს საშუალო ტემპერატურის ზრდა საგანგაშოა იმდენად, რომ იგი გამოიწვევს ზღვის დონის აწევას, გაიზრდება კატასტროფული კლიმატური მოვლენების სიხშირე და სიმძლავრე, შეიცვლება ნალექების რაოდენობა და განაწილება. შეიცვლება აგრეთვე სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა, შემცირდება მყინვარები, გადაშენდება ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი სახეობები, გაიზრდება დაავადებათა რიცხვი.

ადამიანების წინაშე დგას საკმაოდ რთული ამოცანა - მართოს დედამიწის რესურსები პლანეტის მრავალრიცხოვანი (6 მლრდ.) მოსახლეობისთვის, ისე, რომ არ დაარღვიოს ბალანსი დედამიწასა და გარემოს შორის.

გლობალური დათბობის პრობლემების დეტალური განხილვისთვის 1997 წ. შეიკრიბა კიოტოს სამიტი, სადაც დედამიწის კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტი - კიოტოს პროტოკოლი, რომელიც არის დამატება გაეროს ჩარჩო ხელშეკრულებაზე. იგი ავალდებულებს განვითარებულ და განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეამცირონ ან დაასტაბილურონ გარემოში ორთქლიანი აირების გამონახობლები, რომლებიც ხელს უწყობენ გლობალური დათბობის პროცესის ინტენსიურ წარმართვას. პროტოკოლზე ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულნი არიან რაოდენობრივად შეამცირონ 6 ტიპის (ნახშირჟანგი, მეთანი, ფტორნახშირწყალბადი, ფტორნახშირბადი, აზოტმჟავა, გოგირდის ჰექსაფტორიდი) გამონახობლები აირის რაოდენობა 5,2%-ით 1990 წლის დონესთან შედარებით. აღსანიშნავია, რომ პროტოკოლი ძალაში შევიდა მიღებიდან შვიდი წლის შემდეგ (2004), რადგან ქვეყნები თავს იკავებდნენ მასზე ხელის მოწერისგან. აღსანიშნავია, რომ აშშ კიოტოს პროტოკოლს ხან უერთდება, ხან კი იგნორირებას უკეთებს მას...

ძირითადი ვალდებულება აიღეს ინდუსტრიალურმა ქვეყნებმა:

- აღნიშნული აირების გამოყოფა ევროკავშირმა უნდა შეამციროს 8%-ით; აშშ-მ 7%-ით; იაპონიამ და კანადამ 6%-ით; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა 8%-ით; რუსეთმა უნდა შეინარჩუნოს 1990 წლის დონე.

იაპონიისა და ევროკავშირის ქვეყნებმა მიიღეს პოლიტიკური გადაწყვეტილება გამონაბოლქვებში ნახშირმჟავა აირების შემცირების შესახებ, რაც იყო ძვირადღირებული ნაბიჯი ენერგეტიკისა და ტრანსპორტის ახალ სტანდარტზე გადაიარაღების გამო. ამ გადაიარაღებამ გამოიწვია აღნიშნული ქვეყნების პროდუქციის გაძვირება, რაც აისახება ეკონომიკურ მაჩვენებლებზე.


აღნიშნული აირების ინტენსიური გამოყოფა წარმოებს საზღვაო ტრანსპორტის მუშაობის დროსაც. კომპანიამ “Maersk Line” მიზნად დაისახა მავნე გამონაბოლქვების შემცირება სიჩქარის შემცირების ხარჯზე. მან უკვე მოახერხა ნახშირორჟანგის შემცირება 10%-ით სიჩქარეების 25-დან 20 კვანძამდე შემცირებით. კომპანია თვლის, რომ გარემოზე მოქმედი უარყოფითი გავლენის შემცირება საზღვაო ტრანსპორტის მხრიდან შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიების ძიებით და მათი შესაბამისი დანერგვით მცურავი საშუალებების აგებისას და ექსპლუატაციის დროს.

გიგანტურმა გარდაქმნებმა მრეწველობასა და ადამიანური საქმიანობის მრავალ სფეროში, ტექნიკურ-ეკონომიკურმა პროგრესმა, პოლიტიკურმა და სხვა ფუნდამენტალურმა ფაქტორებმა გამოიწვია ტრანსპორტის როგორც რაოდენობრივი ზრდა, ასევე ხარისხობრივი განვითარება. გაიზარდა მოძრავი შემადგენლობის პარკი, უაღრესად განვითარდა საავტომობილო მრეწველობა, მნიშვნელოვნად გაიზარდა მოძრაობის სიჩქარეები, რის შედეგადაც დიდ ქალაქებში მივიღეთ მუდმივი საცობები, ტრანსპორტის გადაადგილების და მანევრირების პრობლემები, მნიშვნელოვნად გაუარესდა ეკოლოგიური გარემო.

მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა არა მარტო არსებული სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესება, არამედ ახალი და არატრადიციული ტრანსპორტის სახეობების შექმნა, რაზეც უკვე არსებობს მრავალი იდეა, პროექტი, რომლებიც ელიან მატერიალიზაციას.

შიგაწვის ძრავებმა უკვე მიაღწიეს სრულყოფას და მათი შემდგომი გაუმჯობესება პრაქტიკულად შეუძლებელია, თუნდაც გამოყენებული იქნას ალტერნატიული საწვავი. ელექტრული ძრავების მასიურად გამოყენება, სიძვირისა და დაბალი ეფექტურობის გამო, შეზღუდულია. რაიმე პრინციპიალურ სიახლეს ამ მიმართებით არც საავიაციო მრეწველობა იძლევა.

რაც შეეხება რკინიგზის ტრანსპორტს, სიახლეებს და გაუმჯობესებას აქ უნდა ველოდოთ 12-15 წლის შემდეგ. იაპონელები ფიქრობენ, რომ ქვეყანაში ივლიან ახალი L0 სერიის მატარებლები, რომლებიც 500 კმ/სთ-მდე სიჩქარეს განავითარებენ. თელ-ავივში უკვე მიმდინარეობს ქალაქის მომავლის ტრანსპორტის მშენებლობა *მაგნიტური მონორელსის SkyTran* სახით.



სურ.1. მაგნიტური მონორელსი

მეცნიერთა აზრით, აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა ელექტრომობილების წარმოება, რომელთაც გააჩნიათ ნულოვანი გამონახობა. მათ აქვთ მრავალი კარგი პარამეტრი, თუმცა მთავარი უარყოფითი მხარეა აკუმულატორის მცირე ენერგოტევადობა და დაბალი სიჩქარეები, აგრეთვე სიძვირე. ასე,

რომ მათ წარმოებას დიდი პერსპექტივა არ გააჩნია.

ეკოლოგიური პრობლემების მინიმიზაციის მიზნით ავტომობილები მივიდნენ *ჰიბრიდული ავტომობილის* (ავტომობილი, რომელიც წამყვანი თვლების ამვრისთვის იგამოიყენებს ერთზე მეტ ენერჯის წყაროს) შექმნის იდეამდე, რომლებმაც დღეისათვის ჩაანაცვლეს ელექტრომობილები. ისინი ხარჯავენ ნაკლებ საწვავს და აქვთ ბევრად უკეთესი ეკოლოგიური მაჩვენებლები. მათში უმრავლეს შემთხვევაში გამოყენებულია შიგაწვისა და ელექტროძრავას კომბინაცია, რაც გამორიცხავს შიგაწვის ძრავას მუშაობას მცირე დატვირთვების რეჟიმში, აგრეთვე ახდენს კინეტიკური ენერჯის რეკუპერაციის რეალიზაციას ძალური დანადგარის თბური ეფექტურობის ამაღლებით.

ესეთი ტიპის მანქანები ძირითადად მსუბუქი ავტომობილების კლასში გვხვდება, თუმცა არსებობენ ჰიბრიდულძრავიანი სატვირთო მანქანები და ტრაქტორები. თანამედროვე ელექტროძრავიანი ავტომობილები იყენებენ ტექნოლოგიას სახელწოდებით *რეგენერაციული დამუხრუჭება*. ეს გულისხმობს შემდეგს: ავტომობილის კინეტიკური ენერჯია გარდაიქმნება ელექტროენერჯიად, რომელიც მუხტავს ელექტრობატარებს, ანუ ავტომობილის ენერჯის წყაროს. ჩვეულებრივძრავიან ავტომობილებში კი დამუხრუჭებისას წარმოქმნილი ენერჯია გარდაიქმნება სითბურ ენერჯიად და უსარგებლოდ იფანტება ჰაერში, თან წარმოებს ხუნდების ინტენსიური ცვეთა. ზოგიერთი ჰიბრიდული ავტომობილი იყენებს შიგაწვის ძრავას გენერატორის ასამუშავებლად, რომელიც თავის მხრივ გამოიმუშავებს ელექტროდენს ბატარეების დასამუხტად. არსებობს ჰიბრიდული ავტომობილების ტიპები, რომლებიც მფლობელისგან მოითხოვენ დაცლილი ბატარეების შეცვლას ან სულაც ე.წ. როზეტიდან დატენვას.

რაც შეეხება ხმაურს, ისინი ხმას, პრაქტიკულად, არ გამოსცემენ და სჭიროებენ დამატებითი ხელსაწყოს დამონტაჟებას უსინათლოთა უსაფრთხოების დასაცავად.

ჰიბრიდული მანქანების მეორე გავრცელებული სახეობაა ავტომობილები, რომლებშიც შიგაწვის ძრავა შეთავსებულია შეკუმშულ აირზე მომუშავე ძრავებთან.

პირველი ჰიბრიდული ავტომობილი შექმნა იაპონურმა ავტოგიგანტმა Toyota-მ 1996 წელს, რომელმაც შემდგომ დიდი გავრცელება ჰპოვა მსოფლიო მასშტაბით. Toyota Prius, ასე ეწოდება იმ ავტომობილს, რომელიც მზის შუქს 1997 წელს მოეწვინა. უნდა აღინიშნოს, რომ იაპონური კონცერნი დღემდე სამართლიანად ამაყობს - ამ საკითხზე იმაზე გაცილებით ადრე დავიწყეთ მუშაობა, სანამ გარემოს დაცვა საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი გახდებოდა.

საქართველოში ჰიბრიდული ავტომობილები 2000 წლიდან გამოჩნდა. პირველი ჩვენთანაც „ტოიოტა პრიუსი“ იყო. პარალელურად კი, საქართველოში სხვა ჰიბრიდულმა ავტომობილებმაც დაიწყეს გამოჩენა მაგალითად: Ford Escape, Honda Civic და ა.შ. თუმცა, ამ საკითხში ყველაზე გამოცდილი და ცნობილი მაინც „პრიუსია“, რადგან მისი მომსახურებით მხოლოდ მოქალაქეები კი არა, არამედ მრავალი ორგანიზაცია სარგებლობს.

ჰიბრიდული ავტომობილების ერთ-ერთი უმთავრესი პლუსი ეკონომიურობასთან ერთად გამონახობის შედარებით დაბალი მაჩვენებელია (111-128 გ/კმ-ზე), რაც საკმაოდ ჩამორჩება მხოლოდ ბენზინზე ან დიზელზე მომუშავე ავტომობილების მაჩვენებელს.

„პრიუსი“ ერთ-ერთ ყველაზე გამძლე მოდელად მიიჩნევა, განსაკუთრებით უპრობლემოდ კი ევროპელი და იაპონელი ექსპერტები „პრიუსის“ მეორე თაობას (Prius II) მიიჩნევენ. საქმე სწორ ექსპლუატაციასა და დროულ სერვისშია - ასეთ შემთხვევაში, საკმაოდ ძვირადღირებული ჰიბრიდის შენახვა სხვა ავტომობილებზე გაცილებით იაფი ჯდება.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2020 წლისათვის ჰიბრიდული მანქანების გაყიდვა გაიზრდება 23-ჯერ და გადააჭარბებს 11 მილიონს. ამ დროისათვის ამერიკაში ყოველი მეხუთე გაყიდული მანქანა უკვე ჰიბრიდული იქნება, იუწყება JPMorgan-ი. 2008 წლისათვის დაახლოებით ნახევარი მილიონი ჰიბრიდული ავტომობილი დადიოდა ქალაქებში. ეს მთლიანი ავტომობილების რაოდენობის 0.7%-ია. დღეისათვის იაპონიის ბაზარზე ლიდერები არიან ჰიბრიდული ავტომობილები.

გარდა აღნოშნულისა, მრავალი კომპანია მუშაობს მომავლის ტრანსპორტის შექმნაზე. ასეთს მიეკუთვნება ვაკუუმური გადაზიდვები, რაც გულისხმობს

სპეციალურ ვაკუუმთან მიღებს, რომლებშიც იმოდრავებენ სპეციალური სამგზავრო კაპსულები 6,5 ათასი კმ/სთ-მდე სიჩქარით.

სამეცნიერო-კვლევითი კომპანიის „Laser Power Systems“ მეცნიერები მუშაობენ ახალი ტურბოგენერატორის შექმნაზე, რომელსაც უწოდებენ „თორიუმის ლაზერს“. ეს პროექტი გულისხმობს თორიუმის გამოყენებას მუდმივი კვების წყაროს სახით. თორიუმი აქტივობების ჯგუფის პირველი რადიოაქტიური ელემენტია.

ელექტრომობილები, მზემავალები, მზის ველოსიპედები, მზის ბატარეებზე მომუშავე ელექტრომობილური გემები - ყველა ეს ეკოლოგიურად სუფთა სატრანსპორტო საშუალება შეიქმნა ბოლო 15-20 წელში.



სურ. ჰელიოტრანსპორტი "ოცნება"

რაც შეეხება ჰელიოტრანსპორტს, ისინი გზებზე ძალიან იშვიათად შეიძლება შეგვხვდეს, რადგანაც მიეკუთვნებიან ძალიან ძვირად ღირებულ ტექნიკას. მაგალითად, ორადგილიანი ჰელიოტრანსპორტი "ოცნება", რომელიც ენერჯიას მზისგან იღებს, იაპონურ საავტომობილო კომპანიას "Honda" დაუჯდა 2 მილიონი დოლარი. მასში გამოყენებულია

უნიკალური ტექნიკური გადაწყვეტები და უახლესი მასალები. მისი საშუალო სიჩქარეა 90 კმ/სთ, ხოლო სწორ გზაზე 135 კმ/სთ.

კომპანია "Airbia" მუშაობს ავტომობილების ალტერნატიული ტრანსპორტის შექმნაზე ეკოლოგიური მაღლამფრენი დირიჟაბლების სახით, რომელიც განკუთვნილი იქნება საქალაქთაშორისო რეგულარულ გადაყვანებზე.

დირიჟაბების ფლოტილისთვის (შექმნილია Zeppelin-ის ტექნოლოგიურ ბაზაზე) საჭიროა შეზღუდული ინფრასტრუქტურა - მგზავრთათვის დედამიწაზე მდებარე პლატფორმების სახით. ცხადია "საცობებში" დროის მოცდენა ამ ტრანსპორტით გამოირიცხება! დირიჟაბები გამოიყენებენ პრაქტიკაში მრავალჯერ გამოცდილ ჰელიუმს. თითოეული დირიჟაბლის ტევადობა 400 კაცია, ფრენის საშუალო სიჩქარე 150 კმ/სთ, ხოლო ფრენის სიმაღლე - მიწიდან 30-500 მ-მდე.

ზოგადად, სხვადასხვა ქალაქის ეკოლოგიური პრობლემები განსხვავებულია და დამოკიდებულია:

1. ქალაქის სიდიდეზე - ქალაქის ფართობი, მოსახლეობის შემადგენლობა და რაოდენობა განსაზღვრავს სატრანსპორტო ნაკადებს, საკუთარი და საზოგადოებრივი ტრანსპორტის რაოდენობა ქუჩებში, საყოფაცხოვრებო ნარჩენების და ნაგვის მოცულობა მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ფაქტორია;

2. ტერიტორიის ბუნებრივ პირობებზე - კლიმატის განსაკუთრებულობანი და რამდენად განიავებადია ტერიტორია; ტერიტორიის შიგნით თუ გარეთ მსხვილი წყლის ობიექტების და ტყის მასივების არსებობა;
3. ტერიტორიაზე არსებული წარმოების ხასიათსა და მასშტაბებზე - განსაზღვრავენ ატმოსფეროს და წყლისა და ნიადაგის დაბინძურების ხასიათს და მასშტაბებს;
4. გეოეკოლოგიურ სიტუაციაზე - გრუნტის ტიპები, გრუნტის წყლების რეჟიმები, კარსტული წარმონაქმნების არსებობა;
5. საინჟინრო კომუნიკაციური ქსელების საიმედოობაზე - წყლის და კანალიზაციის, კავშირგაბმულობის, ელექტროხაზები;
6. ტერიტორიაზე მცხოვრებთა კულტურის დონეზე.

დასკვნა

მსოფლიოში შექმნილი რეალობა აჩვენებს, რომ დედამიწის ეკოლოგიური მდგომარეობა ზრუნვას საჭიროებს. ადამიანი და მსოფლიო პოლიტიკა უკვე სერიოზულად ფიქრობს დედამიწის ეკოლოგიაზე. ამიტომ ყველა ინოვაცია, რომელიც ინერგება საავტომობილო ინდუსტრიაში, განიხილება როგორც სამომავლო სტრატეგია საზოგადოებისა და ეკოლოგიის გაუმჯობესებისთვის.

ამერიკელი ბიოლოგის და ეკოლოგის, ბარი კომონერის ფორმულირებით, ეკოლოგია, რომელიც კლასიკური გაგებით, სწავლობს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების ურთიერთობას, ემყარება ოთხ ძირითად პრინციპს:

1. ყველაფერი ურთიერთკავშირშია;
2. ბუნებაში არაფერი არ იკარგება;
3. ბუნებამ იცის უკეთ;
4. არაფერი მოიცემა უსასყიდლოდ.

ცხადია, ეს პრინციპები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ეკოლოგიური ფილოსოფიის მთავარ კრედოდ, ასახავს კოსმოსურ კანონზომიერებებს და მათში კორექტირების შეტანის მცდელობა ძვირად დაუჯდება კაცობრიობას!

გამოყენებული ლიტერატურა

1. Голубев И.Р., Новиков Ю.В. Окружающая среда и транспорт. – М.: Транспорт, 1987.
2. IMO-ს კონვენციები: MARPOL 73/78; SOLAS 74.

3. M. Barbakadze, G. Archvadze, E. Gegeshidze, Z. Bogvelishvili. MARITIME TRANSPORT

TRANSPORT'S ROLE IN GLOBAL WARMING

Maya Barbakadze, Vasil Kartvelishvili
Georgian Technical University, Transport faculty

AND ECOLOGY. POLAND-GEORGIAN INTERNATIONAL SCIENTIFIC-TECHNICAL CONFERENCE

“TRANSPORT BRIDGE EUROPE - ASIA”. October, 22-24, 2014, Tbilisi

Summary: At present, before the humanity with all sharpness is arisen problem of global warming that is rather dangerous for the population of earth. As it is known, the earth's fresh water main reserves are concentrated in the iceberg in polar regions – up to 85 ... 90%. The climate warming in Earth causes ice melting in the polar regions that is a catastrophe for humanity, because the fresh water is necessary component for implementation of constitutive the life on earth of biochemical and biophysical processes.

Due the United Nations estimation since 2000 more than 1.2 billion people are being in permanent lack of fresh water, and their number is expected increased to 4 billion in the middle of the XXI century! Unfortunately, in this problem transport is playing a major role, so the search for solutions from existing realities is one of the most important priorities of science.

Keywords: Global warming, gases of greenhouse, fresh water.

РОЛЬ ТРАНСПОРТА В ГЛОБАЛЬНОМ ПОТЕПЛЕНИИ

БАРБАКАДЗЕ М.И.*; КАРТВЕЛИШВИЛИ В.В.*

**Асоц. профессор*

Грузинский Технический университет, Транспортный фак-тет

Резюме: В настоящее время вся человечество сталкивается с острой проблемой глобального потепления, которое довольно опасно для населения Земли. Как это известно, самые большие запасы пресной воды сосредоточены в айсбергах полярных областях Земли до - 85 ... 90%. Потепление климата Земли вызывает таяния льда в полярных районах, который является катастрофой для человечества, потому что

пресная вода - необходимый компонент для проведения жизненно важных биохимических и биофизических процессов на Земле.

По оценкам ООН, с 2000 года больше чем 1,2 миллиард человек испытывает постоянный дефицит в пресной воде, а с середине XXI века, их число, как ожидается, превысит 4 миллиарда! К сожалению, в этой проблеме транспорт играет главную роль. Таким образом, одним из самых важных приоритетов науки является поиск решений выхода от существующих опасных реальностей.

Ключевые слова: глобальное потепление, парниковые газы, пресная вода.

მექანიკური რელაქსაციური პროცესები დისპროზიუმით ლეგირებულ სილიციუმში

გიორგი დარსაველიძე^{1,2}, ია ყურაშვილი²,

არჩილ ჯანელიძე¹, გოდერძი ჯანელიძე¹

¹საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

²ი. ვეკუას სოხუმის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

საკვანძო სიტყვები: სილიციუმი, შინაგანი ხახუნი, ძვრის მოდული, რელაქსაცია, აქტივაციის ენერჯია.

სილიციუმის მექანიკური თვისებები მეტად მგრძობიარეა მასალის სტრუქტურაში არსებული ტექნოლოგიური მინარევებისადმი, კერძოდ, ჟანგბადისა და ნახშირბადისადმი. ჟანგბადის ატომები ეფექტურად ურთიერთმოქმედებენ დისლოკაციებთან, ამუხრუჭებენ მათ გამრავლებას დეფორმაციის პროცესში, რაც იწვევს კრისტალის განმტკიცებას. ლანთანის ჯგუფის ელემენტებით სილიციუმის ლეგირება მკვეთრად ამცირებს ჟანგბადისა და ნახშირბადის კონცენტრაციას, რითაც შესაძლებელია დისლოკაციური სტრუქტურის ძვრადობის მართვა, და მაშასადამე ლეგირებული სილიციუმის კრისტალების მექანიკური სიმტკიცის მახასიათებლების მოდიფიცირება. აღნიშნული თავისებურებანი განპირობებულია ტექნოლოგიური მინარევების ჟანგბადისა და ნახშირბადის ატომების გეტერირებით სილიციუმის ნაღობში [1]. ნაჩვენებია [2], რომ სილიციუმში ჟანგბადისა და ნახშირბადის შემცველობის შემცირების საუკეთესო შედეგების მიღწევა შესაძლებელია ლეგირებით ლანთანოიდების შედარებით მძიმე ელემენტებით. მაგალითად, Er, Dy, ... იწვევენ ტექნოლოგიური მინარევების ეფექტურ გეტერირებას.

ნაშრომში წარმოდგენილია დისპროზიუმით ლეგირებული სილიციუმის მოცულობითი კრისტალების მიკროსისალისა და არადრეკადი მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევის შედეგები. მიკროსტრუქტურის, ელექტროფიზიკური და მექანიკური

მახასიათებლების ექსპერიმენტული კვლევა განხორციელდა დიაგნოსტიკის თანამედროვე დანადგარებზე.

საცდელი კრისტალები მიღებულია ჩოხრალსკის მეთოდით სტანდარტულ ვაკუუმურ დანადგარზე C-980M. კრისტალები მიღებულია მალეგირებელი დისპროზიუმის ორი სხვადასხვა კონცენტრაციის პირობებში : Si:Dy ($5 \cdot 10^{14} \text{см}^{-3}$) და Si:Dy ($1 \cdot 10^{16} \text{см}^{-3}$).

Si:Dy-ის მოცულობითი კრისტალები ხასიათდება სხვადასხვა ტიპის მაღალი კონცენტრაციის დეფექტების არათანაბარი განაწილებით. პლანარული და წრფივი დეფექტების გადაკვეთის უბნებში ხშირად შეინიშნება დისპერსული ჩანართები. ასეთი ადგილები წარმოადგენენ ძლიერ ლოკალიზებული მაღალი ძაბვების წყაროებს, სადაც მოსალოდნელია ცალკეული დეფექტისა და მათი კომპლექსების მოძრაობის აქტივაციური მახასიათებლების მნიშვნელოვანი ცვლილებები.

შედარებითი ანალიზისათვის შესწავლილი იქნა ასევე იდენტურ პირობებში მიღებული სილიციუმის მოცულობითი კრისტალების სტრუქტურულად-მგრძობიარე ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები საწყის და 800°C ტემპერატურაზე ვაკუუმში 5 სთ-ის განმავლობაში მოწვის შემდეგ.

ცხრილში 1 წარმოდგენილია საცდელი ნიმუშების მიკროსისალისა და ძვრის დინამიური მოდულის განსაზღვრის შედეგები. მოცულობითი და ზედაპირული ეფექტების მკაფიოდ გამოიყვანის მიზნით გაზომვები სრულდებოდა ПМТ-3 ხელსაწყოზე ვიკერსის ინდენტორის მაღალი დატვირთვების პირობებში (100გ).

დისპროზიუმით ლეგირებული სილიციუმის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები


ცხრილი 1

საცდელი ნიმუშები	მაქსიმუმების ტემპერატურა, K	აქტივაციის ენერჯია, ევ	სიხშირის ფაქტორი, წმ^{-1}	ძვრის მოდული, კგ/მმ ²	მიკრო-სისალე, კგ/მმ ²
Si	180-200	0.35-0.40	10^{12}	5500	1150
	250	0.55	$5 \cdot 10^{12}$		
Si:Dy ($5 \cdot 10^{14} \text{см}^{-3}$)	190	0.40	$1 \cdot 10^{12}$	4800	850
	250	0.55	$1 \cdot 10^{13}$		
Si:Dy ($1 \cdot 10^{16} \text{см}^{-3}$)	190	0.40	$2 \cdot 10^{12}$	4600	820
	250	0.55	$1 \cdot 10^{13}$		

დისპროზიუმით სუსტად ლეგირებული ($5 \cdot 10^{14} \text{см}^{-3}$) სილიციუმი ავლენს მექანიკური მახასიათებლების შემცირების ტენდენციას. დისპროზიუმის კონცენტრაციის ამალღება $1 \cdot 10^{16} \text{см}^{-3}$ -მდე კი საგრძნობლად ამცირებს მიკროსისალესა და ძვრის დინამიურ მოდულს სილიციუმის არალეგირებულ ნიმუშებთან შედარებით.

გრეხითი რხევების სიხშირის 0,5-5,0 ჰც დიაპაზონში არალევირებული პოლი-კრისტალური სილიციუმის შინაგანი ხახუნის სპექტრი დაბალ ტემპერატურებზე ხასიათდება ტემპერატურისაგან სუსტად დამოკიდებული ფონითა და მაქსიმუმით 250K ტემპერატურის არეში (ნახ.1,1).

180-200K ინტერვალში შეინიშნება დაბალი ინტენსივობის განიერი მაქსიმუმის კვალი. რხევის სიხშირის ცვლილება 0,5-5,0 ჰც ინტერვალში იწვევს ინტენსიური მაქსიმუმის ტემპერატურის ცვლილებას, რაც ადასტურებს ენერჯის გაბნევის პროცესის რელაქსაციურ ბუნებას. რელაქსაციური პროცესის აქტივაციის ენერჯისა და სიხშირის ფაქტორის მნიშვნელობები შესაბამისად ტოლია 0,55ევ და $5 \cdot 10^{12} \text{წმ}^{-1}$. კრიტიკულ 250K ტემპერატურაზე შინაგანი ხახუნის მაქსიმუმის ინტენსივობა სუსტად (10-15%) იზრდება რხევის ამპლიტუდის გაზრდით 10^{-5} -დან $5 \cdot 10^{-3}$ სიდიდემდე. ციკლური მაღალამპლიტუდური დეფორმაცია ($\square \approx 5 \cdot 10^{-3}$) კიდევ უფრო მეტად ამაღლებს მაქსიმუმის ინტენსივობას. ცნობილი თეორიის [3,4] თანახმად 250K ტემპერატურაზე გამოვლენილი რელაქსაციური მაქსიმუმი მყარ სხეულებში ამავე ტემპერატურის არეში ფიქსირებული დისლოკაციური წარმოშობის მაქსიმუმების ანალოგიურია.



ნახ. 1. დისპროზიუმის გავლენა სილიციუმის შინაგანი ხახუნის სპექტრზე,

1. Si, $f=0,83$ ჰც. 2. Si:Dy (10^{14}სმ^{-3}), $f=1,2$ ჰც. 3. Si:Dy (10^{16}სმ^{-3}), $f=1,0$ ჰც.

დისპროზიუმით სუსტად ლევირება ($5 \cdot 10^{14} \text{სმ}^{-3}$) მკვეთრად ამცირებს რელაქსაციური პროცესის ინტენსივობას 250K ტემპერატურაზე და ავლენს დამატებით მაქსიმუმს 190K ტემპერატურის არეში (ნახ.1.2). დისპროზიუმის კონცენტრაციის ამაღლება 10^{16}სმ^{-3} -მდე თითქმის ორჯერ ზრდის დამატებითი მაქსიმუმის ინტენსივობას და პრაქტიკულად ფონის დონემდე ამცირებს ძირითად მაქსიმუმს (250K). დამატებითი მაქსიმუმი რელაქსაციური წარმოშობისაა, რადგანაც რხევის სიხშირის ცვლილებით 0,5-5,0 ჰც დიაპაზონში მისი ტემპერატურა მერყეობს 180-200K ინტერვალში. პროცესის აქტივაციური მახასიათებლებია:

აქტივაციის ენერგია 0,40ევ, სიხშირის ფაქტორი $1 \cdot 10^{12} \text{წმ}^{-1}$. დამატებითი მაქსიმუმის ინტენსივობა სუსტად იზრდება რხევის ამპლიტუდის გაზრდით $10^{-5} - 5 \cdot 10^{-3}$ ინტერვალში, რაც მიუთითებს რელაქსაციური პროცესის დეფორმაციულ წარმოშობაზე. დისპროზიუმით ლეგირებული პოლიკრისტალური სილიციუმის შინაგანი ხახუნის სპექტრში გამოვლენილი რელაქსაციური პროცესების აქტივაციური მახასიათებლების შემცირების ტენდენცია კორელაციაშია ძვრის მოდულის ანალოგიურ ცვლილებებთან.

სილიციუმის კრისტალურ მესერში დაბალ ტემპერატურებზე რელაქსაციური პროცესების მექანიზმები არასრულყოფილად არის გაანალიზებული. არსებობს მოსაზრება [5,6], რომ ღუნვითი რხევების 3-60კჰც დიაპაზონში 100-300K ინტერვალში ფაქსირებული მაქსიმუმები განპირობებულია წერტილოვანი დეფექტების (ვაკანსია-ჟანგბადი, დივაკანსია-ჟანგბადი,...) მიგრაციით ნიშანცვლადი მექანიკური ძაბვის ველში. აღნიშნული ტიპის დეფექტები შესაძლებელია წარმოიქმნას მექანიკური პოლირების ან რადიაციის პროცესებში. რელაქსაციური პროცესის მექანიზმად შესაძლებელია ასევე მიჩნეული იქნას გეომეტრიული ღუნვების მოძრაობა სრიალით დისლოკაციების გასწვრივ [4]. შესაძლებელია ასევე რხევების ენერგიის გაბნევის რელაქსაციური პროცესის დაკავშირება დისლოკაციური წარმოშობის მიკრობზარების მოძრაობასთან 180-250K ინტერვალში.

მიღებული შედეგები იძლევა საფუძველს დაუშვავ, რომ იშვიათმიწა ელემენტით დისპროზიუმით ლეგირება იწვევს სილიციუმის ეფექტურ განჟანგვას მდნარ მდგომარეობაში. შესაბამისად მყარ მდგომარეობაში მკვეთრად მცირდება (2-3 რიგით) ჟანგბადის კონცენტრაცია, როგორც ჩანერგვის პოზიციებში, ასევე დისლოკაციების ირგვლივ არსებულ კოტრელის ატმოსფეროებში. ასეთ პირობებში სუსტდება დისლოკაციების ბმები, ადგილი აქვს მათ დებლოკირებას, სილიციუმის მექანიკური სიმტკიცის ზღვრის შემცირებას, რომელიც უმთავრესად დაკავშირებულია დისლოკაცია-ჟანგბადის ურთიერთქმედებასთან.

მალეგირებული დისპროზიუმის ატომების დაბალი კონცენტრაციის პირობებში არასრულყოფილად ხორციელდება დისლოკაციების განთავისუფლება ჟანგბადის ატომების ბმებისაგან. დისპროზიუმის კრიტიკულ კონცენტრაციამდე (10^{16}სმ^{-3}) ამაღლება განაპირობებს დისლოკაციური სტრუქტურის სრულ დებლოკირებას, მიკროსისალის, დისლოკაციების მოძრაობის აქტივაციის ენერგიისა და ძვრის მოდულის შემცირებას. დისპროზიუმის გავლენის მექანიზმების ღრმა ანალიზისათვის მიზანშეწონილია მომავალში ანალოგიური კვლევები განხორციელდეს მონოკრისტალურ Si:Dy მოცულობით ნიმუშებზე, სადაც მეტად შეზღუდულია დეფექტების ტიპები, შემცირებულია მათი კონცენტრაცია, ამაღლებულია მექანიკური რელაქსაციის პროცესებში ცალკეული დეფექტის წვლილის კორექტულად შეფასების შესაძლებლობები.

ლიტერატურა:

1. Журавлев Л.В., Латухина Н.В., Блытушкина Е.Ю., Влияние легирования редкоземельными элементами на структуру поверхностного слоя кремния// Известия вузов. Материалы электронной техники. 2004. Вып.3. с. 72-74.
2. Латухина Н.В., Лебедев В.М. Концентрационные профили редкоземельных элементов в диффузионных слоях кремния // Письма в ЖТФ. 2005.Т.31. В. 13. с. 58-64.
3. Lothe I. Hirth I.P. Dislocation Dynamics at Low Temperatures. Phys. Rev, 1959. 115, N3, 543-550.
4. Антипов С.А., Батаронов И.Л., Дрожжин А.И., Мишин И.В. Рошупкин А.М. О механизме низкотемпературных пиков внутреннего трения в нитевидных кристаллах кремния. ФТТ, 1989, 31, 9, 162-169
5. Антипов С.А. Дрожжин А.И., Мишин И.В. Рошупкин А.М. Низкотемпературный дислокационный максимум внутреннего трения в нитевидных кристаллах кремния, ЖТФ., 1987, 57, 12, 2382-2384.
6. Khiznichenko L.P., Kromer P.F., Kaipnazarov D.K., The properties of the Low-temperature internal friction peak in Silicon. Phys. Stat. Sol. 1967, vol.21.

**მექანიკური რელაქსაციური პროცესები დისპროზიუმით ლეგირებულ
სილიციუმში**

შესაწავლილია დისპროზიუმის გავლენა სილიციუმის დისლოკაციური არადრეკადობის მახასიათებლებზე. ნაჩვენებია რელაქსაციური პროცესების აქტივაციური მახასიათებლების შემცირება. გაანალიზებულია დისლოკაციების დამუხრუჭების შესუსტების მიზეზები კოტრელის ატმოსფეროებში ჟანგბადის კონცენტრაციის შემცირების პირობებში.

საკვანძო სიტყვები: სილიციუმი, შინაგანი ხახუნი, ძვრის მოდული, რელაქსაცია, აქტივაციის ენერგია

Relaxation processes in Dy-doped Si

G.Darsavelidze^{1,2}, I.Kurashvili², A.Janelidze¹, G.Janelidze¹

¹Georgian Technical University

²I.Vekua Sukhumi Institute of Physics and Technology

Keywords: Silicon, internal friction, shear modulus, relaxation, activation energy.

Influence of dysprosium doping on inelastic characteristics in silicon has been studied. Decrease of relaxation processes activation characteristics has been shown. Causes of weakening of dislocations braking in Cottrell atmosphere in conditions of reducing oxygen concentration has been analyzed.

Релаксационные процессы в кремнии легированном диспрозием

Г.Дарсавелидзе, И.Курашвили, А.Джанелидзе, Г. Джанелидзе

¹Грузинский Технический Университет

²Сухумский физико-технический институт им. И. Векуа

Ключевые слова: Кремний, внутреннее трение, модуль сдвига, релаксация, энергия активации.

Исследовано влияние диспрозия на дислокационную неупругость кремния. Показано понижение активационных характеристик релаксационного внутреннего трения в области температур 190-250К вследствие сильного уменьшения концентрации кислородсодержащих дефектов, тормозящих движение дислокации.

სპექტროსკოპიის თანამედროვე მეთოდები უმცირესი ზომის ობიექტების გამოვლენასა და კვლევაში


ქეთევან კაპანაძე, გურამ ჩიხლაძე

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
იმს ფაკ-ტი, საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი*

რეზიუმე: სტატიაში განხილულია სხვადასხვა სპექტროსკოპული მეთოდი, რომლებიც შეიძლება იყოს გამოყენებული უმცირესი ზომის ნაწილაკების გამოვლენისას და განსაზღვრისას. აღწერილია თითოეული მეთოდის მოქმედების პრინციპი და მითითებულია შესაბამისი ხელსაწყოები. შეფასებულია და შედარებულია განსხვავებული მეთოდების უპირატესობები და ნაკლოვანებები. გამოვლენილია უპირატესად მისაღები მეთოდები დასმული ამოცანების წარმატებული გადაწყვეტისთვის.

საკვანძო სიტყვები: სპექტრი, მეთოდი, ატომი, მოლეკულა, შემადგენლობა, ანალიზი.

სპექტრული ანალიზი არის ფიზიკური მეთოდი ნივთიერების ქიმიური შემადგენლობის თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზისთვის, რომელიც ეფუძნება მათი ოპტიკური სპექტრების შესწავლას. ახასიათებს მაღალი სი-



თეთრი სინათლის დაშლა სპექტრად

ზუსტე და გამოიყენება ქიმიაში, ასტროფიზიკაში მეტალოურგიაში, გეოლოგიურ დაზვერვაში, მედიცინაში და სხვ. ატომური და მოლეკულური სპექტრული ანალიზი საშუალებას იძლევა

განისაზღვროს საკ-ლევი ელემენტის ატომური და მოლეკულური შემადგენლობა. მისი თეორიული საფუძ-ველი არის სპექტროსკოპია.

პირველად თეთრი სინათლე სპექტრად მე-17 საუკუნეში და-შალა დიდმა ინგლისელმა ფიზიკოსმა სერ ისაკ ნიუტონმა.



ჟან ბატისტ ფოზეფ ფურიე


ოპტიკური სპექტრული ანალიზი შესასრულებლად ყველაზე მარტივია, არ საჭიროებს ნიმუშების რთულ წინასაანალიზო მომზადებას. ატომურ სპექტრებს ლებულ-ობენ ნიმუშის აირად მდგომარეობაში გადაყვანით, რაც მისი მაღალ ტემპერატურაზე გაცხელებით ხდება – 1000-დან 10 000 °C-მდე. აირში ატარებენ სინათლის სხივებს და მიღებული სპექტრული ხაზებით ადგენენ, თუ რა ელემენტებისგან შედგება აირი [1].

სპექტრული ანალიზის მათემატიკური საფუძვლები

მე-19 საუკუნეში შეიმუშავა დიდმა ფრანგმა მათემატიკოსმა ჟან ფურიემ.


სინათლის ხილული სპექტრის გარდა, სპექტროსკოპიაში გამოიყენება ასევე გამოსხივების ინფრაწითელი (IR-Analysis) (დიაპაზონი 800 – 40 000 ნმ) და ულტრაიისფერი (UV-Analysis) (დიაპაზონი 200 – 400 ნმ) არეები. არანაკლებ იყენებენ ბირთვულ-მაგნიტურ რეზონანსსაც (NMR-Analysis). ისინი ყველაზე გამოყენებად მეთოდებს განეკუთვნება, რომლებიც ორგანული ნაერთების შედგენილობაზე ამომწურავი ინფორმაციას იძლევა.

სპექტროსკოპიის განვითარებაზე მუშაობენ მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტები და კვლევითი ლაბორატორიები. ფიზიკისა და ქიმიის განხრით ჩატარებულია ფართომასშტაბიანი კვლევები რადიაქტიურ მასალებზე, ნ/გ, იშვიათ ლითონებზე, ქიმიურ რეაქტივებზე და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ამჟამად, ვირუსებზე. სხვა. განსაზღვრის მეთოდებიდან განვითარება ჰპოვა ყველაზე მგრძობიარე მეთოდებმა – ემისიურმა სპექტრულმა ანალიზმა, ლუმინესცენტურმა და ფოტომეტრულმა მეთოდებმა, რომლებიც კარგი ანალიტიკური მახასიათებლებით, ადვილი წვდომითა და სიმარტივით გამოირჩევა.



სპექტროსკოპული მეთოდები ემყარება გასაანალიზებელი ნივთიერების ატომების, მოლეკულებისა თუ იონების ურთიერთქმედებას ელექტრომაგნიტურ გამოსხივებასთან. ეს ურთიერთქმედება ვლინდება ფოტონების გამოსხივებასა ან შთანთქმისას. შესაბამისად, განასხვავებენ მეთოდების ორ ჯგუფს – ემისიურს და აბსორბციულს (გამოსხივების და შთანთქმის). იმის მიხედვით, თუ რა ნაწილაკები ფორმირებს ანალიტიკურ სიგნალს, განასხვავებენ ატომურ და მოლეკულურ სპექტროსკოპიას [2].


ემისიური სპექტრული ანალიზი (ესა) ეფუძნება საკვლევი ნივთიერების გაცხელებისას მისი მნათი ორთქლის გასხივებული ხაზოვანი სპექტრების დაკვირვებას. ასეთი სახის სპექტრებს გამოსხივების სპექტრებს ან ემისიურ სპექტრებს უწოდებენ. სწორედ აქედან გამომდინარეობს თვით ამ ანალიზის დასახელება.



გუსტავ რობერტ
კირხჰოფი

საკვლევი ნივთიერების კვალის გამოვლენის შერწყმა ანალიზის ფიზიკურ და ფიზიკა-ქიმიურ მეთოდებთან (ემისიური სპექტრული, ფოტომეტრული, ლუმინესცენტური და სხვა) მგრძნობელობის 100-1000-ჯერ გაზრდის საშუალებას იძლევა, რაც, თავის მხრივ, ზრდის მცირე და უმცირესი (მიკრო- და ნანო-) ზომის ნაწილაკების გამოვლენის ალბათობას. რაიმე ელემენტის მახასიათებელი ხაზების არსებობა სპექტრში მიუთითებს ამ ელემენტის არსებობას საკვლევი ნივთიერებაში – ეს ხარისხობრივი ანალიზია. ელემენტის სპექტრში ხაზების ინტენსივობა არის მისი კონცენტრაციის საზომი – რაოდენობრივი ანალიზი. ესა მარტივია და სწრაფი. ის არ საჭიროებს რთულ მომზადებას და ბევრ სინჯს. 10-30 მგ მასის ნივთიერებაც მასში უამრავი ელემენტების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. ესა მგრძნობიარეა, ის ფართოდ გამოიყენება ქიმიაში, ასტროფიზიკაში, მეტალურგიაში, მედიცინაში და სხვა. ის შემოთავაზებულ იქნა მე-19 საუკუნეში გუსტავ კირხჰოფისა და რობერტ ბუნზენის მიერ [3].

აბსორბციულ სპექტრულ ანალიზში გარე წყაროს გამოსხივებას ატარებენ სინჯში, ამასთან ფოტონების ნაწილი შთანთქმდება ატომებითა და მოლეკულებით. ამ ჯგუფის უმთავრესი მეთოდებია – ატომურ-აბსორბციული სპექტრული (აას) ანალიზი და მოლეკულურ-აბსორბციული (მას) სპექტროსკოპია. ამ უკანასკნელს ჩვეულებრივად სპექტროფოტომეტრიას ან ფოტომეტრულ ანალიზს უწოდებენ.




გამოსხივებისა თუ შთანთქმის სპექტრები რეგისტრირდება სპექტრომეტრებით.

გამოსხივებისა და შთანთქმის სპექტრები ძალიან ჰგავს ერთმანეთს, რადგან განისაზღვრება მოცემული ელემენტის ატომებში ერთნაირი სახის ენერგეტიკული გადასვლებით.

გამოსხივების სპექტრები

ხარისხობრივი ანალიზი: არის ვრცელი სპექტრული ატლასები და მათთან ხდება ცდის შედეგად მიღებული სპექტრების შედარება.

რაოდენობრივი ანალიზი: გამოსხივების ინტენსივობა აეს-ში განისაზღვრება აგზნებული ატომების კონცენტრაციით. მოცემული ტალღის სიგრძისთვის



გამოსხივების ინტენსივობა სინჯში ელემენტის კონცენტრაციის პირდაპირპროპორციულია

$$I = a C$$

კონცენტრაციების გათვლა ხდება წინასწარ აგებული გრაფიკების მეშვეობით.

შთანთქმის სპექტრები

მონოქრომატული სინათლის ნაკადის გავლისას ნივთიერებაში, სინათლის ინტენსივობა კლებულობს ამ ნივთიერების მიერ მისი შთანთქმისა და გაბნევის გამო. სინათლის დანაკარგების შესაფასებლად იყენებენ ე.წ. **შედარების** ხსნარს, რომელიც არ შეიცავს საკვლევ ნივთიერებას. სინათლის გატარებით შედარებისა და ძირითად ხსნარებში მიიღება და

იზომება გასული სინათლის ინტენსივობები, შესაბამისად I_0 და I , რომელთა შორის განსხვავება განისაზღვრება მხოლოდ საკვლევი ნივთიერების ბუნებითა და კონცენტრაციით [4].

მოლეკულურ-აბსორბციულ სპექტროსკოპიაში ანალიტიკური სიგნალის სახით იყენებენ ოპტიკურ სიმკვრივეს (A). ეს არის შედარებისა და ძირითად ხსნარებში გასული სინათლის ინტენსივობების ფარდობის ათობითი ლოგარითმი

$$A = \lg \frac{I_0}{I}$$


ამავდროულად ოპტიკური სიმკვრივე კონცენტრაციის პროპორციულია

$$A = \epsilon I C$$

აქ ϵ – ნივთიერების მოლური კოეფიციენტი.

ოპტიკური სიმკვრივის გაზომვისა და შთანთქმის სპექტრების რეგისტრაციისთვის იყენებენ სპექტროფოტომეტრებს. მათი უმთავრესი ნაწილია მონოქრომატორი.

ხსნარის შთანთქმის სპექტრს ადგენენ $A - \lambda$ კოორდინატებში. კონცენტრაციის ცვლილებისას სპექტრული მრუდი შვეულად ინაცვლებს, თუმცა მაქსიმუმების რიცხვი და ადგილმდებარეობა სინათლის ტალღის სვალის მიმართ არ იცვლება. მოლური კოეფიციენტის დამოკიდებულება ტალღის სიგრძეზე არ იცვლება კონცენტრაციის ცვლილებისას. რაც მეტია ϵ , მით უფრო მცირე კონცენტრაციის აღმოჩენა შესაძლებელი ამ მეთოდიკით [5].



ლიტერატურა

1. И. Колесник. Спектроскопические методы для исследования (нано)материалов, МГУ, материалы IV Всероссийской олимпиады по нанотехнологиям. 2014.
2. А.Н. Образцов. Методы исследования и диагностика нанообъектов и наносистем. МГУ им. М.В. Ломоносова. 2013.

3. J. MICHAEL HOLLAS, Optical data, X-ray data, samples of optical spectra of some materials, tabulation of wavelengths, *Modern Spectroscopy*, 1987.
4. J.W. ROBINSON. Spectroscopic data covering X-ray and neutron spectroscopy, photoelectron spectroscopy, ultraviolet, optical, and infrared spectroscopy. *Practical Handbook of Spectroscopy*, 1991.
5. IGOR I. SOBELMAN, *Atomic Spectra and Radiation Transitions*, 2nd ed., 1992.

СОВРЕМЕННЫЕ МЕТОДЫ СПЕКТРОСКОПИИ ДЛЯ ВЫЯВЛЕНИЯ И ИССЛЕДОВАНИЯ ОБЪЕКТОВ НАИМЕНЬШЕГО РАЗМЕРА

Кетеван Гениозовна Капанадзе, Гурам Григорьевич Чихладзе

*Грузинский технический университет,
фак-тет ИСУ, Департамент инженерной физики*

Резюме

В статье рассмотрены различные спектроскопические методы, которые могут быть использованы при выявлении и определении частиц наименьшего размера. Описаны принципы действия каждого метода и указаны соответствующие приборы. Произведены оценка и сравнение преимуществ и недостатков различных методов. Выявлены преимущественно приемлемые методы для успешного решения поставленных задач.

Ключевые слова: спектр, метод, атом, молекула, состав, анализ.

MODERN SPECTROSCOPY METHODS FOR REVEAL AND INVESTIGATION OF LEAST SIZE OBJECTS

Ketevan G. Kapanadze, Guram G. Chikhladze

*Georgian Technical University,
Fac-ty of ICS, Department of Engineering Physics*

Abstract

The paper deals with different spectroscopy methods that may be applied to reveal and detection of least size particles. Operating principles of each method are described and the corresponding devices are pointed. Estimation and comparison of advantages and disadvantages of different methods are carried out. Preferably acceptable methods for successful solution of stated problems are revealed.

Keywords: spectrum, method, atom, molecule, consistence, analysis.

ბიოლოგიურ სისტემათა ენტროპიის რეპროდუქციის შესახებ

ო. კეთილაძე, მ. ჩიხლაძე, მ. გიგინეიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი.
სააქციო საზოგადოება „კურაციო“.

საკვანძო სიტყვები: ენტროპია, ჰომეოსტაზისი, სტაციონარული და თერმოდინამიკური წონასწორობა, ფლუქტუაცია.

მეოცე საუკუნის დასაწყისში ბიოლოგთა და ფიზიკოსთა გარკვეული ჯგუფი ცდილობდა თერმოდინამიკის კანონები მიესადაგებინა ბიოლოგიურ სისტემებში მიმდინარე პროცესებისთვის. ბიოლოგ-თეორეტიკოსმა ერვინ ბაუერმა აღმოაჩინა ცოცხალ (ბიოლოგიურ) სისტემათა მუდმივად არაწონასწორულ მდგომარეობაში არსებობის პრინციპი ე.წ. „ბიოლოგიის უზოგადესი კანონი“, რომელიც ასეთი ფორმულირებით შეიძლება ჩამოვაცალიბოთ:

➤ ნებისმიერი ცოცხალი სისტემა, მისი ზომებისა და განვითარების სტადიისგან დამოუკიდებლად, ღია თერმოდინამიკური სისტემაა. იგი ენერგიის, ნივთიერების და ინფორმაციის ცვლით მუდმივ კონტაქტშია გარემოსთან. ცოცხალი სისტემა შეუძლებელია იყოს თერმოდინამიკურ წონასწორულ მდგომარეობაში. ის თავისუფალი შინაგანი ენერგიის ხარჯზე მუდმივად ასრულებს მუშაობას იმ წონასწორობის წინააღმდეგ, რომელიც შეესაბამება მოცემულ გარე პირობებს.

ქვანტური ფიზიკის ფუძემდებლმა ერვინ შრედინგერმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ცოცხალი სისტემის ენტროპიის ცვლილება გამოწვეულია ორი ფაქტორით:

1. გარემოსთან გაცვლითი პროცესების შედეგად ენტროპიის ცვლილებით $dS_{გარე}$,
2. თვით ამ სისტემაში მიმდინარე შეუქცევადი პროცესების შედეგად ენტროპიის ზრდით $dS_{შიგა} > 0$.

ამ მოსაზრებიდან და ენტროპიის შეკრებადობიდან გამომდინარე სისტემის ენტროპიის ცვლილება ასე ჩაიწერება:

$$dS = dS_{გარე} + dS_{შიგა}$$

რომლის გაწარმოებით ვღებულობთ:

$$\frac{dS}{dt} = \frac{dS_{\text{გარე}}}{dt} + \frac{dS_{\text{აიგა}}}{dt} \quad (1)$$

(1)-ის თანახმად ბიოლოგიური სისტემის ენტროპიის ცვლილების სიჩქარე ტოლია სისტემის გარემოსთან ურთიერთობისას ენტროპიის ცვლილების და სისტემის შიგნით ენტროპიის ზრდის სიჩქარეთა ჯამის. რადგან $dS_{\text{გარე}}/dt$ –ში იგულისხმება სისტემის გარემოსთან ნივთიერებისა და ენერჯის ცვლა, ის შესაძლებელია იყოს დადებითიც და უარყოფითიც. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ სისტემაში მიმდინარე არაწონასწორული პროცესების გამო ყოველთვის $dS_{\text{აიგა}} > 0$, ბიოლოგიური სისტემის ენტროპია შეიძლება იზრდებოდეს, ან

მცირდებოდეს. კერძოდ მცირდება $\frac{dS}{dt} < 0$ მაშინ, როცა $\frac{dS_{\text{გარე}}}{dt} < 0$ და ამასთან

$$\left| \frac{dS_{\text{გარე}}}{dt} \right| > \frac{dS_{\text{აიგა}}}{dt}.$$

ბიოლოგიური ორგანიზმების გარემოსთან ენერგოცვლა გამარტივებული ფორმით შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ფოტოსინთეზის საშუალებით ნახშიროჟანგისა და წყლის მოლეკულებისგან ნახშირწყლების რთული მოლეკულების წარმოქმნის პროცესი და მათი შემდგომი დეგრადაცია სუნთქვისას. სწორედ ეს ენერგოცვლა უზრუნველყოფს როგორც ცალკეული ორგანოს, ასევე მთლიანი ორგანიზმის ფუნქციონირებას და საერთოდ სიცოცხლის არსებობას დედამიწაზე.

ცოცხალი ორგანიზმი მუდმივად მიისწრაფის სტაციონარული მდგომარეობისკენ. სტაციონარული მდგომარეობა ხასიათდება სისტემის თვისებათა დროში უცვლელობით. იგი დინამიური წონასწორობაა – მიიღწევა გარემოსთან ენერჯის, მასის, ინფორმაციის უწყვეტი გაცვლით. ცოცხალი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელია სტაციონარული და არა თერმოდინამიკური წონასწორული მდგომარეობა. მისთვის ეს უკანასკნელი ნიშნავს სტატიკურ წონასწორობას – სიკვდილს, რადგან წყდება გარემოსთან ენერჯის, მასის და ინფორმაციის გაცვლის პროცესები ანუ ყოველივე ის, რაც განსაზღვრავს მის ცხოველუნარიანობას.

ნობელის პრემიის ლაურეატის პრიგოჟინის კონცეფციის თანახმად ადამიანის ზრდისა და განვითარების პროცესში მის ორგანიზმში კლებულობს მასის ერთეულის შესაბამისი ენტროპიის ზრდის სიჩქარე. სტაციონარული მდგომარეობის მიღწევისას ენერჯის და ნივთიერების მიღება – გაცემის

პროცესები ერთმანეთს აკომპენსირებს, ამიტომ შესაძლებელია ჯამური ენტროპიის ცვლილება გავუტოლოთ ნულს $\frac{dS}{dt} = 0$, რადგან

$$\frac{dS_{\text{შიგა}}}{dt} = \left| \frac{dS_{\text{გარე}}}{dt} \right| \quad (2)$$

➤ ორგანიზმში ჩვეულებრივ მდგომარეობაში - ნორმაში შიგა პროცესებით გამოწვეული ენტროპიის ცვლილების სიჩქარე გარემოსთან ნივთიერებისა და ენერჯის ცვლის შედეგად ენტროპიის ცვლილების სიჩქარის ტოლია.

ბიოლოგიურ ორგანიზმებს და მათ შორის ადამიანსაც ევოლუციის პერიოდში

ჩამოუყალიბდა ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მექანიზმები წინააღმდეგობა გაუწიოს იმ შიგა და გარე ფაქტორებს, რომლებიც არღვევს მის ჰომეოსტაზს (ორგანიზმის შინაგანი გარემოს (ტემპერატურა, სისხლის წნევა და სხვა) უცვლელიობას). ჰომეოსტაზის შენარჩუნება თხოულობს ენერჯის მინიმალურ ხარჯვას. ანუ სტაციონარულ მდგომარეობაში ორგანიზმი ცდილობს იმუშაოს ყველაზე ეკონომიურ ენერგეტიკულ რეჟიმში.

პრიგოჟინმა ბიოლოგიური სისტემის სტაციონარული მდგომარეობის ძირითადი თვისება ასეთი თეორემის სახით ჩამოაყალიბა:


უცვლელი გარე პირობების დროს თერმოდინამიკურ წონასწორობასთან ახლოს მყოფი ღია ბიოლოგიური სისტემის შიგნით მიმდინარე არაშექცევადი პროცესების შედეგად ენტროპიის ზრდა თანდათან მცირდება ნულისგან განსხვავებულ მინიმალურ მუდმივ დადებით მნიშვნელობამდე:

$$dS_{\text{შიგა}} \rightarrow A_{\text{შიგა}} > 0. \quad (3)$$

ანუ სისტემა გადადის სტაციონარულ მდგომარეობაში $A_{\text{შიგა}} = \text{const}(t)$.

(3) ასეც შეიძლება ჩავწეროთ:

$$\frac{d}{dt} \left(\frac{dS_{\text{შიგა}}}{dt} \right) < 0, \quad (4)$$



რაც მიუთითებს სტაციონარული მდგომარეობის მდგრადობას. კერძოდ, თუ სისტემა იმყოფება სტაციონარულ მდგომარეობაში, იგი თავისით ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვა. უფრო მეტიც, ფლუქტუაციათა შედეგად ამ მდგომარეობიდან გადახრისას აღიძვრება ისეთი შიგა პროცესები, რომელიც მას დააბრუნებს სტაციონარულ მდგომარეობაში.

ბიოლოგიურ სისტემას შეიძლება გააჩნდეს რამოდენიმე სტაციონარული მდგომარეობა, რომლებიც ერთმანეთისგან ენტროპიის რეპროდუქციით -

$dS_{\text{ოგა}} / dt$ განსხვავდება. როდესაც სისტემა გადადის სტაციონარულ მდგომარეობაში იგი გადის გარდამავალ საფეხურებს, რაც ნიშნავს რომ ხდება მისი თვისებების ცვლილება.

ნახ. 1-ზე მოცემულია ბიოლოგიური სისტემის რამოდენიმე ენერგეტიკული მდგომარეობა. მათგან 1, 4, 6 სტაბილური სტაციონარული მდგომარეობაა, 2, 3, 5 არასტაბილური. გარე „შემფოთებისას“ სისტემამ შეიძლება შეიცვალოს მდგომარეობა. თუ 1-სტაციონარული მდგომარეობიდან გადახრა მცირეა (2-გარდამავალი მდგომარეობა), სისტემაში აღიძვრება ისეთი პროცესები, რომელიც მას დააბრუნებს სტაციონარულ მდგომარეობაში 2→1. თუ „შემფოთებები“ ხანგრძლივია შეიძლება მოხდეს 2→3 გადასვლა და სისტემა აღმოჩნდეს 3-არასტაბილურ მდგომარეობაში, საიდანაც შესაძლებელია რამოდენიმე ვარიანტის განხორციელება: დაბრუნება 1-სტაბილურ მდგომარეობაში, 4 – ასევე სტაბილურ, ოღონდ ახალ ენერგოინფორმაციულ მდგომარეობაში (შეესაბამება ორგანიზმის მეტნაკლებად ადაპტაციურ მდგომარეობას ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ან ქრონიკულ დაავადებას), ან უფრო მაღალ არასტაბილურ 5- მდგომარეობაში.

ბიოლოგიური სისტემის სტაციონარული მდგომარეობიდან გადახრისას – ავადმყოფობის შედეგად წარმოქმნილი ან შექმნილი ბიოლოგიური დეფექტების საკომპენსაციოდ თავს იჩენს დამატებითი ენერგოხარჯები, რაც გამოიხატება ენტროპიის ზრდით. მაგ. ორგანიზმში ანთებითი პროცესებისას ხდება ენერჯის მოხმარების გაზრდა: იზრდება ორგანიზმის ტემპერატურა, მატულობს გაცვლითი პროცესების სიჩქარე.

დაავადების გამწვავებისას ორგანიზმი არაეკონომიურად ფუნქციონირებს, მდგომარეობა არასტაციონალურია და მიმდინარეობს ენტროპიის გაზრდილი რეპროდუქცია. დაავადების გამწვავებისას ან გამწვავებული პათოლოგიური სინდრომისას აუცილებელია პაციენტის სწრაფი – ნახტომისებური გადაყვანა შედარებით „კარგ“ სტაციონარულ მდგომარეობაში. რისთვისაც მიზანშეწონილია სამედიცინო პრეპარატების დიდი დოზით გამოყენება. გამწვავების შესუსტებისა და ქრონიკული დაავადების რემისიის დროს შესაძლებელი ხდება აკუპუნქტურის მეთოდის (ნემსით ჩხვლეტით მკურნალობა) და ჰომოფათიური საშუალებების (მცენარეული, მინერალური, ცხოველური) გამოყენება, რომლებიც პაციენტზე დადებით ენერგოინფორმაციულ მოქმედებას ახდენს.

ლიტერატურა:

К.Г Коротков. Основы ГРВ биоэлектрографии. – СПб, Изд-во СПбГИТМО, 2001.

Б. С. доброборский. термодинамика биологических систем.

www.interlibrary.narod.ru/GenCat/.../20120003803.

ბიოლოგიურ სისტემათა ენტროპიის რეპროდუქციის შესახებ

ო. კეთილაძე, მ. ჩიხლაძე, მ. გიგინეიშვილი

*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი, საინჟინრო ფიზიკის
დეპარტამენტი.სააქციო საზოგადოება „კურაციო“.*

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ბიოლოგიური სისტემების, როგორც ღია თერმოდინამიკური სისტემების შიგნით მიმდინარე არაწონასწორული და გარემოსთან გაცვლითი პროცესებით გამოწვეული ენტროპიის ცვლილების თავისებურებანი. აღნიშნულია, რომ ცოცხალი ორგანიზმი მუდმივად მიისწრაფის სტაციონარული მდგომარეობისკენ, რომელიც დინამიკურია და წონასწორული, ამასთან ამ მდგომარეობაში ორგანიზმის ენერგოხარჯი მინიმალურია.

About Reproduction of Entropy of Biological Systems

O. Ketiladze, M. Chixladze, M. Gigineishvili

*Georgian Technical University,
Faculty of Informatics and Control Systems,
Department of Engineering Physics
JSC “Kuratsio”*

Summary

The article considers the specifications of change of entropy because of non-balanced and environmental exchange processes that are going into biological systems, such as open

thermodynamic systems. It is noted that living organisms always strive for stable condition. This condition is dynamically balanced and organisms' energetic expense is minimal.

Keywords: *Entropy, homeostatis, stational and thermodynamic balance, fluctuation.*

О репродукции энтропии биологических систем

О.Кетиладзе, М.Чихладзе, М.Гигинеишвили
Грузинский технический университет,
факультет информатики и систем управления,
департамент инженерной физики,
акционерное общество "Курацио"

Резюме

В работе рассмотрены особенности изменения энтропии, вызванные неравновесными и обменными с окружающей средой процессами, происходящими внутри биологических систем, рассмотренных как открытые термодинамические системы. Отмечено, что живые организмы всегда стремятся к стационарному состоянию, оно является динамичным и равновесным, и в этом состоянии энергозатраты организма минимальны.

Ключевые слова: *энтропия, гомеостазис, стационарное состояние, термодинамическое равновесие, флуктуация.*

მაქსველის განტოლებების სწავლების შესახებ

*კუკულაძე გ., ჩიხლაძე მ., წულუკიძე მ.,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: ელექტრომაგნიტური ინდუქცია, განზოგადებული სრული დენის კანონი, მაქსველის განტოლებები, წანაცვლების დენი.

მაქსველის განტოლებები არის მათემატიკური გამოსახულება ელექტრომაგნიტური ველის მაქსველის თეორიისა, რომელშიც გადაწყვეტილია ელექტროდინამიკის ძირითადი ამოცანა: ელექტრული და მაგნიტური ველის დამახასიათებელი სიდიდეების ($\vec{E}, \vec{B}, \vec{D}, \vec{H}$) პოვნა მათი შემქმნელი მუხტებისა და დენების საშუალებით.

მაქსველის განტოლებები ბუნების ფუნდამენტური განტოლებებია, რომლებიც ისეთივე როლს თამაშობს ელექტრომაგნიტიზმის მოძღვრებაში, როგორსაც ნიუტონის კანონები კლასიკურ მექანიკაში. ამიტომ ამ განტოლებების სიღრმისეული ცოდნა მნიშვნელოვანია ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო (განსაკუთრებით ელექტროსაინჟინრო) სპეციალობის სტუდენტებისათვის.

საკითხის განხილვისას აუცილებელია ლექტორმა ყურადღება გაამახვილოს შემდეგ საკითხებზე:

1. მაქსველის თეორიას საფუძვლად უდევს ორი ძირითადი დებულება: ა) ცვლა-დი მაგნიტური ველი წარმოშობს ცვლად ელექტრულ ველს, ბ) ცვლა-დი ელექტრული ველი წარმოშობს ცვლად მაგნიტურ ველს;
2. მაქსველის თეორია ელექტრომაგნიტური ველის ფენომენოლოგიური თეორიაა, რაც ნიშნავს იმას, რომ თეორიაში არ განიხილება გარემოს (რომელ-შიც არსებობს ელექტრომაგნიტური ველი) მოლეკულური აღნაგობა და მასში მიმდინარე შიგა პროცესები. გარემოს ელექტრული და მაგნიტური თვისებები ხასიათდება სამი პარამეტრით (ϵ, μ, γ), რომელთა მნიშვნელობები დგინდება ცდით.
3. მაქსველის თეორია მაკროსკოპული თეორიაა, ვინაიდან იგი განიხილავს მაკროსკოპულ ელექტრულ და მაგნიტურ ველებს, რომლებიც შექმნილია მაკროსკოპული მუხტებისა და დენების მიერ (ე.ი. ისეთი უძრავი და მოძრავი მუხტების მიერ, რომელთა ზომები გაცილებით მეტია ატომის ზომაზე).

მაქსველის განტოლებების ჩაწერა მიღებულია ორი ფორმით – ინტეგრალურით და დიფერენციალურით.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მაქსველის განტოლებების გამოყვანა არ შეიძლება. ისინი მიღებულია ელექტროსტატიკისა და ელექტრომაგნიტიზმის ისეთი მნიშვნელოვანი კანონების განზოგადების საფუძველზე, როგორებიცაა გაუს-ოსტროგრადსკის თეორემა, სრული დენის კანონი და ელექტრო-

ტრომაგნიტური ინდუქციის ძირითადი კანონი. გავეცნოთ ამ კანონების განზოგადებას.

1. **მაქსველის პირველი განტოლება.** ელექტრომაგნიტური ინდუქციის ძირითადი კანონის თანახმად, ცვლად მაგნიტურ ველში მოთავსებულ უძრავ გამტარ კონტურში აღძრული ინდუქციის ემძალა გამოითვლება ფორმულით:

$$\oint_l (\vec{E} d\vec{l}) = -\frac{\partial \Phi}{\partial t}. \quad (1)$$

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენაში მთავარ როლს გამტარი ასრულებს. მაგრამ მაქსველის მოსაზრების თანახმად, ეს ასე არ არის – გამტარი მხოლოდ ხელს გვიწყობს, გვეხმარება ამ მოვლენის აღმოჩენაში. ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენის ჭეშმარიტი არსი კი მდგომარეობს იმაში, რომ **დროში ცვალებადი მაგნიტური ველი სივრცეში**, იმისგან დამოუკიდებლად არის იქ გამტარი თუ არა, **წარმოშობს გრიგალურ ელექტრულ ველს** (მაქსველის ელექტრომაგნიტური თეორიის პირველი ძირითადი დებულება). ასე რომ (1) ფორმულა სამართლიანია არა მარტო გამტარი კონტურისათვის, არამედ ცვლად მაგნიტურ ველში აზრობრივად გამოყოფილი **ნებისმიერი ჩაკეტილი კონტურისათვის**. ასეთნაირად განზოგადებული (1) ფორმულა წარმოადგენს მაქსველის პირველ განტოლებას **ინტეგრალური ფორმით**. იკითხება შემდგენიარად: **ელექტრული ველის დაძაბულობის ცირკულაცია ნებისმიერი (უძრავი) ჩაკეტილი კონტურის გასწვრივ ტოლია ამ კონტურის მომჭიმავი ზედაპირის (კონტურზე დაყრდნობილი ზედაპირის) გამჭოლი მაგნიტური ნაკადის ცვლილების სიჩქარისა შებრუნებული ნიშნით.**

მაგრამ

$$\Phi = \int_S (\vec{B} d\vec{S}) \quad \text{და} \quad \frac{\partial \Phi}{\partial t} = \frac{\partial}{\partial t} \int_S (\vec{B} d\vec{S}) = \int_S \left(\frac{\partial \vec{B}}{\partial t} \cdot d\vec{S} \right),$$

(ვექტორულ სიდიდეს $d\vec{S} = dS \vec{n}$ სადაც \vec{n} არის dS ფართობის ნორმალის ერთეულოვანი ვექტორი, ეწოდება “ dS ფართობის ვექტორი”), ამიტომ მაქსველის პირველი ინტეგრალური განტოლება შეიძლება ასეთი სახითაც დაიწეროს:

$$\oint_l (\vec{E} d\vec{l}) = -\int_S \left(\frac{\partial \vec{B}}{\partial t} \cdot d\vec{S} \right). \quad (2)$$

2. **მაქსველის მეორე განტოლება.** სრული დენის კანონს ნივთიერებაში აქვს სახე:

$$\oint_l (\vec{H} d\vec{l}) = I_{\text{მაკრო}} \quad (3)$$

წანაცვლების დენის ცნების შემოდებამ (რასაც საფუძვლად უდევს მაქსველის ელექტრომაგნიტური ველის თეორიის მეორე ძირითადი დებულება)

საშუალება მისცა მაქსველს განეზოგადებინა სრული დენის კანონი. მაქსველის თანახმად, ვინაიდან მაგნიტურ ველს ქმნის როგორც მაკროსკოპული (გამტარობის), ისე წანაცვლების დენი, ამიტომ (3) განტოლების მარჯვენა მხარეს უნდა დაემატოს წანაცვლების დენი:

$$\oint_l (\vec{H} d\vec{l}) = I_{\text{მაკრო}} + I_{\text{წან.}} \quad (4)$$

(4) ფორმულა, რომელიც გამოსახავს სრული დენის კანონის განზოგადებულ სახეს, წარმოადგენს მაქსველის მეორე განტოლებას ინტეგრალური ფორმით. იკითხება შემდეგნაირად: მაგნიტური ველის დაძაბულობის ცირკულაცია ნებისმიერი (უძრავი) ჩაკეტილი l კონტურის გასწვრივ, ტოლია იმ მაკროდენებისა და წანაცვლების დენის ალგებრული ჯამისა, რომელსაც ეს კონტური მოიცავს (ან, რაც იგივეა, რომელიც გადის კონტურის მომჭიმავ ზედაპირში).

მაგრამ დენის სიმკვრივის განმარტების თანახმად,

$$I_{\text{მაკრო}} = \oint_S i dS_n = \oint_l (i d\vec{S}) \quad \text{და} \quad I_{\text{წან.}} = \oint_l (i_{\text{წან.}} d\vec{S}) = \int_S \left(\frac{\partial \vec{D}}{\partial t} \cdot d\vec{S} \right),$$

სადაც \vec{i} და $\vec{i}_{\text{წან.}}$, შესაბამისად, გამტარობისა და წანაცვლების დენების სიმკვრივის ვექტორებია, ამიტომ მაქსველის მეორე ინტეგრალური განტოლება შეიძლება ასეთი სახითაც დაიწეროს:

$$\oint_l (\vec{H} d\vec{l}) = \int_S \left(\vec{i} + \frac{\partial \vec{D}}{\partial t} \right) \cdot d\vec{S}, \quad (5)$$

ე.ი. დაძაბულობის ვექტორის ცირკულაცია ნებისმიერი ჩაკეტილი l კონტურის გასწვრივ ტოლია სრული დენის სიმკვრივის ვექტორის ნაკადისა ამ კონტურის მომჭიმავი S ზედაპირის მიმართ.

3. მაქსველის მესამე განტოლება. გაუს-ოსტროგრადსკის თეორემას ელექტროსტატიკური (სტაციონარული) ველისათვის* დიფერენციალური აქვს შემდეგი სახე:

$$\oint_S (\vec{D} d\vec{S}) = q, \quad (6)$$

სადაც $\oint_S (\vec{D} d\vec{S}) = N$ არის ელექტრული ინდუქციის ნაკადი S ჩაკეტილი

ზედაპირის მიმართ, ხოლო $q = \sum q_i$ არის ამ ზედაპირის შიგნით მოთავსებული თავისუფალ მუხტთა ალგებრული ჯამი. მაქსველმა განაზოგადა ეს თეორემა, გამოთქვა რა ვარაუდი, რომ იგი მართებულია ნებისმიერი –

* ელექტროსტატიკური ველი სტაციონალური ველია, ვინაიდან იგი დროის მიხედვით არ იცვლება.

როგორც სტაციონარული, ისე ცვლადი – ელექტრული ველისათვის. ასეთნაირად განზოგადებული (6) ფორმულა წარმოადგენს მაქსველის მესამე განტოლებას ინტეგრალური ფორმით. იკითხება შემდეგნაირად: ელექტრული ინდუქციის ნაკადი ელექტრომაგნიტურ ველში აზრობრივად გავლებული ნებისმიერი ჩაკეტილი ზედაპირის მიმართ, ტოლია ამ ზედაპირის შიგნით მოთავსებული თავისუფალ მუხტთა ალგებრული ჯამისა. მაგრამ $q = \int_V \rho dV$, სადაც ρ არის S ზედაპირით

შემოსაზღვრული V მოცულობის შიგნით არსებული თავისუფალ მუხტთა სიმკვრივე. ამიტომ მაქსველის მესამე ინტეგრალური განტოლება შეიძლება შემდეგი სახითაც დაიწეროს:

$$\oint_S (\vec{D} d\vec{S}) = \int_V \rho dV . \quad (7)$$

4. მაქსველის მეოთხე განტოლება: გაუს-ოსტროგრადსკის თეორემას მაგნიტური ველისათვის ვაკუუმში აქვს ასეთი სახე:

$$\oint_S (\vec{B} d\vec{S}) = 0 . \quad (8)$$

მაქსველმა განაზოგადა ეს თეორემა, გამოთქვა რა ვარაუდი, რომ იგი მართებულია ნებისმიერი მაგნიტური ველისათვის (როგორც ვაკუუმში, ასევე გარემოში, როგორც სტაციონარული, ისე ცვლადისათვის). ასეთნაირად განზოგადებული (8) ტოლობა წარმოადგენს მაქსველის მეოთხე განტოლებას ინტეგრალური ფორმით. იკითხება შემდეგნაირად:

მაგნიტური ინდუქციის ნაკადი ელექტრომაგნიტურ ველში აზრობრივად გავლებული ნებისმიერი (უძრავი) ჩაკეტილი ზედაპირის მიმართ ნულის ტოლია.

მაქსველის განტოლებები არ არის სიმეტრიული ელექტრული და მაგნიტური ველების მიმართ, რაც იმის შედეგია, რომ ბუნებაში ელექტრული მუხტი არსებობს, მაგნიტური მუხტი (მაგნიტური მონოპოლი) კი – არა.

როგორც აღვნიშნეთ, მაქსველის თეორია ფენომენოლოგიური თეორიაა, მასში არ განიხილება გარემოში მიმდინარე შიგა ანუ მოლეკულური პროცესები, რომლებიც განაპირობებენ ელექტრული და მაგნიტური ველების წარმოშობას. ამიტომ საჭიროა მაქსველის განტოლებები შევავსოთ ე.წ. მატერიალური განტოლებებით, რომლებიც შეიცავენ გარემოს ინდივიდუალური თვისებების დამახასიათებელ სიდიდეებს (ϵ -ს, μ -ს, γ -ს). ეს განტოლებები ჩვენთვის ცნობილია ზოგადი ფიზიკის კურსის სხვადასხვა ნაწილიდან:

$$\vec{D} = \epsilon_0 \epsilon \vec{E}; \vec{B} = \mu_0 \mu \vec{H}; \vec{j} = \gamma \vec{E} \quad (9)$$

მაქსველის ინტეგრალური განტოლებები ამყარებს დამოკიდებულებას ელექტრული და მაგნიტური ველის დამახასიათებელ სიდიდეებს შორის

სივრცის სხვადასხვა წერტილებისათვის (ჩაკეტილი კონტურის წერტილები და ამ კონტურის მომჭიმავი ზედაპირის წერტილები, ან ჩაკეტილი ზედაპირის წერტილები და ამ ზედაპირის შიგნით არსებული წერტილები). მაქსველის ინტეგრალური განტოლებებიდან შეიძლება გადავიდეთ დიფერენციალურ განტოლებებზე, რომლებიც ამ კავშირს ამყარებს სივრცის ერთიანი ვე წერტილებისათვის (სინამდვილეში განტოლებები იწერება მეტად მცირე, მაგრამ სასრული, ელემენტებისთვის). ეს გადასვლა ხდება ვექტორული ანალიზის ორი თეორემის – გაუსის თეორემისა და სტოქსის თეორემის საშუალებით. გავეცნოთ ამ თეორემებს.

გაუსის თეორემა. რომელიმე ველის დამახასიათებელი \vec{A} ვექტორის ნაკადი ამ ველში აზრობრივად გავლებული ნებისმიერი S ჩაკეტილი ზედაპირის მიმართ ტოლია \vec{A} ვექტორის დივერგენციის ინტეგრალისა, აღებული ამ ზედაპირით შემოსაზღვრული V მოცულობით:

$$\oint_S (\vec{A} \cdot d\vec{S}) = \int_V \text{div} \vec{A} dV,$$

სადაც

$$\text{div} \vec{A} = \frac{\partial A_x}{\partial x} + \frac{\partial A_y}{\partial y} + \frac{\partial A_z}{\partial z}. \quad (10)$$

სტოქსის თეორემა. რომელიმე ველის დამახასიათებელი \vec{A} ვექტორის ცირკულაცია ამ ველში აზრობრივად გავლებული ნებისმიერი ჩაკეტილი l კონტურის გასწვრივ ტოლია $\text{rot} \vec{A}$ ვექტორის ნაკადისა ამ კონტურის მომჭიმავი S ზედაპირის მიმართ*:

$$\oint_l (\vec{A} \cdot d\vec{l}) = \int_S (\text{rot} \vec{A} \cdot d\vec{S}). \quad (11)$$

1. მაქსველის პირველი დიფერენციალური განტოლება. სტოქსის (11) თეორემის თანახმად,

$$\oint_l (\vec{E} \cdot d\vec{l}) = \int_S (\text{rot} \vec{E} \cdot d\vec{S}). \quad (12)$$

* როტორი მათემატიკაში ვექტორული \vec{A} ველის „ბრუნვითი მდგენელის“ ვექტორული მახასიათებელია, რომლის გვერდებიცაა (კოორდინატებში) $\frac{\partial A_z}{\partial y} - \frac{\partial A_y}{\partial z}$, $\frac{\partial A_x}{\partial z} - \frac{\partial A_z}{\partial x}$ და $\frac{\partial A_y}{\partial x} - \frac{\partial A_x}{\partial y}$, ე.ი. $\text{rot} \vec{A} = \vec{i} \left(\frac{\partial A_z}{\partial y} - \frac{\partial A_y}{\partial z} \right) + \vec{j} \left(\frac{\partial A_x}{\partial z} - \frac{\partial A_z}{\partial x} \right) + \vec{k} \left(\frac{\partial A_y}{\partial x} - \frac{\partial A_x}{\partial y} \right)$, სადაც \vec{i} , \vec{j} და \vec{k} ერთეულოვანი ვექტორებია. ზოგ შემთხვევაში როტორს ვექტორული ველის გრიგალსაც უწოდებენ.

ამ ფორმულისა და მაქსველის პირველი ინტეგრალური განტოლების

$$\oint_l (\vec{E} d\vec{l}) = - \int_s \left(\frac{\partial \vec{B}}{\partial t} d\vec{S} \right), \text{ შედარება გვაძლევს:}$$

$$\text{rot} \vec{E} = - \frac{\partial \vec{B}}{\partial t}. \tag{13}$$

ეს არის მაქსველის პირველი დიფერენციალური განტოლება და გამოსახავს იმ ფიზიკურ ფაქტს, რომ დროში ცვალებად მაგნიტურ ველს თან ახლავს ელექტრული ველი, ე.ი. თუ სივრცის რომელიმე წერტილში $\frac{\partial \vec{B}}{\partial t} \neq 0$, მაშინ ამ წერტილის გარემომცველ არეში არსებობს ცვლადი ელექტრული ველი ($\text{rot} \vec{E} \neq 0$).

2. მაქსველის მეორე დიფერენციალური განტოლება. სტოქსის თეორემის თანახმად,

$$\oint_l (\vec{H} d\vec{l}) = \int_s (\text{rot} \vec{H} \cdot d\vec{S})$$

ამ ფორმულისა და მაქსველის მეორე ინტეგრალური განტოლების

$$\oint_l (\vec{H} d\vec{l}) = \int_s \left(\vec{i} + \frac{\partial \vec{D}}{\partial t} \right) \cdot d\vec{S} \text{ შედარება გვაძლევს:}$$

$$\text{rot} \vec{H} = \vec{i} + \frac{\partial \vec{D}}{\partial t}. \tag{14}$$

ეს არის მაქსველის მეორე დიფერენციალური განტოლება და გამოსახავს იმ ფიზიკურ ფაქტს, რომ ნებისმიერი სახის ელექტრულ დენს (გამტარობის, წანაცვლების), თან ახლავს მასთან დაკავშირებული მაგნიტური ველი. ე.ი. თუ სივრცის რომელიმე წერტილში არსებობს სრული დენის სიმკვრივის ვექტორი ($\vec{i}_{სრ} \neq 0$), მაშინ ამ წერტილის გარემომცველ არეში არსებობს სივრცეში ცვლადი მაგნიტური ველი ($\text{rot} \vec{H} \neq 0$).

3. მაქსველის მესამე დიფერენციალური განტოლება. გაუსის (10) თეორემის თანახმად,

$$\oint_s (\vec{D} d\vec{S}) = \int_v \text{div} \vec{D} dV$$

ამ ფორმულის შედარება მაქსველის მესამე ინტეგრალურ განტოლებასთან $\oint_s (\vec{D} d\vec{S}) = \int_v \rho dV$, გვაძლევს მაქსველის მესამე დიფერენციალურ განტოლებას:

$$\text{div} \vec{D} = \rho, \tag{15}$$

რომელიც გვიჩვენებს, რომ ელექტრული ინდუქციის \vec{D} ვექტორის წყაროს წარმოადგენს მუხტის მოცულობითი სიმკვრივე ρ .

4. მაქსველის მეოთხე დიფერენციალური განტოლება. გაუსის თეორემის თანახმად

$$\int_S (\vec{B} d\vec{S}) = \int_V \text{div} \vec{B} dV.$$

ამ ფორმულის შედარება მაქსველის მეოთხე ინტეგრალურ განტოლებასთან $\oint_S (\vec{B} d\vec{S}) = 0$, გვაძლევს მაქსველის მეოთხე დიფერენციალურ განტოლებას.

$$\text{div} \vec{B} \neq 0. \quad (16)$$

და გამოსახავს იმ ფაქტს, რომ მაგნიტური ინდუქციის წირები ყოველთვის ჩაკეტილია. \vec{B} ვექტორის ვექტორულ ველს არა აქვს სათავე.

დავწეროთ მაქსველის დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა:

$$\text{rot} \vec{E} = -\frac{\partial \vec{B}}{\partial t}, \quad \text{rot} \vec{H} = \vec{i} + \frac{\partial \vec{D}}{\partial t}, \quad \text{div} \vec{D} = \rho, \quad \text{div} \vec{B} = 0.$$

ამ ოთხი განტოლებიდან ორი ვექტორულია, (12) და (13), ორიც (14) და (15) – სკალარული (ასეა ინტეგრალური განტოლებების შემთხვევაშიც). თუ მათ ჩავწერთ კოორდინატებით, მივიღებთ რვა განტოლებას. ეს რვა განტოლება აკავშირებს 16 სიდიდეს: თხუთმეტი – $\vec{E}, \vec{D}, \vec{B}, \vec{H}, \vec{i}$ ვექტორების მდგენელები და სკალარი ρ . ცხადია, რომ 16 სიდიდისათვის (უცნობისათვის) რვა განტოლება საკმარისი არ არის. სწორედ ამიტომ უმატებენ მაქსველის განტოლებებს მატერიალურ განტოლებებს: $\vec{D} = \epsilon_0 \epsilon \vec{E}$; $\vec{B} = \mu_0 \mu \vec{H}$ და $\vec{i} = \gamma \vec{E}$, რომლებიც ამასთან, შეიცავს გარემოს ინდივიდუალური თვისებების დამახასიათებელ ϵ, μ, γ მუდმივებს.

ლიტერატურა:

1. დ.დონლაძე. ზოგადი ფიზიკის კურსი. II ტომი. გამომცემლობა “განათლება” 1978წ.
2. ა. გიგინეიშვილი, გ. კუკულაძე. ზოგადი ფიზიკა. II ტომი. გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი” 2012წ.
3. А. А. Детлаф, Б. М. Яворский. Курс физики. Изд. “Высшая школа” 1989г.
4. И.В. Савельев. Курс общей физики. Том II. Изд. “Наука” 1982г.

მაქსველის განტოლებების სწავლების შესახებ

*კუკულაძე გ., ჩიხლაძე მ., წულუკიძე მ.,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

რეზიუმე

სტატიაში მითითებულია მაქსველის განტოლებების ცოდნის მნიშვნელობა ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო (განსაკუთრებით ელექტროსაინჟინრო) სპეციალობის სტუდენტებისათვის და მიღებულია ეს განტოლებები როგორც ინტეგრალური, ისე დიფერენციალური ფორმით.

საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ განტოლებების გამოყვანა არ შეიძლება და რომ ისინი მიიღება ელექტროსტატიკისა და ელექტრომაგნიტიზმის ისეთი მნიშვნელოვანი კანონების განზოგადების საფუძველზე, როგორებიცაა, გაუს-ოსტროგრადსკის თეორემა, სრული დენის კანონი და ელექტრომაგნიტური ინდუქციის კანონი.

Об обучении уравнений Максвелла

*Кукуладз еГ.В., Чихладзе М.Н., Цулукидзе М.П.,
Грузинский технический университет*

Резюме

В статье указано значение знания для студентов технического университета (специальность – инженер, особенно, электроинженер) уравнений Максвелла и эти уравнения получены в интегральной и дифференциальной форме.

Надо подчеркнуть, что вывести эти уравнения нельзя и что они получены обобщением таких значительных законов электростатики и электромагнетизма, как теорема Гаусса-Остроградского, закон полного тока и основной закон электромагнитной индукции.

Ключевые слова: *электромагнетная индукция, обобщенный закон полного тока, уравнения Максвелла, ток смещения.*

Towards the studying of Maxwell equations

*Kukuladze G., Chikhladze M., Tsulukidze M.,
Georgian Technical University*

Summary

This article shows the importance of the knowledge of the Maxwell equations for the students of Technical University, especially of the Electrical Engineering speciality. These equations are got both in integrated and in differential form.

It is underlined that it is impossible to deduce these equations. They are got by the generalization of the important laws of electrostatics and electromagnetism, such as divergence theorem, full current law and electromagnetic induction law.

Key words: electromagnetic induction, generalized full current law, Maxwell equations, bias current.


ულტრაიისფერი ფოტოელექტრონული და ლაზერული კორელაციური სპექტროსკოპია ბიოლოგიური ნანოობიექტების კვლევაში

*გურამ ჩიხლაძე, ქეთევან კაპანაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, იმს ფაკ-ტი,
საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი*

რეზიუმე: სტატიაში განხილულია ულტრაიისფერი ფოტოელექტრონული და ლაზერული კორელაციური სპექტროსკოპიის გამოყენება ბიოლოგიური ნანოობიექტების, მათ შორის, ვირუსების აღმოჩენასა და კვლევისას. ნაჩვენებია თითოეული მეთოდის გამოყენების არე. შედარებულია განსხვავებული მეთოდები და შეფასებულია მათი განსაკუთრებულობა და უპირატესობები. მოცემულია კვლევის სხვადასხვა მეთოდის გამოყენების რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: ნანოობიექტი, ულტრაიისფერი, ლაზერული კორელაცია, ვირუსი.

ბოლო დროს მიკრო- და ნანობიექტების კვლევაში შესამჩნევი ადგილი დაიკავა მოლეკულურმა ელექტრონულმა სპექტროსკოპიამ. სხვანაირად მას **ულტრაიისფერ (უის) სპექტროსკოპიას** უწოდებენ – ნივთიერების შედგენილობის განსაზღვრის მეთოდიკა სინათლის გამოსხივებისა და/ან შთანთქმის სპექტრების ანალიზის საფუძველზე. სინათლის ნივთიერებასთან ურთიერთქმედების შედეგად ელექტრონები გადაადის ერთი ენერგეტიკული დონიდან მეორეზე. მოლეკულის ელექტრონების მოძრაობის ენერგია, კვანტური თეორიის მიხედვით, დებულობს განსაზღვრულ დისკრეტულ მნიშვნელობებს. სინათლის კვანტის შთანთქმისას ელექტრონები გადაადის მეტი ენერგიის მდგომარეობაში – ხდება ე.წ. **აგზნება**. შთანთქმული კვანტის ენერგიის სიდიდიდან გამომდინარე, ელექტრონს შეუძლია გადავიდეს უმცირესი (ძირითადი) ენერგეტიკული დონიდან პირველ, მეორე, მესამე და ა.შ. აგზნებულ ელექტრონულ დონეებზე იქამდე, ვიდრე აგზნებული ელექტრონის ენერგია არ გადააჭარბებს იონიზაციის პოტენციალს – ამ შემთხვევაში ელექტრონი წყდება მოლეკულას ანუ ხდება **იონიზაცია**. ანალოგიურად, ელექტრონების გადასვლისას რომელიმე აგზნებული დონიდან უფრო დაბალ ენერგეტიკულ დონეზე, ხდება ფოტონის გასხივება.




სხვადასხვა ნივთიერებების შთანთქმის ელექტრონული სპექტრები

მოლეკულების უმეტესობისთვის, ელექტრონული გადასვლების შესაბამისი ტალღის სიგრძეები თავსდება შუალედში **ხილული სინათლიდან ულტრაიისფრამდე**, რამაც გამოიწვია მეთოდის მეორე დასახელება – **უი-სპექტროსკოპია**. ულტრაიისფერი და ხილული დიაპაზონების სპექტრის ფოტონების ენერგია საკმარისად მაღალია (1,7 – 100 ევ, შესაბამისი ტალღის სიგრძე 100 – 730 ნმ) იმისთვის, რომ გადაიყვანოს ორგანული მოლეკულების ელექტრონები ძირითადი მდგომარეობიდან აგზნებულში. ამ მდგომარეობების ენერგიების სხვაობა დაკვანტულია, ამიტომ მოლეკულები შთანთქმავს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული ენერგიის ფოტონებს. **ულტრაიისფერ არეში** შთანთქმავს ყველა ორგანული ნივთიერება. როგორც წესი, „მუშა“ არე შეადგენს 190 – 730 ნმ ინტერვალს, მეტწილად 200 – 380 ნმ. ამ არეებში ოპტიკური მასალები გამჭვირვალეა და გამოიყენება პრიზმების დასამზადებლად. 190 ნმ-ზე ნაკლები ტალღის სიგრძეები (ე.წ. **ვაკუუმური ულტრაიისფერი**) ნაკლებად მოსახერხებელია, რადგან ამ არეში შთანთქმავს ჰაერის შემადგენლები – ჟანგბადი და აზოტი. ამიტომ ამ არეში სამუშაოდ

იყენებენ სპეციალურ ვაკუუმურ კამერებს, რაც ართულებს ლაბორატორიულ სამუშაოებს. კვლევისთვის საჭირო ნივთიერების რაოდენობა მცირეა – 0,1 მგ-მდე. ამიტომ უიე-სპექტროსკოპია ორგანული/არაორგანული ნაერთების კვლევის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფიზიკა-ქიმიური მეთოდია [1, 2].

ელექტრონული სპექტროსკოპიის საშუალებით მოლეკულებში მაღალი სიზუსტით განისაზღვრება არსებითი სტრუქტურული ჯგუფების არსებობა, რომლებისთვის კარგადაა შესწავლილი სახასიათო ელექტრონული სპექტრები. აბსორბციური ელექტრონული სპექტროსკოპიის მეთოდი ძალიან მგრძობიარეა და შთანთქმის მკვეთრი ხაზების მიღების საშუალებას იძლევა საკვლევი ნივთიერების მცირე კონცენტრაციების დროსაც. ამიტომ ის უფრო ხშირად გამოიყენება მოლეკულების აგებულების ხარისხობრივი ანალიზისას, თუმცა მას იყენებენ რაოდენობრივი ანალიზის დროსაც **ექსტინქციის (შთანთქმის) ϵ კოეფიციენტით**. **ელექტრონული სპექტროსკოპიის** მაღალი მგრძობელობის გამო, სპექტრების რეგისტრაციამ საკვლევი ნივთიერებაში სინათლის გავლისას ფართოდ გავრცელდა



ნეონის სპექტრი

და იქცა ქიმიურ წარმოებაში ნივთიერების ექსპრეს ანალიზის ერთ-ერთ მთავარ ხერხად. აქ ფოტო-ელექტრონების აგზნებისთვის გამოიყენება **ულტრაიისფერი** გამოსხივება, რომელიც ემსახურება **სავალენტო და გამტარობის** ზონების შევსებული ელექტრონული დონეების ზონდირებისთვის ნიმუშის ზედაპირზე. უიფს-ანალიზის ძირითადი იარაღია ფოტოემისიის რეგისტრაცია ანუ იმ ელექტრონების, რომლებმაც დატოვა ნივთიერება **ფოტოიონიზაციისას**

(ნიმუშის უი-სხივებით დასხივების შედეგად) [3].

ლაბორატორიული წყაროების სახით უიფს-თვის გამოიყენება აირ-განმუხტვის ნათურები, უმეტესწილად, **ჰელიუმის**. ამ წყაროებში, აირის წნევისა და განმუხტვის დენის მიხედვით, ორიდან ერთი ინტენსიური ხაზი ფოტონის ენერგიებით 21,2 ელექტრონ.ვოლტი (ევ) (**ჰელიუმ ერთი (He I)**) და 40,8 ევ (**ჰელიუმ ორი (He II)**). რადგან უიფს-ში გამოიყენება შედარებით დაბალი ენერგიის მქონე ფოტონები, ფოტოემისიური პროცესის დროს აგიღზნება მხოლოდ სავალენტო დონეები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დონეების გარდა, რომლებიც შეესაბამება ნივთიერების ზედაპირის შევსებულ მდგომარეობებს, ფოტოელექტრონულ სპექტრზე გავლენას ახდენს შთანთქმული მოლეკულების შევსებული ორბიტალები. უიფს-ში გამოყენებულ აგზნების ენერგიებზე სავალენტო დონეებიდან ძლიერი ფოტოემისიის წყალობით, ეს მეთოდი იქცა მასალის ზედაპირის

სავალენტო ზოლის სტრუქტურის შესწავლის მძლავრ იარაღად ისევე, როგორც მისი სახეცვლილების, რაც მოყვება ზედაპირზე მიმდინარე პროცესებს, მაგალითად, აბსორბციას, თხელი ფირების ზრდას, ქიმიურ რეაქციებს და სხვა [4].




იწ-სპექტრომეტრი ფურიე-გარდაქმნით – Spectrum One.
 გაზომვა ეფუძნება ინფრაწითელი გამოსხივების შთანქმას საკვლევი ნიმუშის მოლეკულებით.

ვების სუსპენზიაში გავლისას ხდება სინათლის დრეკადი (რელეის) გაბნევა. სდგ-ის შემთხვევაში გამოიყენება ლაზერული გამოსხივება, რომელიც კოჰერენტული და მონოქრომატულია. საზომ სიდიდეთ მიიჩნევა ე.წ. ავტოკორელაციური ფუნქცია (აკფ), რომელიც განისაზღვრება გაბნეული გამოსხივების ინტენსივობის დროში ცვლილებით.

ლაზერული კორელაციური სპექტროსკოპიის მეთოდი ფლობს რიგ უპირატესობას:


- გაზომვის დრო – წუთები;
- ანალიზის ჩატარება ბიოობიექტის საარსებო სივრცეში;
- შტამის სტატისტიკური მახასიათებლების მიღება;
- მეთოდის უნიკალური შესაძლებლობები;
- საკვლევი ობიექტის საკმარისად მცირე ცვლილებების აღმოჩენის უნარი, ნიმუშის მიერ გაბნეული სინათლის სპექტრების ურთიერთშედარებით პირობების ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ;

სინათლის დინამიკური გაბნევა (სდგ) წარმოადგენს მოძრავი (ბროუნის) ნაწილაკების გარემოში გამავალი სინათლის სხივების (დოპლერის წანაცვლება), ინტენსივობისა და მიმართულების ცვლილების ერთობლიობას, სინათლის დინამიკური გაბნევა გამოიყენება ლაზერულ კორელაციურ სპექტროსკოპიაში სუსპენზიის ნაწილაკების ზომების განსაზღვრისთვის. გასაზომი ნაწილაკების ზომები უნდა ყოფილიყო იგივე რიგის, რაც გაბნეული სინათლის ტალღის სიგრძე. სინათლის სხი-



სინათლის დინამიკური გაბნევა – დიდი ზომის ნაწილაკები (ზედა) მცირე ზომის ნაწილაკები (ქვედა)

➤ საკვლევ სისტემაში მიმდინარე ცვლილებების ხასიათის შესახებ მიწოდებული ინფორმაციის მაქსიმალური სანდოობა, რადგან გაზომვების დროს ნიმუშის მდგომარეობა არ იცვლება გარე ფაქტორების ზემოქმედებით, რაც ახასიათებს ბიოობიექტების კვლევის ისეთ ცნობილ მეთოდებს, როგორცაა ქრომატოგრაფია, ბიოქიმიური და სხვა, რომლებიც ცვლის ნიმუშის მდგომარეობას.



ელექტრონებით საკვლევ ნიმუშის დასხივება

ნანოტექნოლოგიების მეთოდი – ლაზერული კორე-ლაციური სპექტროსკოპია ფლობს რიგ უპირატესობასა და უნიკალურ შესაძლებლობას. მეთოდის ძირითადი უპირატესობა მდგომარეობს შესაძლებლობაში პირდაპირ, *in vitro*, ცოცხალ ვირუსებზე ჩატარდეს სხვადასხვა ფაქტორებით ზემოქმედება. ამასთან ვირუსი არ იცვლის იერსახეს და ცოცხალი რჩება, რადგან კვლევები ტარ-



დება ბიოობიექტის საარსებო სივრცეში. ვირუსების ზომების დასადგენად იყენებდნენ სინათლის დინამიკური გაბნევის მეთოდს ან სინათლის ლაზერული კორელაციური სპექტროსკოპიის მეთოდს. ტარდებოდა ადამიანის A ჰეპატიტისა და იმუნოდეფიციტის (შიდს) ვირუსებით გაბნეული სინათლის კორელაციური ფუნქციების გაზომვები. მიღებულია ვირიონების ზომები 104 ნმ (შიდს) და 28 ნმ A

ჰეპატიტისთვის. კონტროლისთვის იყენებდნენ ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდს, რომლითაც იზომებოდა მოცემული ვირუსების ზომები ფიქსირებულ ნიმუშებში. შედარებამ აჩვენა შედეგების კარგი თავსებადობა.

აღმოჩნდა, რომ ვირუსებს (მაგ. ჰერპესი) შეუძლია ისეთი, ერთი შეხედვით მათგან შორს მყოფი, დაავადების გამოწვევა, როგორცაა ალცჰაიმერის დაავადება. ეს ცნობა გააჟღერა 31 წამყვანმა სპეციალისტმა ჟურნალ **Journal of Alzheimer's Disease**-ის სარედაქციო სტატიაში. მეცნიერებმა მოითხოვეს

ფართომასშტაბიანი კვლევების ჩატარება ბაქტერიებისა და ვირუსების მოხუცთა ჭკუასისუსტის ამ ფორმასთან კავშირის დასადგენად.

ამჟამად მრავალი სპეციალისტი ცდილობს აღმოაჩინოს ის პრეპარატები, რომლებიც ხელს შეუშლის ამილოიდების ღილაკებისა და მავნე ცილების დაგროვებას, რომლებიც ეწინააღმდეგება ნერვული უჯრედების ურთიერთქმედებას. თუმცა სარედაქციო სტატიის ავტორები ამტკიცებენ, რომ ღილაკების წარმოქმნის პროცესს წარმართავს ბაქტერიული და ვირუსული ინფექციები და სწორედ მათთან უნდა გაჩაღდეს ბრძოლა. პირველ რიგში, საუბარია ჰერპესის ვირუსზე და, ასევე, ბაქტერიებზე – ქლამიდიებსა და სპიროპეტებზე. ხანში შესული ადამიანების ტვინში ისინი საკმარისად დიდი რაოდენობით გროვდება, და სტრესისა და იმუნური სისტემის დაქვეითების პირობებში ისინი „იღვიძებენ“. გარდა ამისა, მეცნიერები აღნიშნავენ, რომ APOE გენის მუტაცია, რომელიც ყოველ მეხუთეს ალცჰაიმერის დაავადებისადმი მიდრეკილს ხდის, მკვეთრად ზრდის ინფექციური დაავადებებით დასნეულების ალბათობას.

და ბოლოს, ალცჰაიმერის დაავადებისადმი დამახასიათებელ ანთებით პროცესებში, შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნოდეს სისხლში მავნე მიკრობების სიჭარბეს.

ამავდროულად, 2015 წელს მეცნიერთა სხვა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ გარკვეულ სამედიცინო პროცედურებს შეუძლია გახდეს ალცჰაიმერის დაავადებით ინფიცირების წყარო. კერძოდ, ამილოიდების ღილაკების ძირითადი შემადგენელი – β -ამილოიდები მიიღეს დაბალმა პაციენტებმა დიდ ბრიტანეთში, რომლებმაც სიმალღეში მომატების მიზნით გაიარეს ადამიანის სიმალღის ჰორმონით მკურნალობის კურსი [5].

ლიტერატურა

1. Е.И. Коваленко. Спектро-физические методы исследования биообъектов. БГУ6 2011.
2. WOLFGANG DEMTRÖDER, *Laser Spectroscopy* 1981.
3. STIG STENHOLM, *Foundations of Laser Spectroscopy* (1984).
4. Y.R. SHEN, *The Principles of Nonlinear Optics* (1984).
5. Alzheimer's disease Facts and Figures (online). www.alz.org/downloads/Facts_Figures_2011.pdf. Accessed May 12, 2011.

УЛЬТРАФИОЛЕТОВАЯ ФОТОЭЛЕКТРОННАЯ И ЛАЗЕРНАЯ
КОРРЕЛЯЦИОННАЯ СПЕКТРОСКОПИЯ ПРИ ИССЛЕДОВАНИИ
БИОЛОГИЧЕСКИХ НАНООБЪЕКТОВ

*Гурам Григорьевич Чихладзе, Кетеван Гениозовна Капанадзе
Грузинский технический университет,
фак-тет ИСУ, департамент инженерной физики*

Резюме

В статье рассмотрено применение ультрафиолетовой фотоэлектронной и лазерной корреляционной спектроскопии для обнаружения и исследования биологических нанобъектов, в том числе, вирусов. Показана область применения каждого метода. Проведено сравнение различных методов и произведена оценка их особенностей и преимуществ. Даны рекомендации по применению различных методов исследования.

Ключевые слова: нанобъект, ультрафиолетовый, лазерная корреляция, вирус.

ULTRAVIOLET PHOTOELECTRON AND LASER CORRELATION SPECTROSCOPY IN
INVESTIGATION OF BIOLOGICAL NANO-OBJECTS

*Guram G. Chikhladze, Ketevan G. Kapanadze
Georgian Technical University,
ICS Faculty, Department of Engineering Physics*

Abstract

The paper deals with application of ultraviolet photoelectron and laser correlation spectroscopy to reveal and investigation of biological nano-objects including viruses. The scope of application of each method is shown. Comparison of different methods is carried out as well, as estimation of their peculiarities and advantages. Recommendations to application of different investigation methods are given.

Keywords: nano-object, ultraviolet, laser correlation, virus.

ბიოლოგიური ობიექტის იმპედანსის დისპერსია

*მ. ჩიხლაძე, მ. გივინეიშვილი, ო. კეთილაძე, ი. ქანთარია
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი,
საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტი.
სააქციო საზოგადოება „კურაციო“.*

რეზიუმე: ნაშრომში განხილულია ბიოლოგიურ ობიექტთა იმპედანსის სიხშირეზე დამოკიდებულების – დისპერსიის თავისებურებანი და მისი როლი დიაგნოსტიკასა და ქირურგიაში. ექსპერიმენტით გამოკვლეულია კარტოფილის იმპედანსის დისპერსია ($50-3 \cdot 10^4$) ჰც სიხშირის ინტერვალში. მოცემულია შესაბამისი ექვივალენტური სქემა.

საკვანძო სიტყვები: იმპედანსი, დისპერსია, პოლარიზაცია, რელაქსაციის დრო, უჯრედთა მემბრანა.


თერაპიასა და დიაგნოსტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბიოლოგიურ სისტემათა ელექტროგამტარობის (ბსე) ან იმპედანსის სიხშირეზე დამოკიდებულების – დისპერსიის გამოკვლევას. მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა გაიგონ მათი ფუნქციონირება ნორმაშია თუ ადგილი აქვს პათოლოგიას. ასევე ქირურგიაში რაიმე ქსოვილის ან ორგანოს ტრანსპლანტაციისას უმნიშვნელოვანესია მათი სიცოცხლისუნარიანობის შეფასება, რაც ასევე შესაძლებელია იმპედანსის დისპერსიის შესწავლით.

ბიოლოგიურ ობიექტში მუდმივი ელექტრული დენი გადის ისეთი მცირე ელექტრული წინაღობის გზებით, როგორცაა უჯრედშორისი სითხეები, სისხლის და ლიმფის გადამტანი სადინარები და სხვა. უჯრედებში მყოფი ციტოპლაზმაც ასევე დენის კარგი გამტარია, მაგრამ ისინი ერთმანეთისგან გამოყოფილია უჯრედთა მემბრანებით, რომლებიც გაცილებით ცუდი გამტარებია, რის გამოც ასეთ სისტემებს გააჩნიათ ელექტროტევადობა. ე.ი. ცოცხალ ორგანიზმთა იმპედანსი შედგება აქტიური და ტევადური წინაღობებისგან.

უჯრედთა, ქსოვილთა, ორგანოთა, თუ მთლიანი ორგანიზმის ბსე-ის გასაზომად მასში ატარებენ მუდმივ ან ცვლად სინუსოიდალურ დენს.

მუდმივი ელექტრული ველის მოქმედებისას თავისუფალი მუხტები იწყებს მოწესრიგებულ მოძრაობას, აღიძვრება დენი და გამოიყოფა სითბო, რომლის სიდიდეც დამოკიდებულია ობი-ექტის აქტიურ წინაღობაზე. ასევე უჯრედში

ხდება იონთა გადა-ნაცვლება და საპირისპირო ნიშნის იონთა დაგროვება მემბრანის სხვ-დასხვა მხარეს, ანუ ადგილი აქვს პოლარიზაციას. მაშასადამე ორგანიზმზე მუდმივი დენის მოქმედება დასაწყისში გამოიხატება იონთა გადანაწილების შედეგად პოლარიზებით. მისი გათვალისწინებით ომის კანონს ბიოლოგიურ ობიექტში ასეთი სახე აქვს:



ნახაზი 1.

$$I = \frac{\epsilon - \epsilon(t)}{R}$$

პოლარიზაციის ემმ $\epsilon(t)$ დროის ფუნქციაა, ამიტომ დენი ორგანიზმში მუდმივი ხდება გარე ველის მოქმედების დაწყებიდან

გარკვეული დროის ე.წ. რელაქსაციის დროის τ შემდეგ.


ზოგადად მუდმივი დენის დროს ბსე-ის საჭირო სიზუსტით გაზომვა მემბრანებისა და ელექტროდების პოლარიზაციის მაღალი ხარისხის გამო უკიდურესად გაძნელებულია, ასევე გაზრდილია დენის მოქმედებით უჯრედთა დაზიანების საშიშროება. ეს ნაკლოვანებები მკვეთრად შემცირებულია ცვლადი დენის გამოყენების შემთხვევაში, რადგან ცვლადი დენის მიმართ ბიოლოგიურ ობიექტთა იმპედანსი შედარებით ნაკლებია.

ბიოლოგიური ორგანიზმების ელექტროგამტარობის დისპერსია გამოიხატება შემდეგში: სიხშირის ზრდისას მათი ბსე იზრდება, რაც გამოწვეულია როგორც აქტიური წინაღობის შემცირებით (აქტიური წინაღობის დისპერსია მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმების პრეროგატივაა), ასევე პოლარიზაციის ეფექტის შესუსტების შედეგად ტევადური წინაღობის შემცირებით. ჩვეულებრივი ელექტრული სქემის შემთხვევაში $Z f(\omega)$ გრაფიკს მონოტონური ვარდნის სახე აქვს. ბიოლოგიური ობიექტებისთვის ეს დამოკიდებულება უფრო რთულია.

ბიოლოგიურ სისტემებში ცნობილია პოლარიზაციის შემდეგი სახეები: ორიენტირებული, ელექტრული, იონური, მაკროსტრუქტურული, ზედაპირული. ნებისმიერი სახის პოლარიზაციის განხორციელებას სჭირდება გარკვეული რელაქსაციის τ დრო. თუ ცვლადი დენის ნახევარპერიოდი $T/2$ ნაკლებია მოცემული პოლარიზაციის τ დროზე, მაშინ პოლარიზაციის ემმ $\epsilon(t)$ ვერ ასწრებს მაქსიმუმის მიღწევას და პოლარიზაციის ამ ტიპის გავლენა ბსე-ის სიდიდეზე უმნიშვნელოა.

ამრიგად დაბალ სიხშირეებზე ყველა ტიპის პოლარიზაციის გავლენა დაიშორება. სიხშირის ზრდისას კი პოლარიზაციის გავლენა თანდათან მცირდება და გამტარობაც მატულობს. მაღალ სიხშირეებზე დიპოლები და იონები ვერ ასწრებენ ორიენტირებას და პოლარიზაციის მოვლენაც ქრება.

ელექტროგამტარობის ასეთი სახის დისპერსია მხოლოდ ცოცხალი ობიექტების (მცენარეულის, ცხოველურის) თვისებაა. ქსოვილების კვდომის შემ-





თხვევაში დისპერსია თანდათან ქრება, რადგან იშლება „ცოცხალი კონდენსატორები“ – უჯრედები და მხოლოდ ომური წინააღობა რჩება. ამიტომ ბსე-ს დისპერსიის გამოკვლევა საშუალებას იძლევა შევაფასოთ ბიოლოგიური ობიექტის ქსოვილის თუ ორგანოს სიცოცხლისუნარიანობა.

მედიცინასა და ბიოლოგიაში ბიოლოგიური სისტემების ელექტროგამტარობას უმეტესწილად იკვლევენ β-დისპერსიულ არეში, ანუ (10^3-10^7)ჰც სიხშირის დიაპაზონში.

ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა კარტოფილის როგორც უმ (ცოცხალი ობიექტი) ასევე მოხარშულ (მკვდარი ობიექტი) მდგომარეობაში იმპედანსის დისპერსია α არეში ($50-10^3$)ჰც და β- არეს ($10^3-3 \cdot 10^4$)ჰც ნაწილში. განხილულ დიაპაზონში ($50-3 \cdot 10^4$)ჰც მინიმუმამდე მცირდება ზედაპირული პოლარიზაცია, ხოლო მაკროსტრუქტურული პოლარიზაციის ეფექტი მონოტორულად კლებულობს.

უმი კარტოფილის ომური წინააღობის R_1 -ის დასადგენად მუდმივი დენის წრედის გამოყენებით აგებული იქნა ვოლტ-ამპერული მახასიათებელი (ნახ. 1), ხოლო ელექტოტევადობის გამოსათვლელად ვისარგებლეთ იმ ფაქტით, რომ დაბალ სიხშირეებზე ბიოლოგიური ობიექტის უმარტივესი ექვივალენტური სქემა წარმოადგენს კონდენსატორისა და ომური წინააღობის პარალელურ შეერთებას.



ამიტომ $\omega=100\pi$ წმ⁻¹ სიხშირის ცვლადი დენის წრედის გამოყენებით დავადგინეთ მოცემულ სიხშირეზე კარტოფილის იმპედანსი და $Z = (1/R_1^2 + 1/\omega^2 C^2)^{-1/2}$ ფორმულის გამოყენებით გამოვთვალოთ კარტოფილის ელექტროტევადობა.

ნახ.2-ზე მოცემულია კარტოფილის იმპედანსის დისპერსიის ექსპერიმენტული მრუდები (უმი - 1 და მოხარშული -2). ხოლო ნახ3-ზე ნაჩვენებია ექვივალენტური ელექტრული სქემა (ნახ.3ა) რომლის იმპედანსის დამოკიდებულება სიხშირეზე (ნახ. 3ბ) შესატყვისობაშია მოცემულ ექსპერიმენტთან.

ლიტერატურა

1. **Д. В. Белик.** —Импедансная электрохирургия Новосибирск: Наука, 2000
2. **Тарусов Б.Н., Кольс О.Р.** (ред.) Биофизика онлайн версия.
3. **В.Н. Федорова, Е.В. Фаустов.** Медицинская и биологическая физика. Курс лекций задачами 2008
4. **Главный редактор Б.В. Петровский** Большая Медицинская Энциклопедия (БМЭ) изд.. III, онлайн версия.
5. **Ю. С. Вайль, И. А. Гофман, В. П. Еремин, Л. А. Воликова, ...** Практикум по биологической и биологической медицинской физике. Ленинград 1987.

Дисперсия импеданса биологического объекта

М. Чихладзе, М. Гигинеишвили, О. Кетиладзе, И. Кантария.

*Грузинский технический университет,
факультет информатики и систем управления,
департамент инженерной физики,
акционерное общество "Курацио"*

Резюме: В работе рассмотрены особенности частотной зависимости импеданса - дисперсии биологических объектов и его роль в диагностике и хирургии. Экспериментально исследованно дисперсия импеданса картофеля в интервале частот (50–3·10⁴)Гц, данно соответствующая эквивалентная схема.

Ключевые слова: импеданс, дисперсия, поляризация, время релаксации, клеточная мембрана.

Dispersion of Impedance of Biological Object

M. Chikhladze, M. Gigineishvili, O. Ketiladze, I. Qantaria

*Georgian Technical University,
Faculty of Informatics and Control System,
Department of Engineering Physics,
JSC "Kuracio"*

Abstract: The work considers the specifications of correlation, i.e. dispersion of biological objects' impedance frequencies and their role in diagnostics and surgery. Dispersion of impedance of potato is studied in the frequency range $50-3 \cdot 10^4$ Hz. The corresponding equivalent design is given.

Keywords: impedance, dispersion, polarization, relaxation time, membrane of cells.

ტანმომარჯვისის ოპტიმალური წონის განსაზღვრა ინერციის ძალის გათვალისწინებით

*ა.ხაბეიშვილი, ნ.ხაბეიშვილი, მ.ხაბეიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

მოცემულია ლეგირებული ფოლადისაგან დამზადებული $l = 2,5$ სიგრძის კაღონის (ტურნიკი) პორიზონტალური ღერძი (ნახ. 1, ა).

ღერძის განიკვეთის დიამეტრი $d = 3\theta$;

დენაობის ზღვარი $\sigma_{ღენ} = 8000$ კგ/სმ² ;

სიმტკიცის მარაგის კოეფიციენტი $[n]_{ღ} = 1,5$.

განესაზღვროთ სიმტკიცის პირობიდან ტანმომარჯვისის ოპტიმალური მასა m , თუ ღერძზე მისი ბრუნვის მაქსიმალური სიხშირე $n = 40$ ბ/წთ.

სხეულის სიმძიმის ცენტრის დაშორება ბრუნვის ღერძიდან $R \approx 100$ მ.

კაღონის პორიზონტალური ღერძი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორ საყრდენზე სახსროვნად ჩამაგრებული კოჭი [1];

საანგარიშო სქემა (ნახ. 1, ბ)-ზე არის მოცემული:

სქემიდან ჩანს, რომ დატვირთვის საშიში მდგომარეობა გვექნება, მაშინ როდესაც სპორტსმენი იმყოფება კოჭის შუა C წერტილში, უკიდურესად ქვედა


მდგომარეობაში. ამ შემთხვევაში C წერტილში მოქმედი P ძალა, შეგვიძლია ჩავწეროთ ჯამის სახით:

$$P = G + P_{об} \quad (1)$$

სადაც $G = m g$ არის სპორტსმენის წონა,

$P_{об}$ – სპორტსმენის მიერ ნორმალური აჩქარებით წარმოშობილი ინერციის (ცენტრიდანული) ძალა, რომელიც განისაზღვრება ფორმულით [2]:

$$P_{об} = m \omega^2 R \quad (2)$$



ნახ.1

ვინაიდან კუთხური სიჩქარე $\omega^2 = n^2 \pi^2 / 30^2$, (2) მიიღებს სახეს:

$$P_{об} = m \cdot R \cdot n^2 \pi^2 / 30^2 \quad (3)$$

(1)-ში ცნობილი გამოსახულებების ჩანაცვლებით გვექნება:

$$P = m(g + n^2 \pi^2 R / 30^2) \quad (4)$$

განვსაზღვროთ საყრდენი რეაქციები სტატიკის წონასწორობის მესამე განტოლების გამოყენებით; B საყრდენის მიმართ, გვექნება:

$$\sum M_B = R_A l - P l / 2 = 0, \text{ აქედან } R_A = P / 2.$$

სიმეტრიულობის გამო $R_A = R_B = P / 2$, ამიტომ მაქსიმალური მღუნავი მომენტი იქნება მაღის შუაში (ნახ. 1, გ):

$$M_{m \alpha} = P l / 4 = m (g + \pi^2 n^2 R / 900) / 4 \quad (5)$$

დასაშვები ძაბვების მიხედვით სიმტკიცის პირობა ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\sigma_{m a x} \leq [\sigma] \quad (6)$$

სადაც $\sigma_{m a x}$ არის ღერძში აღძრული მაქსიმალური ნორმალური ძაბვა;

$[\sigma]$ – დასაშვები ძაბვა;

მაქსიმალური ნორმალური ძაბვა ტოლია:

$$\sigma_{m a x} = M_{m a} / W \quad (7)$$

სადაც

$$W = \pi d^3 / 32 \quad (8)$$

(7)-ში ჩავანაცვლოთ (5) და (8), მივიღებთ:

$$\sigma_{m a x} = 32m [g + \pi n^2 R / 900] / 4\pi d \quad (9)$$

დასაშვები დაბვა განისაზღვრება დენადობის ზღვრის და მარაგის კოეფიციენტის ფარდობით:

$$[\sigma] = \sigma_{დენ} / [n]_{დ} \quad (10)$$

(6)-ში ჩავანაცვლოთ (9) და (10), მივიღებთ:

$$32 \cdot m (g + \pi n^2 R / 900) \cdot l / 4\pi d \leq \sigma_{დენ} / [n]_{დ}$$

აქედან

$$m \leq 4\pi d \sigma_{დენ} / 32 [n]_{დ} (g + \pi n^2 R / 900) l. \quad (11)$$

(11) არის ტანმოვარჯიშის ოპტიმალური მასის საანგარიშო ფორმულა. მასში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით მივიღებთ:

$$m \leq 4 \cdot 3,14 \cdot 27 \cdot 8000 / 32 \cdot 1,5 \cdot 2,745 \cdot 250 \approx 82,4 \text{ კგ}; \text{ ვიღებთ: } m = 82 \text{ კგ.}$$

(11)-ით განსაზღვრული, მოვარჯიშე სპორტსმენის ოპტიმალური მასა, კადონის ღერძის სიმტკიცის პირობას მექანიკურად აკმაყოფილებს.

შემოწმება:

ფორმულა (5)-ში ცნობილი სიდიდეების ჩანაცვლებით განვსაზღვროთ მაქსიმალური მღუნავი მომენტი, გვექნება:

$$M_{m a x} = m \cdot [g + \pi n^2 R / 900] / 4 = 82 \cdot 250 \cdot 2,745 / 4 \approx 14068 \text{ კგსმ},$$

(8)-ით კი ღერძის განიკვეთის წინააღობის მომენტი

$$W = 3,14 \cdot d^3 / 32 \text{ სმ}^3 = 2,65 \text{ სმ}^3,$$

ჩავანაცვლოთ (7)-ში ცნობილი სიდიდეები, მივიღებთ:

$$\sigma_{m a x} = M_{m a x} / W = 14068 / 2,65 \approx 5309 \text{ კგ/სმ}^2;$$

(10)-დან $[\sigma] = 8000 / 1,5 \approx 5333 \text{ კგ/სმ}^2;$

ე. ი. მაქსიმალური ნორმალური დაბვა ნაკლებია დასაშვებ დაბვაზე:

$$5309 \text{ კგ/სმ}^2 < 5333 \text{ კგ/სმ}^2;$$

განსხვავება დაბვებს შორის $(5333 - 5309) \cdot 100\% / 5333 \approx 0,5\%$ -ია, რაც ნაკლებია 5%-ზე (დასაშვები განსხვავება), ამიტომ ღერძი სიმტკიცის პირობას აკმაყოფილებს (მტკიცება);

საკვანძო სიტყვები: კადონი, ცენტრიდანული ძალა, ტანმოვარჯიშე.

ლიტერატურა

1. Мовин М.С. Израелит А.Б. Рубашкин А.Г. `Руководство к решению задач по технической механике~. Москва. `Высшая школа~. 1977, с 244
2. ა.ხაბეიშვილი, ქალავიძე, თ.ბაციკაძე. მასალათა გამძლეობა. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2009. გვ. 30

**Определение оптимального веса гимнаста с учетом
инерционной силы**

*Хабешвили А.Д. Хабешвили Н.А. Хабешвили М.А.
Грузинский технический университет*

В статье рассматривается определение оптимального веса гимнаста с учетом инерционной силы.

Выведенная формула для определения оптимального веса спортсмена, механический удовлетворяет условие прочности турника.

Ключевые слова: турник, гимнаст, центриданная сила.

**Determination of an optimal weight of a gymnast with taking into
account the inertia force**

*Khabeishvili A.D. Khabeishvili N.A. Khabeishvili M.A
Georgian Technical University*

The article deals with the definition of an optimal weight of a gymnast with taking into account the inertia force

The received formula for calculating the sportsman's optimal weight, satisfies mechanically a condition of strength of a horizontal bar.

Key words: Horizontal bar; Gymnast, Centrifugal force.

**ფიზიკური ექსპერიმენტების მოდელირება, როგორც
კრიმინალისტიკური ტექნიკის დიაგნოსტიკისა და უსაფრთხოების
სისტემების კვლევის საფუძველი**

*გოდერძი ჯანელიძე, ნონა ესიავა, არჩილ ჯანელიძე,
ვახტანგ გოგიჩაიშვილი, რამაზ ესიავა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

საკვანძო სიტყვები: კრიმინალისტიკური ტექნიკა, დიაგნოზი, ანალიზი.

ფიზიკურ ექსპერიმენტთა მოდელირება ემყარება პრობლემათა და საკითხთა თანმიმდევრულ და ორგანულად შერწყმულ იერარქიულ კვლევას, სადაც განსაზღვრულია კრიმინალისტიკური ტექნიკური საშუალებების გამოყენების ძირითადი მიმართულებები. კრიმინალისტიკური ტექნიკის ცნება ესაა კრიმინალისტიკური მეცნიერების მიერ შემუშავებული სამეცნიერო ტექნიკური საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების ერთიანი სისტემა. კრიმინალისტიკური ტექნიკისა და მოწყობილობების უმთავრეს თვისებას ხარისხი და საიმედოება წარმოადგენს. კრიმინალისტიკაში ტექნიკის ფუნქციონირების შეფასებაში იხმარება ტერმინი დიაგნოზი, რაც გამოცნობას, მოკლე დასკვნას ნიშნავს. თითოეულ ამ თვისებას, კონკრეტული ობიექტების და საექსპლუატაციო თვისებების გათვალისწინებით, სხვადასხვა ფარდობითი მნიშვნელობა ენიჭება. არააღდგენადი ობიექტებისათვის, დიდი და ზედიდი ინტეგრალური სქემები და მოწყობილობები, სადაც არ არის გათვალისწინებული ტექნიკური მომსახურება და შეკეთება ძირითად თვისებად მიიჩნევა უმტყუვნელობა და ხანგამძლეობა. ხოლო თუ გათვალისწინებულია ობიექტის შეკეთება ტექნიკური მომსახურებით, მაშინ შეკეთება-ვარგისიანობა ერთ-ერთი ძირითადი თვისებაა. დიაგნოსტიკა, როგორც მეცნიერება, სწავლობს ობიექტის თავისებურებებს და მის კავშირს გარემოსთან. პროგნოზირების საფუძველია საკვლევი ობიექტის ყოველმხრივი გამოკვლევა პირველადი ინფორმაციის მოპოვება-დამუშავების მიზნით. გამოკვლევის ხერხები: დათვალიერება, ხილული და უხილავი კვლების დაფიქსირება, გაზომვა, ლაბორატორიული გამოკვლევა, იმიტაციური მოდელირება, მანქანური დიაგნოსტიკა და სხვ. პროგნოზირების საწყის ინფორმაციას წარმოადგენს დეფექტების სახეებისა და მექანიზმების ერთობლიობა, რომლის საფუძველზედაც ანალიზდება მტყუნების ინტენსიურობა, ხოლო ხელსაწყოს ელემენტების მტყუნების ალბათობა განისაზღვრება როგორც ჯამი ცნობილი და შესწავლილი დეფექტებისა, რომელიც განსაზღვრავს იელემენტების არასაიმედობას j მტყუნების სახით. ფიზიკური

საკვლევი ობიექტი განიხილება როგორც ორი ქვესისტემა - თვით ფიზიკური ობიექტი და გარემოს სივრცე. მათი უტყუარობა დასტურდება ექსპერიმენტით. ექსპერიმენტის საფუძველზე ჩამოყალიბებულია მზა პროდუქციის საიმედოობაზე გამოცდის სახეები: კონსტრუქციული, ელექტრონული, მექანიკური, ვიბრო-მედეგობაზე, დარტყმით სიმტკიცეზე გამოცდა და სხვ. ექსპერტული მართვის მოდელის აგება ემყარება არა მხოლოდ დაკვირვებისა და აღქმის პროცესების კვლევას, არამედ კრიმინალისტიკური ინფორმაციების წარმოშობის კანონ-ზომიერებასაც. ანასთან ერთად აღწერს იმ წესებისა და პრინციპების დაცვის მექანიზმს, რაც აუცილებელია საკვლევ ობიექტებში დეფექტების გამომწვევი მიზეზების ანალიზის, ტექნოლოგიური პროცესების გადახრისა და ექსპლუ-ატაციის პირობების გავლენის მექანიზმის დამოკიდებულებას დეფექტების ბუნებაზე, ასევე დეფექტების გავლენას ნაკეთობათა პარამეტრებზე და მთლიანად ხელსაწყოს საიმედოობაზე. პროდუქციის საიმედოობის და პარამეტრების სტაბილუ-რობის გარანტს წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღწერს შეტყობინებებს დეფექტებისა და ტექნოლოგიური პროცესებიდან გადახრის შესახებ, მიუთითებს წუნზე და გვიჩვენებს დეფექტების წარმოშობის მიზეზების აღმოფხვრის გზებს. ხარისხის კონტროლი ტექნოლოგიური პროცესის შემადგე-ნელი ნაწილია, რომელიც შეიცავს ორ ძირითად მდგენელს: აშკარა დეფექტები – ვარგისიანობის პროცენტების განმსაზღვრელი და ფარული დეფექტები, რომელიც აქვეითებს გამოშვებული პროდუქციის საიმედოობას. ორივე შემთხვევაში კონტრო-ლი წარმოებს პასიური ან აქტიური ფორმით.

- კონტროლი, რომლის შედეგადაც მოვიპოვებთ ინფორმაციას დეფექტების ბუნების შესახებ, წარმოადგენს ტექნოლოგიურ რეჟიმებში კორექტირების შეტანის საფუძველს. *ესაა აქტიური – დიგნოსტიკური მეთოდი;*
- კონტროლი, რომლის დროსაც ფიქსირდება მხოლოდ დეფექტების "არსებობა" ან "არ არსებობა" და არაა გაშიფრული მისი მექანიზმი, ეწოდება პასიური მეთოდი.

პროგნოზირება აფორმირებს ინფორმაციას საკვლევი ობიექტის მდგომარეობის შესახებ, მისი განვითარების შესახებ დროის შუალედებში. როდესაც შედგენილია პროგრამული პროგნოზი, შესაძლებელია განვსაზღვროთ შესაძლებელი ვარიანტები კონკრეტული ტექნიკური პარამეტრების მისაღებად. პროგნო-ზის შედეგს წარმოადგენს სამეცნიერო ტექნიკური პრობლემების მიზნის განსაზღვრა. გადაწყვეტილების მიღება კი ესაა კერძო კრიტერიუმის შერჩევის კომპრომისების დაშვება.

$$F(X) = \sum_{i=1}^n C_i f_i(X)$$

$f_i(X)$ არის i -ს ნორმირებული კერძო კრიტერიები; C_i – წონითი კოეფიციენტი, რომელიც განსაზღვრავს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დონეს და დასმული პრობლემის შესრულების შესაძლებლობას. საინჟინრო ტექნიკურ ექსპერტიზაში შემეცნებითი საქმიანობის მთავარ საყრდენს წარმოადგენს ინტელექტუალური ტექნოლოგიები. ინტელექტუალური ტექნოლოგიები იმ მეთოდებისა და ტექნიკური საშუალებების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც მუშაობს დიალოგურ რეჟიმში. უსაფრთხოების სისტემების ეფექტურობის რამდენიმე ურთიერთგანსხვავებული მეთოდით შეისწავლიან: დაკვირვების მეთოდი – ანალიზისა და დიაგნოსტიკის საფუძველი; ექსპერიმენტის მეთოდი – უსაფრთხოების სისტემების პროგრესის მისაღწევი საფუძველი; გამოკითხვის მეთოდი – პირველადი უტყუარი ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი ძირითადი მეთოდი; დიაგნოსტიკის მეთოდი – ფიზიკურ ექსპერიმენტთა შედეგების დასკვნის საფუძველი.

ექსპერტული სისტემები ეყრდნობა ობიექტურ ინფორმაციას, რის საფუძველზედაც წარმოებს საკვლევი ობიექტის ქცევის პროგნოზირება. ქცევის პროგნოზირების საწყის ინფორმაციას შეადგენს საკვლევი ობიექტის თვისება:

- შეინარჩუნოს დროის დადგენილ ზღვრებში ყველა ის პარამეტრი, რაც უზრუნველყოფს ობიექტის მუშაობის საიმედოობას;
